

ବ୍ୟାପକ ନ୍ୟାନଦ୍ୱା

୧୯୦୦୭୬ ମୃତ୍ୟୁ
୫୩. ୫୭
୧୩.

7

୩୭୦୯୦୮୦

୧୯୩୯

მეტელი

ხავართულის საძოვია მწერლების
კუპინის ყოველთუაზე რჩებანი.

7



სახლმოფი გამოცემობა
თბილისი
1988 წლის 03 მაისი

ՑՈՆԱԿԱԾՈ
ԹԵՐԵՇԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

	88-
Առևտուն հայություն — տրամադրություն հայություն	3.
Լավագություն ասատանք — գործառնություն մշակողություն	4.
Ճ. եզչագություն —	6.
Կուլտուրա և մշակույթը — սախավունություն մշակույթ	7.
Հայություն և պատմություն — հայություն լուսացություն	12.
Ցուցանիշ հայություն — Ամերիկայի հայություն	14.
Վ. Շանթելա Շանթելա — մշակում հայություն	21.
Յ. ազգային և բայալուն	30.

ՀԱՌՈՒՅԱ

Վահագյան Վահագյան — այսին գրություն	35.
Առաջնություն մասնակցություն — Վահագյան Վահագյան	
Շանթելա Շանթելա մշակում և աշխատանքներ	48.
Վահագյան Վահագյան — այսին այսուհետեւ մասնակցություն	
Վահագյան Վահագյան մասնակցություն	59.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՈՒԽԱԿԱՆ ԱԲԱՑՈՒ ԱԲԱՑՈՒ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԶԱԳՈՅԱՆ ՑՈՒՄՈՒՆԻ ԱՑՈՒՑՈՒ

Վահագյան Վահագյան 1/VIII-39 հ. կուլտուրա և մշակույթի համար 19/VIII-39 հ. վահագյան նոհա 75 X 105. բար. 2 X 11 հ. գովա. բար. համա 4. Տարբառ 1870 թուացքի համա 16 հ. — 3840 ունիո 3500.

Վահագյան Վահագյան Վահագյան, Վահագյան կ. և 3.

ბეპვრული იუტარიაშვილი

აცდებო თევზავე

თემი ღამე ნევაზე

ნევა დონჯი, და ნათელი...
 თვალი ტალღებს ჩრდილი სკამენ,
 კა მზის ფეხით განათელი
 და თოულივით თეთრი დამწ.

გამოგვეტაუბს ამბავს ჯირი
 და მოუტანს ნაპირს ტყიანს;
 ჩამოსულია შზის ლაშქაზი
 და ქლავი დაუძირია.

მოდის ნაერი ამ კამეში
 და შესალი ისმის წყნარი,
 თორქის კუკი საღლაც ტყეში
 და სის უოთლებს წერილს ჯირი.

ტამილ განცემის გული დავწერი,
 გული მუდამ ცუცხლის მქონე;
 ნაპირზე დგას ორი ნაძვი:
 შემი სიყვარულს მომავრები.

ნეტავ იძლა ჩემთან იჯდე,
 ჯირი შლიდებს შენს ნაწნავებს
 გვაჩვეთ: ჩემი ტრიუმბი სინ ჯი...
 და შეეკვენით მოწინავე!

გნატა ა ას... ტამილ შანტი
 ჩემს უკედას გულში მისივა,
 შე ბანაობს მოვარის ლამდა
 უქამისობან კალივა.

მალე გნივავ, ულის სწორი,
 და სიმამდირის ჩრდილო მხრიდან
 ამ განცემის სამასშორებელ
 თეთრი ღამეებს ჩამოვიტონ!

ფიროსეანის მეგობრებთან

ეს რა უშმავმა ადორეა ამაღიშ ჭრი,
ამწერეა, დამიტბია მან შოაგონება —
ტფილის ჭრებს დაკეცევნე, კიხე ამქორი.
დაკრწყებული ფიროსეანის შოაგონებლად.

აქ ამ ჭრებში გადორდა, როგორც სოზმარი,
(საქართველოს კი აქ ეტროვდა მისი ოცნება)
ჩამოსული, ტანმაღალი, მარად ხიზანი,
მარტოხენ გული რა ბუჯალო პატიოსნება.

მივიღ, მხედრებან საზარებოა ქეჩის მცოსნები,
მნელთან მებრძოლი უსინათლო მეთარებები.
„ტკიდასუტყვილი“ ნიკალის ძელი დოსტები
და ცოტლდებიან ფიროსეანის შწარე დღეები.

ვიცე: „როგორმე მოვანეოთ, ძალ კაცები,
ლოთი მხატვერი, მარტოსული და მევობარი,
მისამარი რამე ფიროსეანის ბერის გარშემო,
და შერე შევსვით მისი ხსოვნის შესანდობარი!..“

— „ოვითორეფელი“ იყო, აუმცენია სისტლი ტფილისა...
სულ მარტო იყო, მარტო ხეამდა, მარტო გათავდა,
ფუნქის მიმდინარეობა შემდა რაღაც ჯარო-თილისმა,
ახორ დარევდა და მაყინოს დაგრძელებდა!..

— შემოვხედავთ ლაქუხვენილი, ვინ გოგებდ
ას კედის იყო, ას ჰაბანების და ას გუნების.
უფასო მტკე ის, მტკე ის ტრი, ტრი იქ ტრიები,
გოქი, შწანილი და ფრითის ისაუგულები!..

— როგო ზაფხული დადგმონია ტფილის-ქლიფი,
ჯაურებდა: ხდეთ, კუკ ფეხი როგორ ხდებოთ,
გაფეხებდა მოულენი შწ აუ ბარა ში: —
„სოფელ უ კლის მოვლენი და მემებაო!..“

— არც კობრა იყო საკოლეჯი და არც ართვალა,
ამავრ იყო, ჩეუნ მოსიმილად ვიღეულით მასთან,
ეს... ახლა ვიხდა ნიკალაი დიჭი შხატვაზი,
უფასოდ გაქრი, უფასოდ, და ახლა დაფასრია!..

— ნეტავა ამ დროს მოსწრებოდა მის მატრიცებთან,
(კა რა ულოცდ დაიღუპა საწყილმა თავი!).
ტფილის-ქალაქის ყველა შხატვაზის ჩს აჯობებდა
ამ დაცებოდა არაფერი დაუხატავი!

ჰყვებიან ასე ფირსმანის დროის ქადავნი,
კველა მათვაზში დაუკიტიოს ნიკალას ეტედე...
დვას ფირსმანის მოსატული ტფილის-ქალაქი, —
ეს პოეზიის უწმინდესი ადგილის დედა.

მე ვსიმენ ყველას წამოვიდგენ უხოვერებას მისას,
ცოცხლდეა ჩემს წინ მერთაღი სახე ღვერების მჟოსნას.
მთვარეულივთ ღვევმხობი ტფილის მიწას
და დიდი ნიკა ფირსმანის ნატერიფალს კუტუნა!

აღ. ხაჯაიბ.

ნიაქს ვუსმუნდი: ჩუმი და ოქბილი
ხმა შორეული ხამწედა გულამდე;
ჩავიძლერე და ჩავყევი ბილიქს
და ისევ ნიაქს მივაყურადე.

წინ იყო მარტო, სიბნელის ფარდა;
ცუკელი მუქად გადანაფერი.
სხვა არაფერი — სამლერის გარდა,
მხოლოდ სიმლერა, სხვა არაფერი.

ფოქვი: თუ ვინ არის, ხმა სადაური?..
(ურაზებსაც სურდათ იქნებ გაგება),
ხუხუ გაჟვება, მთას გადაუელის,
და ვარსკვლავებში ვაღიარება.

მლერის: მშე ტრეთმით როგორ იწოდა,
ჩოგის იძიძოდა გმირი ლომგული
ჩონგუჩმა ტექლად ცრემლი იუოდა,
ნახეთ რას მლერის ძველი ჩონგური!

ლამე რამი ბევრი მინახავს;
მთვარეც, მთვავრეც - გადანაფერი...
ეს, არაფერი ის მინდა ახლა,
მსოლოდ სიმლერა, სხვა არაფერი!

კორა ხიმუსავილი.

საქორნილო მუსიკა

ეს კაცი შრავალბინიან, კინტელეგბის ბუდესავით მოფუსტუს რიცხვი შე-
ნობის შესამე საჩიტულზე ცხოჭიობდა, ვაგარა რომაში, გრძელი ტალანის მო-
ლოს. მეზომლები მას იშვიათად ხედავდნენ. იგი შევკრემანი იყო, შეიძლება
ითქვეს მეტიშეტად პავარეტანი. — პირს კანი დუნთის შებოლილს მოუგავ-
და, თეალწარიბიც შევი ჰქონდა და ორნავ ჭალას თმები საფირფლებთან ჩა-
მოზრდილ ქილვაშებში კრდევ უფრო აძლიერებდნენ მას სიშავეს, შავ კრი-
ტუმს იცავდა, შევ ჭრის იძურავდა, ყულასხვევაც შავს ატარებდა, და საერ-
თოდ ყოველივე თალზე ფერისა ემსახ, პეტანგბიც კი; მუხამ თან დაბრუნებ-
და კოოლინოს შევ შალოთთ; მთელ მას სხეულზე მხოლოდ ერთვის გამოი-
ჩიოდა ნათელი წერტილი — ვერცხლის პატარა ჩანგი მეტების მარტენი ჯი-
ბესთონ.

შეზობლებში ამ მასტებელი და შეტაც ჩემ აღამინის თალზი კაცი დაი-
კეთა; მას უთუოდ ას ჰყავდა მეგობრები, ახავის უნახვით ამ კაცოან სტუბ-
ჩად ან ისე შოსული; ფოსტელონისაც კი კიბებზე ერთხელაც ას დაუბახნია
მისი გვარი. სამგლოვარი მდესარის მოქმედება, სადაც თალზი კაცი შეშოძ-
და, ნაელუბად ცნობდნენ და კონფიდენციალურად ასტრამლაცა გასცენებებსა და პახ-
შეიდებზე, როდესაც მისი კოლეგები მშენებლად აღხენიდ მასლათობრინის
“ანტრაქტების” რომს, თავისი კაცი არიდეს რეგებდა მონაწილეობას ხევდა-
ზე, სევდიანი სახით იდგა ბოლომე კუთხეში მოქმედებით და ბოლოში კოლეგი
არმ ას სკერტის, ლიმბი მდლოვანაზე გვიმრნებოდათ. ოდივ თუ ვამთ-
ოცემლდებოდა, როდესაც შემების სამგლოვარი მისმა დაუქრავებისებ. მაგრა
ეს რო სკელ; არიდეს შეენიშნავთ თალზი კაცი სხვა რამდენი დანწერებულებუ-
ლი. მუდამ თავიდანილი დაროოდა, თავისი კონფიდენციალური თეალში მოსევითო-
და გისმებ. ცრანმუშიც თავშალუნებულ იჯდა, არიდეს იმუდოდა გზა დაითმოთ,
ზურდა სანდ გასასელელი გათავისუფლდებოდა და ამიტომაც იში — სამი
განტებით გასულებოდა ბოლომე დანიშნულ აფევლი. მთელ დოკუმენტებიდან
თანხმ კაცი შეუხასიათებზე; გვაძ ლიმით მონაც, რიცხ ნახევრიდ
შენა, თავისი სენით სავსე ჭარას რომაში; გაზის გარეათვალიერებდა, პა-
კულ რეზა სამგლოვარი განტარებებს გარეუიაზევდა და დაწერდოდა დას-
ძინებულება. ზოგჯერ, ძლიერ იშვიათად, სიმფონიერ, რაც ტემპზე, როდესაც
პროგრამაზე შემების რომელი; საწარმო ის ით ან ბერიმების „ემსულ
სისტემა“, შეიძლებოდა მისი და მაგა მაგის თავატის შემთხვევას სართულზე,
კვალაშე მცვად უკანკალ, მაგრამ ეს ძლიერ იშვიათი.

ალ. საჯაია.

ნიავს ვუსმენდი: ჩუმი და ტქბილი
ხეა შორეული ჩამწვდა გულამდე;
ჩავიმღერე და ჩავყევი ბილიკს
და ისევ ნიავს შივაყურადე.

წინ იყო მარტო, სიბნელის ფარდა;
ტყე-ველი მუქად გადანაფერი.
სხვა არაფერი — სიმღერის გარდა,
მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი.

ვთქვი: თუ ვინ არის, ხმა სადაური?..
(უერხვებსაც სურდათ იქნებ გაგება),
ხევხევ გაყვება, მთას გადაუგლის,
და ვარსკვლავებში გადიკარგება.

მღერის: მზე ტრფობით როგორ იწოდა,
როგორ იბრძოდა გმირი ლომგული;
ჩონგურმა ძელად ცრემლი იცოდა,
ნახეთ რას მღერის ძველი ჩონგური!

ლამე ლამაზი ბევრი მინახავს;
მთგარეც, მთაველიც გადანაფერი...
ეს, არაფერი არ მინდა ახლა,
მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი!

კოტე ბიჭვიაზვილი.

სეპრინილო მუსიკა

ეს კაცი მრავალბინიან, ჭიანჭველების ბუდესავით მოფუსტუსე დიდი შენბის მესამე სართულზე ცხოვრობდა, პატარა ოთახში, გრძელი ტალანის ბოლოს. მეზობლები მას იშვიათად ხედავდნენ. იგი შაგვრემანი იყო, შეიძლება ითქვას მეტისმეტად შაგვარემანი, — პირისკანი დენთით შებოლილს მიუვავდა, თვალწარიც შავი ჰქონდა და ოდნავ ჭალარა თმები საფეთქლებთან ჩამოზრდილ ქილებაშებში კიდევ უფრო აძლიერებდნენ მის სიშავეს, შავ კოსტუმს იცვამდა, შავ ქუდს იხურავდა, ყელსახვევსაც შავს ატარებდა, და საერთოდ ყოველივე თალხი ფერისა ემოსა, პერანგებიც კი; მუდამ თან დაატარებდა ვიოლინოს შავი შალითით; მთელ მის სხეულზე მხოლოდ ერთგან გამოიჩინდა ნათელი წერტილი — ვერცხლის ჭატარა ჩანგი მკერდის მარცხენა ჯიბესთან.

მეზობლებმა ამ მარტოხელა და მეტად ჩუმ ადამიანს თალხი კაცი დაარჩევს; მას უთულოდ არ ჰყავდა მეგობრები, არავინ უნახავთ ამ კაცთან სტუმრად ან ისე მოსული; ფოსტალიონნაც კი კიბეებზე ერთხელაც არ დაუძახნია მისი გერარი. სამგლოვიარო მუსიკის ბიუროშიც, საღაც თალხი კაცი მუშაობდა, ნაკლებად ცნობდნენ და ერიდებოდნენ რატომღაც. გასვენებებსა და პანაშვიდებზე, როდესაც მისი კოლეგები ხმადაბლა ალხეინად მასლაათობდნენ „ანტრაქტების“ დროს, თალხი კაცი აროდეს იღებდა მონაწილეობას საუბარზი, სევდიანი სახით იღება ხოლმე კუთხეში მოკრძალებით და ხელში ვიოლინი რომ არა სჭეროდა, ღრმად მგლოვიარე გეგონებოდათ. ოდნავ თუ გამოცოცხლდებოდა, როდესაც შოპენის სამგლოვიარო მარშს დაუკრავდნენ. მაგრამ ეს რყო სულ; აროდეს შეუნიშნავთ თალხი კაცი სხვა რაიმეთი დაინტერესებული. მუდამ თავდახრილი დადიოდა, თითქო ერიდებოდა თვალში მოხვედროდა გისმეს. ტრამეაიშიც თავზალუნული იჯდა, არვის თხოვდა გზა დაეთმოთ, უცდიდა სანამ გასასვლელი გათავისუფლდებოდა და ამიტომაც ორი — საში გაჩერებით გასცდებოდა ხოლმე დანიშნულ აღგილს. მთელ დღეებს ატარებდა თალხი კაცი მწუხარების ცერემონიებზე; გვიან ღამით ბრუნდებოდა ნახევრად ბჩევლ, თაგვის სუნით სავსე ჭატარა ოთახში; გაზეთს გადაათვალიერებდა, პირველ რიგში სამგლოვიარო განცხადებებს; გადიკითხავდა და დაწვებოდა დასაძინებლად. ზოგჯერ, ძლიერ იშვიათად, სიმფონიურ კონცერტებზე, როდესაც პროგრამაში შოპენის რომელიმე ნაწარმოები იყო ან ბეთოვენის „გმირული სიმფონია“, შეიძლებოდა მისი დანახვა ოპერის თეატრის მეოთხე სართულზე, ყველაზე ძნდლად შესამჩნევ ადგილას, მაგრამ ეს ძლიერ იშვიათად. მუდამ

ჩრდილა მეჯობინებდა; ჭყელაზე უკან დგებოდა, თვალს არაფერს გაუშტერებდა, რათა არც შეეწუხებინა; მხოლოდ ძაით მოსილ თალხებიან ქალებს თუ გახედავდა ჰსოლმე ჩუმად, დახრილ წამწამ ქვეშ, სამღლოვირო პროცესის ან უკან დაბრუნებულ, ცალიერ ბალდახინს გაყოლებდა თვალს. და ერთხელ შეენიშნათ, — სალამოთი პუშკინის ბალთან მდგარიყო და ჭირისუფალივით ტოტებდახრილი ტირიფის მაღალ კენჭროზე თითქსედა ზარის სათქმელად შეგროვილ ჭილყვავების შავ გუნდს უცეროდა; ბოძს ამოფარებული.

მარტოხელა აღამიანისთვის უთუოდ საქმარისი ჯამაგირი ჰქონდა თალს კაცს, მაგრამ მაინც მუდამ, ღდაყვებგაცრეცილ, გახუნებულ ტანსაცმელში დაღოდა. მოუცილებელი მტკერით დაფარული შავი რბილი ქუდი თაგვისფერი გამხდარიყო; შარვალი საჯდომზე ისე უპრიალებდა — მზეზე თვალს მოკერიდათ. ფული კი ჰქონდა, მაგრამ ხალის აკლა. მოკრძალებული ხსიათისა და მარტოხელა ცხოვრების გამო რაღაც უცნაურ, ჩევნს დროში იშვიათ, მიერწყებულ და განმარტოებულ აღამიანად გადაიქცა. ეგონა, რომ ყველა ერიდება, გაურბის, ყველა უცხოა მისთვის, არების აინტერესებს მისი პიროვნება. იჯი თავისი ქცევით აიძულებდა სხვებს, მასთან მორიდებული, მდუმარენი და ნაკლებად გულლიანი ყოფილიყვნენ. კარგად ესმოდა ეს, მაგრამ საკუთარი ხასიათი ვერ დაეძლია და დარწმუნებული იყო, რომ თავისი უცნაურობის გამო სამუდამოდ უცხო დარჩებოდა ყველასთვის.

ზოგჯერ, კონცერტებზე, როდესაც შოპენის რომელიმე ლირიული მელოდია მთვლემარე ტყეში მორინანე ზაფხულის ნიავივით ელამუნებოდა, მაღლა ქანდარაზე მჯდარ თალხი კაცის სმენას, სახის კანს, ხის მოაჯირზე დაყრდნობილ ხელებსაც კი, იგი გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა, რომ სრულიად მარტო იყო ამ უამრავი ხმებით სახეს უძირო დარბაზში; მელოდია თითქს ცდილობდა დაემშევიდებია მისი სული, დამზრალი მარტობით, და ამით კიდევ უფრო მეტად აღელვებდა, როგორც გზაღავარგულ ბავშს, ვიღაც უცნობის თანაგრძნობით გამთბარი ხელი.

და ხან. ბეთოვენის „გმირული სიმფონიით“ შერწყეულ დარბაზში მას ეჩვენებოდა დაბლა პარტერიდან ყალყზე ამდგარი გიგანტი ცხენის სილუეტი, ჰერამდე აღმართული. მხედარს ხელში ეჭირა ათასი ნათურებით შემკობილი უზარმაზარი ჭალი და ჭამარჯვების ყიუინით თითქო ინგრეონენ ხალხით დატვირთული ქანდარები. კაცს მკერდი აღარ ყოფნიდა სუნთქვესთვის, ნესტოები ენაკვთებოდა, ტკივილმდე უჭირდა ხელებს მოაჯირს, ხის მოაჯირიც ცოცხალივით თრთოდა და უთუოდ იბზარებოდა მძლავრი ბეგერებისაგან. ამწუთში თალს კაცს უნდოდა უკან დაეტოვებია ყოველივე, დაევიწყებია ყველაფერი, გამხდარიყო სულ სხვა აღამიანი, გაებერდა და სამუდამოდ მოეცილებინა თავიდან ეს მარტობა, მოკრძალება, სევდა და თალხი. მას სწვავდა გმირის მიერ ამოწვედილი ჭალის სინათლე. თვალებს სჭრიდა როგორც სიბნელიდან გამოსულს, შუადღის მზე.

მაყრამ, გაისმოდა სიმფონიაში ჩართული სამღლოვირო მარშის აკლდები და თალხი კაცი დაუშვებდა მხედარს. დარბაზში ევებერთელა. შავი ჭარდებივით დაწყებულენენ რხევას გლოვის ხმები. ამაოება. ყოველივეს უცილუ დასსრული. ერთად ერთი მარადიულობა. თავდახრილი ის ახლა გმირის ცხრარს მიაცილებდა ფიქრით. გიგანტი ცხენი ჩევულებრივი გამხდარიყო, შავი საზურგულით მოუძროდა წინ თავისი მხედრის ბალდახინს. ჭალიც დაკარგავ-

და ელექტრუბას და ულიმლამოდ ეხთო კუბოს თავთან დაკიდულ ლამპარივით. ისევ უცტრადვე ანელებდა და აქრობდა სევდიანი მუსიკა საკუთარი თავის წინააღმდეგ წუთიერ ამბოხებას.

ასე მიდიდნენ წლები. და თალხი კაცი დაეხეტებოდა სამგლოვიარო მელოდიის ცონილ გამასავით; გვერდს უვლიდა ცხოვრების ყველა მოვლენებს, — თალხშალითანი ვიოლინოთი მიიჩქაროდა გასვენებაზე ან პანაშვიდზე.

ქალაქში ყველგან აშენებდნენ ახალ საცხოვრებელ სახლებს. ერთი გადაბარგლნენ იმ ახალ სახლებში, სხევები ჩასახლდნენ მათ ადგილას. ერთ დღეს თალხ კაციაც ახალი მეზობელი გაუჩნდა — შეა ხნის ქალი, უკვე შევერცხლილი თმებით, მაგრამ თაფლისფერი, ცოცხალი თვალებით, ტანმრგვალი, მცვირცხლი და კუნთოვანი. იგი ლილინითა და სტევნით ალაგებდა ახალ ბინას და ტალანტი არვის უშვებდა გამოუსაუბრებლად. ყველამ გაიგო, რომ ეს ქალი ძაფსახვევი ფაბრიკის მუშაა — სტახანოველი, მარტო ცხოვრობს. ქალმა პირველ დღესვე შენიშნა თალხი კაცი. მეზობლებმა გადასცეს, რომ იგი მშვიდი და ჩუმი, მეტისმეტად ჩუმი კაცია და უთუოდ — მუსიკოსი უნდა იყოს. ქალს მოეწონა მისი ზედმეტი სახელი — თალხი კაცი. თითონ ძლიერ მხიარული, კაუინა იყო და სხვების წყნარი სევდა მოსწონდა; ასეთ აღამიანებისადმი იყო ყოველთვის განიცდიდა რაღაც მფარველურ, თითქმის დედობრივ გრძნობას. და თანაც, როგორც თითონ ამბობდა, — გაგიუებით უყვარდა მუსიკა. მოკლედ — თალხი კაცისადმი მან განსაზღვრული და აშკარა სიმპატია იგრძნო.

პირველად ისინი ერთმანეთს საერთო ონკანთან გამოელაპარაკნენ — საძრევულოში.

— თქვენ მუსიკოსი ხართ? — შეეკითხა ქალი, შენიშნა. რა თალხი კაცის მკერდზე მიმაგრებული ვერცხლის პატარა ჩანგი.

— დიალ, მემუსიკე... — მორცხვად უპასუხა მან და ონკანს ტუჩმოტეხილა სურა შეუშეირა.

— მე ძლიერ მიყვარს მუსიკა. — სთქვა ქალმა. ფეხით შეარხია იატაკზე დაზვრული ვედრო და თმები შეისწორა, — იცით, ამაღამ რაღიოთი შობენის კონცერტს გადასცემენ. მე საუცხოო რეპროდუქტორი მაქვს, შემოღით ჩემთან, მოვისმინოთ...

— შობენის კონცერტს?... — თალხი კაცი დაიბნა. ავსებული სურიდან წყალი გადაექცა და შარვლის ტოტები დაუწინდუდა; მას გულით უნდოდა შობენის მოსმენა, მაგრამ...

— როგორ შეგაწუხოთ...

— რას ამბობთ! პირიქით, რას შეწუხება!.. უსათუოდ შემოღით, მე თვითონ დაგიძახებთ...

ასე დაიწყო.

მეორე დღეს თალხი კაცი სახლში აღრე დაბრუნდა და ნაცნობ მკერავთან წავიდა ახალი კოსტუმის შესაკვეთად. იგი პირველად ნახეს ქუჩაში უვითლონოდ.

რა ბევრი გავაგრძელოთ, ერთი თვის შემდეგ ტალანტი მეზობლები სიზარულით გაოცდნენ, როდესაც მიიღეს მოწვევა ახალი მობინადრე ქალისა და თალხი კაცის ქარწინებას დასწრებოდნენ.

ქორწილში მოვიდნენ ქალის მეგობრები, სტახანოველები. ძაფსახვევი ფაბრიკიდან, დირექტორი. შესანიშნავი კახური პქონდათ, შავი და სქელი — მა-

შარაბივით. განუწყვეტლიც უკრავდა პატეფონი. ყველანი ძლიერ მხიარულობდნენ. ახალ კოსტუმში გამოწყობილი თალხი კაცი ღრმა სავარქელში ჩაძირულიყო და ბედნიერებითა და ღვინით დაბინდული თვალებით სასოებით შესკულეროდა ვერცხლის წყალივით დაუდეგარ პატარძალს, რომელიც უფრო ძეტს ხმაურობდა, ვიდრე ყველა სტუმარი პატეფონთან ერთად. უმზერდა თავი: შეულლეს თალხი კაცი და გულში, სადღაც ღრმად, უკვირდა, უკვირდა... სად იყო აჭარდე? ამდენი ადამიანები უეცრად ასე ახლო!... თურმე შეძლება თაღზე კაცაც აინტერესებდეს ვინმეს, ეს ხალხი აქ მისთვის მოვიდა, მას უჟოცაცე... .

როდესაც ყველა დამსწრეთა და მოსაგონართა სადღეგრძელო ჩამოათავეს და კიდევ უფრო გამხიარულდნენ, ვიღაცამ გაისხენა ნეფის ტალანტი. ყველამ დაუწყო თხოვენა — დაეკრა რამე სამხიარულო. პატარძალმა მაშინვე, უკითხავად, ვიოლინო მოარბენინა. თალხი კაცი ჯერ, ცხადად, თავპატიუს იდებდა, მაგრამ შემდეგ დასთანხმდა, დიდის ამბით წამოდგა სავარძლიდან და ქალს შალითი ჩამოართვა.

ყველანი გაჩუმდნენ.

თალხმა კაცმა შალითიდან ამოიღო საკრავი, ხელები კარგად. შეიმშრალა განიერი ცხვირსახოცით, შემდეგ იგივე ცხვირსახოცი, ოთხად დაკეცილი, მხარზე დაიფინა, ჩვეული მოძრობით მიიტანა ლოყასთან ვიოლინო, მეორე ხელით მიზრაფი ასწია და..., გაშეშდა.

მან უეცრად შეიგნო, რომ შოპენის სამგლოვიარო მარშის, მისთვის ყველაზე საყვარელი მელოდიის დაკვრას აპირებდა.

მაგრამ, დღეს ხომ მისი ქორწილი იყო. სტუმრებს უნდოდათ მოესმინათ რამე მხიარული... მხიარული? მას არ ახსოვდა, მან არ იცოდა არცერთი მხიარული, ცოტად თუ ბევრად ნათელი მცლოდია. იგი შეეცადა სწრაფად მოექებნა მექსიერებაში, მაგრამ ამაღდ; სამგლოვიარო მარში შოპენის, შუბერტის, ბეთჰოვენის... დიალ, ამ ნაწარმოებებს იგი ყოველდღე ასრულებდა გასვენებებსა და პანაშეიდებზე; მან იცოდა ეს სევდიანი, ცრემლიანი მუსიკა; მაგრამ სიხარულის ემები, ბედნიერების სიმღრა აროდეს გამოუცია მის ვიოლინოს. და არც უფიქრია ოდესმე ამაზე. მთელი მისი წარსული ცხოვრება ისე მოწყო, რომ სიხარულის სულ უბრალო სიმღერა არ ამდგარა მის სულში. მას შეეძლო დაკვრა, და უყვარდა მოსმენა, მხოლოდ ნალვლიანი მუსიკის, იქნებ ღრმა, სულის იდუმალი სიმების შემხები, მაგრამ მაინც მწუხარე, აღამიანს კიდევ უფრო მეტად რომ დაანალვლიანებს და თავს უბედურად აგრძნობინებს. მისმა ვიოლინომ მხოლოდ ტირილი იცოდა. მაგრამ მემუსიკეს ახლა აღარ უნდოდა ტირილი, და აქ საერთოდ ყველას სიცილი სურდა.

ვიოლინოთი მხარზე, მალლაპწეული მიზრაფით. თავალებული იდგა თალხი კაცი და ეძებდა ახალ ხმებს. ჭერზე მრავალსანთლიანი ჭალი კაშკაშებდა. და ამ წუთში მან იგრძნო ის, რაც ზოგჯერ განეცადა ძლიერი, ცხოველმყოფელი მუსიკის მოსმენის ღროს. — ჭალის სინათლემ ისევ დასწვა მისი სანისკანი, მკერდმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი, ის ახლა უკან სტოვებდა სამუდამოდ ყოველივე წარსულს. ჭალი დაეშვა ძირს მეგობრობის, ბედნიერების გიზგიზა ჩირალდნებად. თიფები ტკივილით შეიკუმშნენ საკრავის ყელთან. სულში აღგაზიმის ყიუინა.

მაგრამ, ვოლინო... მას არ ძალუძლა, მან არ იცოდა როგორ გადმოეცა
ეს ახალი ხმები.

კაცმა უმწეოდ მიმოიხცდა გარშემო. ოთახში სიჩუმე იღეა. სტუმრები
სდუმდნენ. შავი ღვინო უცნაურად ლაპლაპებდა ბროლის თლილ ჭიქებში. მან
შეხედა თავის საცოლეს, ერთ წუთს ისინი ერთმანეთს თვალებში შესცემოდ-
ნენ და მას მოეჩვენა, რომ მეგობარმა გაუვო.

— ნუ დაუქრავ... — ჩურჩულით სთქვა ქალმა, იგი ახლა აღარ იღიმებოდა.

და მეორე წუთში სტუმრებმა გაიგონეს რაღაც ზრიალი. — კვნესის მსგავ-
სი, ძლიერი ტკივილისგან გათავისუფლებისას რომ აღმოხდებათ ხოლმე, —
თალხმა კაცმა, ხელიდან გააგდო რა მიწრაფი, თითების ერთი მოძრაობით და-
შვევიტა თავის ძველი საკრავის ყველა სიმი.

და როდესაც ელნათურებით გაკაშკაშებულ, სიჩუმით მოცულ ოთახში
ფანჯრის მინებს მიეხეთქა და ჩაკვდა გაწყვეტილი სიმების უკანასკნელი მწუ-
ხარე აკორდი, — თალხმა კაცმა თავის გვერდზე გადახრით მიუგო ყური...

და ბელნიერებათა და ღვინით მთვრალმა ხმაღაბლა გაიცინა.

ალექო შედევლია.

ორი ლექცი

სამშობლო ჩემი.

ჩონგურს გაუბამს სიმებს ნიავი,
ცაში ისრებად ნასროლ მერცხლებით,
ღამესხურება წყარო წკრიალით,
ბროლის შხეფებით დაეივერცხლები.
შრიალებს ლურჯი სიმინდის ყანა,
ეხეთქებიან ზეირთებს ზეირთები,
გაფოვლი დილით, ზღვა არის განა...
მარგალიტებით დავიტვირთები.
ავყვები ნისლებს და ავფრინდები,
ლრუბლის ჭულაჯებს შევჭრავ ტივებად,
და ცაზე ცურვა თუ მომინდება, —
თავდავიწყებაც მეპატივება...
სუნთქვა მეკვრის და ცეცხლი მედება, —
გული საგულეს ნურც გამიჩერდეს,
ჩემო სამშობლოვ, შენთვის ვკვდებოდე,
და მოწკრიალე ლექსებს გიმღერდე...
კარგია, ცაზე რომ ვკალმასობდე,
და ვარსკვლავებმა მაჩუქონ თვალი;
ცისარტყელების ავყვე კიბეებს,
მეშვიდე ზეცის გამოვხსნა კარი.
რა კარგი რამ ხარ, ყანავ შრიალა,
შენს ლურჯ ზეირთებში კვლავ გამაცურე,
მომეცი გული, ლექსი კი არა,
ეს სიყვარული დამიდასტურე.

თქმული საიალალოდ

იმ მთებს, ზეცამდე რომ აღმართულან,
ახლა ნისლების ბადე ახურავთ,
იქ გაივონე ჩემი ქართული?!

მეც შენი მესმის აქ ჯავახური.

თავს გეფიცები, დამენანება —
არ გადავშალო ჩემი დღიური,
არ გავიხსენო ის ბრწყინვალება,
სითბო მარადი და მშობლიური.
ან, რაღად გიკვირს, მომიხაროდეს,
მთებს გადავევლო ჯიხვის ნახტომით,
ქვლავ მოვიარო ჩიტების წყაროზე
რძედაფრქეული საბალახონი.
შენ მწერ და, ბიჭო, შენმა ბარათმა
ამიმეტყველა მთების შრიალი...
ციცინათელამ ამოანათა,
თუ ელვა იყო, რომ ჩაგვიარა;
დალალებზე მოსული ქალი,
როგორც შარბათი ამოტანილი,
ორი ვარსკევლავი და ორი თვალი,
ტანიც კენარი ალვის ტანივით....
გოქებ არჩევანს, ჰა, საღლევრძელო,
ის მთები იყვნენ შენი მაყრები,
გოლოცავ ქორწილს მომლენი ძველი
და ტოლუმბაშიც არა ნაკლები.
ისევ მოგივალ; ორივემ ერთად,
დავიძმობილოთ საიალალო,
ავაგოთ ლექსი, — აბჯარი მტერთან;
მთების მართალი ლექსი ავაგოთ.
მეგობრები ვართ, მთებმაც, ველებმაც
ამ მეგობრობის თქვან საღიაღო.
შეგსძახოთ მალლა, ხომ გვემლერება,
ლამის გიშერიც ვაგანთიაღოთ.
იმ მთებს, ზეცამდე რომ აღმართულან,
ახლა ნისლების ბადე ახურავთ,
აქ გაიგონე ჩემი ქართული?...
მეც შენი მესმის აქ ჯავახური.

ც ხ ე ნ ე ნ ჯ ი

ჯონდოს მამაზე ამბობდნენ: ვაჟის დაბადებისას დამბაჩების ალით ცა აუხდია და ისეთი ღოლი გაუმართავსო, ზლაპრაც რომ იტყვიან. თბონნაც ჩა-რეულა შერგილ შელეგია. წითელ, ჯერ მათრახმუკარებ ულაყზე მჯდარა და ოცი ცხენი რომ გაწვართულა სუფთა შარაზე, გახელდა თურმე ძველი მხედარი. ორივ მხრივ გადაუკრავს ცხენისთვის აფხაზური მათრახი. გადა-რეულა ულაყი, დასკილებია ცხენებს, გზა პირდაპირ ტყისკენ აულია და... და-კარგულა ცხენიც და კაციც.

ექვს დღეს უქებნიათ დაკარგული. მეშვიდე დღეს წირვა გადაუხდიათ, და როცა ეზოში გაშლილ სუფრას ჩარიგებიან დარბაისელნი, როცა უხსენე-ბიათ დალუპულის „სული პატიოსანი“, ამ ღროს ეზოში შემოსულა უცხენო და უმათრახო შერგილ. შემოსულა და იცინოდა თურმე... შემხედვარებს ცხე-ნი უცვნიათ მის პროფილში, ცხენის ჭიხვინი — მის სიცილში და არეულა სუფრა; აკიცებულან ბავშვები და მანდილოსნები. დამთრთხალან მამაკაცე-ბიც, მხოლოდ ეზოში დაბმული ფაშატი აჭიხვინდა თურმე სიხარულით, და-გლიჯა საბმური, მიეჭრა შერგილს და ჰქენდა ვნებით ატრუებული.

და გაქცეულა ისევ ტყისკენ ცხენკაცი შერგილ, ფაშატიც გაყოლია, გაქცეულა და სამუდამოდ დაკარგულა.

სოფელში ტაბუ დაუდვიათ. ალარავინ ახსენებდა დაწყევლილ სახელს, ალარც თუ ვინმე გაპეარებია შერგილისეულ არე-მარეს.

მარტოდ გაიზარდა ჯონდო. თექვსმეტი წლისას თვალს ვერ შეჰქოდა ვაჟეცაცი. მამასავით უღალჩოხას იცვამდა, თეთრტარა სატევარს ატარებდა ჩერქეზულ ქამარზე, ირიბად დადიოდა და გადარია თურმე სოფლის ქალები.

დედაკაცები ხშირად აგონებდნენ მისაწვევ სიტყვებს, მაგრამ ჯონდოს გახედნილ ცხენებზე მეტად სხულდა დედაკაცები. არც თუ მორჩილი ქალების ვნებიანი შემოხედვა ატყვევებდა. ხანდახან, კარგი ცხენის დანახვისას, თუ აენთე-ბოდა; ცალ თვალს მოხუჭავდა, ქვედა ტუჩზე იკბენდა უნებურად და მაშინ ჩურჩულებდნენ მეზობლები, რომ იგი ზედგამოჭრილი მამამისი იყო.

— ქარბორია! ქარბორია!... — იწყევლებოდნენ ბერდედანი.

ერთხელ მეზობელ სოფელში, ვინმე ურიდიას ცხენი ნახა ჯონდომ. გუ-ლი ეტკინა ჭაბუქს, სახლში დაბრუხდა, დედას მიუახლოვდა. მამისეულ იარა-ლით სავსე ზანდუკისაკენ გაიშვირა ხელი.

— შავი ნაბადი მომეცი, დედა, შავს ლამეში არ გამოჩნდება. დედა — სიხარულო, თოფიც მომეცი!...

მოეხვია შვილს დედაბერი. ათტოლებული ხელით გაუსწორა ჩამოშლილი თმა. მერე ამოილო შავი ნაბადი, დალოცა და მოახურა მხრებზე. ამოილო თოფი დალოცა და გადასცა შვილს.

— სუჯუნის წმინდა გიორგი გფარავდეს!...

ნაბდიანი წავიდა. დედა დარჩა, გაიგონა როგორ გაილო ჭიშქარი, როგორ დაიყეტა და ყველაფერი როგორ გაჩუმდა... საღლაც ძალამა დაიყეთა, ახლა მეორემ, მესამემ... ეტყობოდა: დასავლეთით მიდიოდა ჯონდო; მამამისიც ამ გზით დადიოდა მუდამ და უძრავად გაჩერებულ მოხუცს რაღაც უხაროდა.

მეორე დღესვე დავარდა ხმა: უტუ ურიდიასთვის ცხვნი მოუტაცია ვიღაცას, მდევარი დასდევნებია და სროლაში ურიდიაც შემოჰკდომია გამტაცებელსო.

მას შემდეგ შეღვა ჯონდო შელეგია. მამის ბილიქზე. გაიჩინა „ჯიმა-კოჩები“ და მისგან გატაცებული ცხენები დალესტანშიც კი დაბალხობდნენ თურმე.

გავიდა დრო. შუაპასაქს მიახლოვებული იყო ჯონდო, ეს ამბავი რომ შეემთხვა. შორი სოფლიდან ბრუნდებოდა. მეორე ღამემ შოუსწრო გზაში. ლილისფერ ცაზე ირეოდნენ რუხი ლრუბლები. შეერთდნენ ბოლოს, დაფარეს, ცა და ჰირიზონტები ჩაშავდნენ ერთბაშად.

ეშმავი თუ შეაჯდა ცხენოსანს მხარზე, ასეთი აზრი აეკვიარა: მომკლავენ/ამაღამ.

გულის წამლებად სცრიდნენ ლრუბლები...

ნაბადი გაისწორა ცხენოსანმა. ბოლჩა გახსნა ევოლვერი ამოილო, ნაბადს შიგნით მომარჯვებული ეჭირა სმიტეისონი, /თანაც ფიქრობდა: ეს, ეს არის მესვრიან ამ ხეებიდან, ან კი ვინ იცის, იქნება ზურგიდანაც მესროლონი! — და ოდნავ გაპერა ცხენს მძიმე ქუსლი.

გაფრინდა ცხენი. სიბრელეში გადაყარა ფლოქვების ხმა და უნაგირზე წასრილი ჯონდო, მხოლოდ ხეების სილუეტებს არჩევდა გზის ორ მხარეზე.

წამოდგა ქარიც, აქა-იქ მშრალად დარჩენილი ადგილებიდან მტკერი. აკრიფთა, გაშალა ფრთა და კოკისპირულად მომავალ წვიმას სახეში შეაყარა.

იელვა უხმოდ. გზაზედ ცივი ლანდები დააწყო ელვამ და უფრო მეტად აუტანელი შეიქნა ბნელი.

წამოჰკივლა ცხენს ჯონდო შელეგიამ. თვითვე გაუხარდა თავისი კივილი, ცროთხელ, ორჯელ... და ვაქაფული ცხენი მდინარეში რომ შევარდა, ძლიერს შეემაგრა თავი განთქმულმა ცხენენჯმა. აღვირს შეუშვა, წონასწორობა დაკარგულმა, ის კი დაავიწყდა, რომ მარჯვენა ხელში იარაღი ეჭირა, და ვაურდა რევოლვერი. ტყვია ყურების შუაზე მოხვდა ცხენს — შებლში გაიარა. უმალ დაეცა პირუტყვი, ჯონდოც დაითრია; მაგრამ ჯონდო ვამოვიდა, ცხენი კი დარჩა ფონში გარიყული.

გამოვიდა ჯონდო: მთლად სეელი იყო. ნაბადი ამძიმებდა... რევოლვერი შერჩენოდა ხელში და დებარჩენი თოხი ტყვია სიბრელეს შეახალა ხახაში. გახედა ცას — სხივიც აზ/სხანდა, ბნელოდა ირგვლივ. მხოლოდ იგი იდგა ამ.

დამეში, მქისედ ყოლდა, მიწასა სცემდა და მეორე დღეს, უფრთხობელი ჯონდო
ძეზობლებმა სახლში მიასვენეს.

იმ ღამის შემდეგ მიატოვა ძველი წელობა, ცხენს არავის ახსენებდა მას-
თან. თვითონაც თავჩალუნული დადიოდა. ეშინოდა. მის მიერ მოკლული ცხე-
ნი არსად შეხვედროდა. სჯეროდა: იგი სადღაც უნდა ყოფილიყო ცოცხალი
და ნებიერი.

დიღხანს ფიქრობდა ამ ცხენზე, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა. ნელნელა
დაიფერფლა ღამის მოგონება და ბოლოს გაუჩინარდა კიდეც.

სიზმარივით გაიარა დრომ.

უჩვეულო ამბებმა შესძრა სოფელი; ყველა ქუდისქვეშ კაცი აღმოჩნდა,
ყველა მეტრის ქვეშ გული.

უცვალოდ გაპჭრა ორთავიანი არწივი და ქალალდის ფულზე გამოხატული
თეთრი გორჩვიც.

ჯონდოს მაინცდამაინც არაფერი სწყენია. მის თვალში ყველაფერი ძვე-
ლის იქრს ატარებდა; მხოლოდ, როკა შეიღის ხათჩით, თუ სხვების მიბაძეთ,
ახლად შედგენილ კოლექტივში ისიც ჩაეწერა, მიხვდა: გამჭრალიყო ძველი.

ჩუმი წუხილი შრომაში მოკლა ბერიკაცმა. მერე დახედა საქმეს. თანდა-
თან შეუყვარდა. დილით ვერავინ ასწრებდა სამუშაოდ გასვლას. საერთო:
პატივისცემა დაიმსახურა. „ჯონდო-პატენი“, „ჯონდო-ბაბუა“, ასე იხსენებო-
და იგი სოფელში.

ასე მიდიოდა დროც.

ერთ დღეს ბაზრობა გაემართათ ძველი ეკლესის ეზოში. დასწყევლოს ის
დღეც, ის ეკლესიაც... რატომ ფეხი არ გაუხმა ჯონდოს ვიღრე ხალხში გაც-
რეოდა... ვიდრე იხილავდა....

ეკლესის ჩამოვაზრნილ ჭიშკარს რომ გადაუარა, მაშინვე იცნო... ის იყო
სწორედ... იგივ ფეხები, იგივ გავა, იგივ კისერი... თვალებში კი ვეღარ შე-
ხედა. ეშინოდა: საყველური არ ამოეკითხა: — ამ ოცდათი წლის წინათ, რაღ
მომკალიო შაგს ლამეში!

შებარბაცუა მოხუცი, ისედაც მიმე მუხლები უფრო დაუმძიმდა. მაინც
გაბედა, ცხენს მიუახლოვდა. უნდოდა კისერზე მოხვეოდა, პატიება ეთხოვა;
აეხსნა, რომ არ იყო დამნაშავე.

— გამარჯობა ჩქიმი პატენი, ველარ მიკანი?...

ჯონდო მოტრიალდა. მის წინ მურზა ფირცხალავა იდგა, მისი ძველი „ჯო-
ნაკაზი“, მასავით ცხენებს გადაყოლილი ახლა მოხუცი და ენადწასული.

— გაგიმარჯოს! — როგორ ხარ, ბიჭო?

...კარგად, ძალიან კარგად არის მურზა. ეს სამი დღეა რაც ამ სოფელში:
გადმოვიდა, მარტობა მოეწყინა და აქ გამოთხოვილ ქალთან გადმო-
სახლდა. — ძაან გამომადგა შვილი, ჩემო ჯონდო. აწი მეც თქვენი ვიქენები,
თქვენთან ვიმუშავებ.

ჯონდო არ უსმენდა, და მურზა რომ გაჩუმდა, ეს იკითხა ჯონდომ:

— ეს ცხენი შენ ვინ მოგცა მურზა?!

— როგორ თუ ვინ. შინ გაეზარდე. — ორი წლის კვიცი გავზარდე და
მევე გაუხელნე.

— შენ გაზარდე?

— პო, ახლა მინდა მოვიშორო. უწინ ასეთი ცხენისთვის ხულს გავყიდო—
დი. ახლა ხომ ხედავ, ცხენსა ვყიდი.

ჯონდო ცხენის ფეხებს დასცეროდა.

— მუშტარი აღარ არისო, — განაგრძობდა მურზა. — რად გვინდა, სამუ-
შორდ არ იგარებს. საჯდომად კი აეტომობილი სჯობია. — ხუთ მანეთად სა-
მოც ვერსს გავიცლითო.

მოგროვილ ხალხიდან ვიღაც ახალგაზრდაშ, მოკრძალებით იქითხა ცხენის
ფასი.

მურზამ რომ უპასუხა, ორას თუმანს შატრი არ დააკლდებაო იქითხა თა-
ნაც: — თქვენ რას გაიმეტებდითო? მერე მოჰყვა ცხენის ქებას: ასეთი ცხენი
დადიანებასც კი არა ჰყოლიათ. ახლა სადღა ნახავთ ასეთ ცხენს. ვყიდი, მაგ-
რამ არც მინდა გავყიდოთ.

სიტყვის გაულებლად გატრიალდა მუშტარი — კოოპერატივის ჩარგახის
წინ შეგროვილ ხალხში შეერია და აღარ მოუხედია.

ნელნელ დაიშალნენ სხვებიც.

ისევ ორნი დარჩენა: ტანმალალი მოხუცი ჯონდო შელეგია და გვალვაში
გაზრდილ მზესუმზირასავით მოლუნული მურზა ფრიკეალავა.

შეხედა მურზამ: ეცნაურა ქვედა ტუჩზე დადგმული კბილი. მაცლურად
გაიღიმა და ესა ჰქითხა ძმბილს:

— რას უთვალთვალებ ამ ცხენს, ჩემი ბატონო? ყიდვა ხომ არ გინდა?

483 484 კერაფერი მოახერხა ჯონდომ. ესრა წაილუღლულა: — შვილიშვილისთვის
მინდაო ცხენი.

შარაზე ვიღაც ცხენოსანი გამოჩნდა, მოგვარის დანახვაზე აჭიხვინდა
ულაყი და გადაირია ჯონდო შელეგია. დიდითანია ასეთი ჭიხვინი არ გაუგო-
ნია. ქალის კაპასი ხმა ჰქონდა ამ ცხენს. მეტი ვეღარ შესძლო გამოტრიალდა.
ბარბაციო გასცდა ეკლესიის ეზოს და შარაზე რომ გადავიდა, გაჰყენა... მდი-
ნარის პირას დაგდებულ ხის კუნძხე ჩამოჯდა. ასე იჯდა დილხანს, კერ გაი-
გო როგორ ჩავიდა მზე, როგორ მოსალამოვდა; თვალწინ ცხენი ედგა, ოცდაა-
თო წლის წინათ შემთხვევით მოკლული და დღეს ბაზარზე ნახული ცხენი.

ჯერ ყიდვა იფიქრა, მაგრამ იცოდა, შვილი არ დაეთანხმებოდა. ორას
თუმანს ცხენში არ გაიღებდა. უიმისოც კი არ შეეძლო მოხუცს ამდენი თან-
ხის ერთბაშად შოვნა. ერთი გზა დარჩენდა: — მოეპარა ულაყი.

კერ მოიშორა მაცლური აზრი. ძველი ცხენენჯი გაცოცხლდა მასში და
დაჩრდილა „ჯონდო-პატენი“, „ჯონდო-ბაბუა“, უცებ წამოღვნენ ახალ-
გაზრდობისას დათელილი გზები და დღეები და სამოცწელს გადასულმა ბე-
რიკაცმა ლაჯების ქავილი იგრძნო უცრუად. ცხენი მონატრიებოდათ მოლუნულ
ფეხებს.

და იმ ღამესვე სცადა: ფეხაკრეფით მიიპარა მურზას ქალიშვილის ეზოს-
თან. ჭიშაქართან მისულს ძალი გამოენთო. კიდევ კარგი, ეზო მაღალი მესე-
რით იყო შელობილი, თორემ შესჭამდა ქოფაკი. ეზოს შემღობი დალოცა
გულში, ძალის ლუქმის დამგდები შეაგინა და სახლში მოსული მთელი ღამე
ოხრავდა უმწეობის გმო.

გათენებისას ჩაეძინა ჯონდოს.

ეზმანა: — თათრული ნოხებით მორთულ ოთხში წევს. შორისან თარის-
ხშა ისმის. არა, ეს სამეგრელო არ უნდა იყოს.

ალბათ, აჭარაში ვარ იბრაჟიმ-ბეგ-აბაშიძესთანო, იფიქრა და თვალები დახუჭია.

კარები არ გაღებულა, ოთახში კი ვიღაც შემოვიდა. ახედა: ჩადრიანი ქალი დასდგომია ფერხთით. შავი ჩადრიან მხოლოდ თვალები მოუჩანს. მსხვილი, შავი თვალები მოუჩანს და ეს თვალები ეცნაურა ჯონდოს. სადღაც უნახავს ასეთი მზერა. საღ? ვეღარ გაიხსენა. ჰკითხა:

— ქალო, ვინა ხარ?

ჩადრიანმა ხმა არ გაიმეტა, მხოლოდ თვალებმა მოიღეს საყვედურიანი იერი და უფრო გაღამაზდნენ.

— ქალო, ვინა ხარ?! — ახლა თათრულად შეესიტყვა ჯონდო. ჩადრიანი სდლებდა. პირდაპირ გახვდა შელეგიამ. კარები შიგნიდანაა დაკეტილი. გამოგიცნობო — იფიქრა და მარჯვედ წარტანა ქანდაკად მდგარს, მაგრამ გასხლტა ქალი. კაბის ქვეშ ცხენის წვრილი ფეხები გამოჩნდნენ.

— ცხენი! — იყვირა ჯონდომ და გამოეღვიძა თვის ათახში შწოლს. რჩალი დასჩერებია:

— რა დაგემართათ, პატენი? ძილში ჰყვიროდით!

— არაფერით — უბასუხა. ახალუხი გადაიცა და გარედ გავიდა.

მზე მოსდგომოდა საშუალებელს. ხეთა დაპატარავებული ჩრდილები არხეოდნენ. მზანი სიგრილე იწვა ირგვლივ და მთებზე გადაზნექილი ცა ღდნავ ტოკავდა.

აიგაზე მდგარმა თვალი შეასწრო: ძალლების მთელი ხორცა ასდევნებოდა მეზობლის ახურებულ ძუქნას.

ეს ძალლი შეჩევული ჰყავდა ჯონდოს. ეზოში შეიტყუა. თავლაში შეაგდო, კარი გარედან გადაურაზა:

— გიზამ ოინს! — ლულლულებდა დაალხეინებული მოხუცი.

ის დღეც დაღამდა.

შუალამისას ადგა. სატევარი შემოიტყა. ფარდულოდან გრძელთოკშებ-შული ძუქნა გამოიყვანა, ეზოს გაშორდა და ძალლიც გაიყოლია. დიდ ცაცქს რომ მიაღწია, მარტნივ გაუტვია და მაღალი მესერით შელობილ ეზოს ჭიშკარან გაჩნდა.

შორს, საღრღაც, ხრინწიანი ხმით იყიდა მეტიჩარა მამალზა.

ოთხმოციოდე ნაბიჯზე მოსჩანდა მურზას ქალიშვილის პატარა ოდა. აღის მარჯვენივ თავლა მოექუსულავებინათ. — ამ თავლაში იქნებოდა ცხენი.

დასაცლეთიდან დახედა მთვარემ ქურდსა და ლამეს.

ჭიშკარი უბრალოდ გადაერაზნათ. შეყო ხელი ჯონდო შელეგიამ. ჭრიალით გაიღო მუხის კარი და ოდის ახლოს აყეფდა ქოფაკი. ხეს მოეფარა ჯონდო. ხედავს: აღრენილი ქოფაკი ძუქნას მიეჭრა პირველადვე. შესწყვიტა ლრუნა, დასუნა, გაექექა და უკანა ფეხები ღონივრად გაუსვა მიწაზე.

ცოტახანს იბულრავა ამგვარად. მერე უბრალოდ გაჩერებულ ძუქნას შეეტოტა და სწორედ ამ ღრის, მთელი ძალლონით მოსწია თოკი ხესმოფარებულმა, გამოეცალა ძუქნა და ხვადი ჰაერსლა მოებლაუჭა წინა ტოტებით. დაითრია ძალლი ჯონდო შელეგიამ. საკუთარ სახლისკენ აიღო გეზი. შეახტებოდა ქოფაკი მოლოდინში განაბულ დედალს, წუთიც და მიაღწევდა მიზანს ვნებისაგან ატაცებული. სწორედ იმ ღრის მოსწევდა თოკს ჯონდო შელეგია, ძუქნას დაითრევდა, ათიოდე ნაბიჯს გაატარებდა, ისევ მოიცდიდა. ფიქრობდა თა-

ნაც: — ზოგ კარგ ვაჟუკაცსაც ასე დაატყვევებს ქალი და ვნება ასე დაავიშუებს მოვალეობას, და, ღმერთია ამაში დაშნაშავე, რათ მიჰკერძო ზოგიერთ ვაჟუკაცს ზედმეტი ვნება.

და ქალავ მოსწევდა თოქს. კვლავ შეიცდიდა. იარა ასე, სანამ საკუთარ სახლს მიაღწევდა. აქ კი შეჩერდა, ნებაზე მიუშვა ქოფაკი. წუთის შემდეგ ძალლები თოვეთ გადააბა, თვითონ თავლაში შევიდა, მათრახი და ნაბადი გამოიტანა, ერთი კი გადახედა დათოვილ ძალლებს და ისევ მურზას ეზოსკენ. გასწია, უფრო ფრთხილმა და ხალისიანმა.

უკვე თეთრდებოდნენ პორიზონტები, როცა ჯონდომ ულაყოთან ერთად დასტოვა მურზას ქალიშვილის თავლა. ცხენი იფარა და ისე გასცდა ეზოს. აღვირის ტოტი გადაინაცვლა. მარჯვენა ხელით ჩაკეტა ჭიშკარი; მერე შუბლზე გადაუსვა საფერხეს ხელი, — მიუალერსა:

— ჩქიმი ლაფშა!... ო, ჩქიმი ლაფშა!...

შუბლიდან ხელი კისერზე გადააპარა, მეორეც შეიშველია და შეახტა ცხენს. დაბრებულიყო ვაჟუკაცი, ცხენზე ვეღარ გადაჯდა ძველი ცხენენჯი.

— ავავაი!...

მეორედ სცადა: გვერდზე გაიწია საფერხემ და ისევ ხერხი დასჭირდა შელეგიას. იქვე დაგდებულ ჭვასთან მიაჟენა ცხენი, თვითონ ჭვაზე შედგა, მაგრამ ეშმაკმა პირუტყველი ერთობ განზე რომ დაიჭირა თვი, მაშინ აღვირს დასწია, რრიბად გააჩერა. ერთბაშად მარცხენა აუქნია წინიდან, უკან დაახვეინა.

ჭვას მიეახლა თუ არა ულაყი, გადაალაჯა ჯონდომ; ზურგზე მოექცა ვაჯიუტებულს და უჭირა მათრახი.

— ჰაი და...

წყობით გაისმა ფლორქვების ხმა და მათრახის კვნესა.

მალე სოფელი გათავდებოდა, მერე საით წასულიყო — ახლალა დაფიქრდა ამაზე. სად შეხიზნულიყო გადახვეწილი.

— სვანეთში?!

ან. იქ ვისთან შეინახავს თავს მოხუცი ცხენენჯი. აღარ არიან მისი ძმაკაცები — უშრავლესობა დაიხოცა, ზოგი დასნეულდა, მთავრობა ხომ სეანეთშიაც ასულა თურმე, მთელი გზა მუშგბითა სავსე, — გზა გაჰყავთო სვანეთში:

— მაშ სადღა წავიდეს, სად გადაიკარგოს?!

თათარშიაც ვეღარ გადავა, ან კი ვინ გაუშვებს. პირველ ჭაღურზევე შეაჩერებენ, მოწმობას მოსთხოვენ ცხენის ქურდს.

ახლალა შენიშნა: სოფელს გასცილებოდა. უკვე აღარ მიჰკროდა ცხენი. დინჯად მიდიოდა, თითქოს იმანაც იგრძნო, რომ აღარ არის გზა გაქცეულთა. გამჭრალა იგი — დათარსულა გზა-გასაქცევი.

— ქურდობის დროო, რა იქნ შენ!...

გაბაცდა რიურაუის მსუბუქი ბინდი, უკვე კარგად სჩანდნენ შორეული მთები და ახლოს მდებარე ტყეთა ნაპირები.

წყალს იქით, რომელილაც ღამის ფრინველი მისტიროდა ლამეს.

და უცებ სივრცეში შეიჭრა ძანილი. ძალლების გრიასი დაპფურა მოვარდნილმა ძლიერმა გუგუნმა. ეს კოლექტივის ზარი რეკდა დილაადრიან. წევრებს უხმობდა, სამუშაოდ მოუწოდებდა.

შეიკრიბებიან დიდი ცაცხვის ქვეშ კოლმეურნენი. ყველა თავის ბრიგზადას მოსძებნის, საქმეს მიიღებენ, აფუსფუსდებიან. იკითხავს ვიღაცა: „ჯონდო პატენი რად არ მოვიდაო“.

და მერე სანოვაგე კალათით ხელში, ვინმე მანდილოსანი ყანაში მომუშავი ვაჟეკაცებს, საუზმესავით აუტანს ამბავს ჯონდოს აუგზე.

გახედა მინდორს, გადაჭიმულიყო კოლექტივის ფართო ყანები. მწყრის ფერ მიწაზე აქა-იქ მუქად მოსჩანდა შავი ნახვავები.

აქ ყველაფერი ნაცნობი იყო და საყვარელი. რამდენი თფლი ჩაუღვრია მას ამ ველებში.

მოსწია აღვირს. მოაბრუნა ულაყი. ამოჰკრა მათრახი და სოფელში შევარდა ქვა-ნალთა ელერა.

ორლობეში სისწრაფით მიპროდა ცხენი; ეზოში გამოსული ნამძინარევი გლეხები გაოცებით უცემეროდნენ მიმეროლავ მხედარს. ძალები ათიოდე მეტრზე მისდევდნენ ცხენს. სტოვებდნენ მერე და ერთმანეთს ულრენდნენ, ისე, ჩვეულების თანახმად.

მურზას ქალიშვილის ჭიშკართან შეჩერდა ცხენოსანი. გადმოხტა. აღვირის ტოტი მესერზე ჩამოაგო და სწორედ ამ წუთს, მურზა ფირცხალავაც ჩამოვიდა ეზოში.

— მურზა, ბიჭო... — გასძახა ჯონდომ, — მოდი წაიყვანე შენი ცხენი, ჩემი შვილიშვილისთვის არ გამოდგება, ბაბა, წაიყვანე, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს...

კრინტი ველაო დასძრა გაოცებულმა მურზამ. სამჯურ მოიფშვნიტა თვალები, — ისე შეხედა ცხენს. ის იყო, მაგრამ...

თავი მოიბრუნა. თავლის კარი ღია იყო. არც თუ ძალი სხანდა სადმე და გონებადაკარგულმა იყვირა მთელი ხმით:

— ძალი?.. ძალი რა იქნა?!

ჯონდოს არც კი მოუხედია, ისე გადმოუგდო:

— მართლა, ბიჭო, კინალამ დამავიწყდა — შენი ძალი ჩემს ეზოში აბია, ბალლი გამოგზავნე, წამოიყვანოს!...

მესამედ რეკლა კოლექტივის ზარი.

გლინარის გაღმა

1.

მოგონილია, როგორც იგავი?
 უსმენ და სმენას ეუცხოვება?
 რა საჭიროა, რომელი თვი
 გაეჯიბრება ცოცხალ ცხოვრებას?
 რევოლუციის მედროშემ ბრძანა:
 ავაზაკების არ დარჩეს კვალი,
 არა ოცნებამ, არამედ ძალამ.
 უნდა დალეშოს მტარვალთა რკალი!
 ადგება დილით, ეს ერთიც წავა,
 ემშვიდობება ვხედავ ქალს ვაჟი:
 — გამარჯვებული მოვალ, გფილავარ!
 — მეც გეფიცები, არ გაგცვლი სხვაში!

2.

ორთქმავალს კვამლი გადაეფინა,
 გაქანებული მიიჭრა ხევთან,
 მიწას ცახცახი დააწყებინა
 და აფეთქებულ ხიდს გადახედა.
 „ძლივს!“

მემანქანებ თული შეიშრო,
 ალაპარაკდა გახარებული:
 „ხიდი არ არი, დროზე შევნიშნე!
 ძლივს შევაკავე მატარებელი“.
 გამოიშალნენ და ტყიან აღმართს
 მიაწყდა ახლა მოსული ჯარი,
 თვალდამლვრეული მდინარის გაღმა
 გაავებული გრიალებს ქარი.

„რა იყო?
 წყალში ჩაერდა ქვები?
 ზარია? თითქოს ზარი არ იყო.
 აქ თუ იქნება ავაზაკების.

რაზმი, იქნება სათაღარიგო!“

— ავაზაკები?

გაისმა უკან.

— საით ყოფილან, რა ნიშნებია?

გაღმა არიან, გავიგეთ უკვე, —

მალე გამოღმაც აიშლებიან!

უფროსი მოდის:

— ვინ წამოროშა

ამ მითქმა-მოთქმის თავი და ბოლო!!

ვიღაც მხდალია!

მომეცით დროშა

და მეომრები გამოყვნენ მხოლოდ!

... რიგის გარეშე არავინ დარჩა,

კვლავ მეომარი გამოდგა ყველა

(გამბედაობა ვინ მისცა ლაჩარს,

რომ მოეთხოვოს თავის გამხელა?)...

3.

აპა, სოფელი ძველი იარით,

და უნუგეშო ეზო-ყანები

დაუხვრეტიათ! მაინც იარაღს,

კიდევ იარაღს რად ეტაშება?

აქეთ ჩამოდის რაზმი დაღმართზე,

აქ უკვე ბჭობენ ხმები მეღგარი:

— თუ წითლებია, დიდება მათი,

გავკეთებულვართ ჩვენ და ეგ არი!

... მარტო ერთს

სახე გაფითრებია,

დაბებრებია სქელი ტუჩები:

„ერთი მითხარით, ხან თეხარებია,

ხან წითლებია და ხან ლურჯები,

გამომიყენეს მოთმინებიდან, —

ამდენ ეშმაკებს გადაურჩებით?!

პური აღარ მაქვს...

გვიშველე ღმერთო, —

მოსვენება ხომ ყველას მოაკლდა,

გამაგებინეთ, რა აქვს საერთო

პოლიტიკასთან ჩემებრ მომაკვდავს?

შემოგვევიან აქეთ-იქიდან,

დღე ტანჯვით მიდის,

ლამე გოდებით.

თავი მაინც გვაქვს — აღარ იკითხავთ —

ბოლოს რომელთან დავმეგობრდებით?“

მაგრამ...

უეცრად მოუჭრა ერთმა:

„აღარ შეგვფერის გატუტუცება!
დოისით სად გდიხარ არ იცის ლმერთმა,
ლამე ისევ აქ წამოცუცქდები...
ვისი რა არი, რა ნათესავი,
რა ენა მწარი და რა ცწვიტინა!
სად გიცხოვრია? ან სად თესავდი,
რომ არც პური გაქვს
და აღარც ბინა?

როგორ აენთო, როგორ იწყინა!
განა იკისრა რამე გლეხებთან!

შეჰკივლა:

„თვითონ სადა გაჭის ბინა,
ჩემი გზა-კვალის შენ რა გეხება?!
აი, არ იყოს შენი ხსენება,
თვით უგვანო და გაღმოკარგულო!
ავი თუ არ თქვი, არ გესვენება?
მენთან საუბარს როგორ ვკარიულობ!“...

4.

მართლაც მოზღვავდნენ ალისფერ. დროშით.
აქ ხან ქარია და ხან ყინვები;
მარტის არეულ ქარით გათოშილ
მხელრებს უშოვეს ცივი ბინები.
შტაბმა სასწრაფოდ დაიწყო ბჭობა,
გეგმა გაშალეს, დაფა, ციფრები...
„ძველი შეცდომა კმარა და კმარა,
მეხივით დავკრათ, მაგათი ძვლებიც
ქარს გაეფანტოს“...

ასე, ამგვარად
გადაწყდა კიდეც, დაჰკრეს ნაღარა
და წამოცეივდნენ გაფაციცებით.

5.

წითლებს ამჟამად ჭაბუქი სარდლობს
და მოსვენებას ნახულობს ძვირად...
უცხო ფიქრებს თუ თავი მიანდო,
ისევდაისევ შეხვდება ცირს.
ისევ ჩასწვდება იმავ ქალის ხმა.
(ორი დღის წინათ გამოაცილა):
„შენ შეზრდილი ხარ ამგვარ ქარიშხალს,
შენ გამარჯვება შეგხვდება წილად,
მეც გეფიცები არ გაგცვლი სხვაში!“
და ფრთაშესხმული დატოვა ვაჟი...“

სარდალმა იცის, გაღმა რომ ტყეა,
იქ ერთმა ბანდამ დაისადგურა.
არც შლიფენია და არც მოლტკეა, —
თეთრგვარდიელი გახლავთ თაგუნა.

გაურღვევია ათასი ალყა,
გამოექიმნენ, ვერავინ სძლია.
ხეირიანი ლაშქარიც არ ჰყავს!
ერთი ქაჯი და ტარტაროზია...
განა პირისპირ შეხვდება ვისმე?
განა ჰქონია დიდი შეძლება?
გამოვა,
დაბას აიკლებს, ისევ
გაქანდება და ტყეში შეძვრება.
ჯაშუშობაშიც გამოცდილია,
გველაძუაა და თავგასული.
ახლა ეს მძლავრი ექსპედიცია
რომ დაინახა განაბა სული.
კიდევ გაძვრება?
განაბოს სული!

დღეს გაუვალი რკალი ევლება.
ბრძოლა იქნება არა ბავშვური,
არამედ ჩალაც საშინელება.

7.

ლამე ჩანაცრდა. ცა არ ციმციმებს,
დაბინდულია ოთანის თვალი.
„სად ტირის ქალი?“ —
აღგა და მძიმეთ
თოვლიან ეზოს გაჰყა სარდალი.
„ვიღაც დასტირის გირარის სიმებს,
განა არ გესმით, ქვითინებს ქალი,
უნდა გავიგოთ, ყინვამ, სიკუვემ,
თუ მარტობამ დასკა საწყალი“. —
აი შენობა.

სარდალს მხლებლებიც
მიჰყენენ. შეაღეს ოთახის კარი:
„აქ გაისმოდა მწუხარე ნმები,
რა მძავია, ერთი მითხარით?“
ლრმა მოხუცია ოჯახის თავი,
და ქალიშვილიც — ოჯახის წევრი.
„რამ აგვატირა?
გამაძრეს ტყავი,
ისეც ულონოს მომწყვიტეს. წელი...“

ერთი მითხარით, ხან თეთრებია,
ხან წითლებია და ხან ლურჯები,—
ერთი თუ კარგად შემომხვდებიან,
მეორეს ველარ გადაურჩები...

რა დავაშავე, შენ იცი, ღმერთო,
მოსვენება და ლხენა მომაკლდა...
რა შუაში ვარ?

რა აქვს საერთო
პოლიტიკასთან ჩემებრ, მომაკლდავს?..
... იმ ატამანსაც კარგა ხანს სდიეს,
თქვენ რას გაწყობთ მარტოლ-მარტონი?
თარსი რამ არი, ყალთაბანდია,
დიდი ეშმაკი გახლავთ, ბატონო...
თუ შემოუვლით, რაც არა მჯერა,
და ვიწროებში შეჰყრით დაწოლით,
სინდისს ვიმოწმებ, არ გადარჩება,
რა ჰესწავლება, აწონ-დაწონე...

რომ დაუკვირდე,
სულ დიდი, დიდი,
ორი სამი დღეც კარგად გეყოფა,
თუ გასაოცარ ავი და ფლიდი
ქურდულად არსად გადაგელობა...
გათელეთ თავზე ხელალებული!
კეთილს და ბოროტს
თანდათან ვხვდები:
განა არ ვიცი, თეთრების გული —
ქალის ქვითინზე არ შეწუხდება...
ეს ქალიშვილი თავისთავს უმღერს,
(სასიძო მყავდა — გადამეკარგა)

თუ გემეტებათ პური აჩუქეთ,
ფული რა თავში სახლელად ვარგა!“

სარდალი ამბობს:
— თეთრებს აგინებ
და პოლიტიკა გაფრთხობს ბავშვივით?
— რას ამბობ, შეილო? ნუ გამაგონებ,
პოლიტიკასოა მე და კავშირი?

სარდალი ამბობს:
— თეთრებს აძაგებ, —
რა პოლიტიკა გინდა სხვაგვარი?
— აპა, პა, შვილო, ნუ დამაძალებ,
მოთმინებასაც უძევს საზღვარი!

სარდალი ამბობს:
— ჭავიდეთ, დროა,
შიეცით ყაზრდო, მაგრამ იცოდე,
ბრძოლების შემდეგ კიდევ ჩამოვალ,

არ შეგიბრალებ, არ შეგიცოდებ
და პოლიტიკოსს მაინც გიწოდებ...

8

ახლა დაძრულან, რა აჩქარება,
რა ოფლი, ბუღი და ოშეივარი!
ხან რაზმის თავი თვალს ეფარება.
მიიწევს ჩუმი და უჩინარი...

რამდენი გლეხი გაშმაგებული
გზის მაჩვენებლად მისდევს მხელრობას;
ზოგი ბოლმისგან გაშავებულა
და საუბარი უნდა ეტყობა:

1-ლი

განა ბევრი ფიქრი უნდა,
ან და დიდი კამათი?
ჩვენი მხსნელი, ნახე თუნდა,
მარჯვენაა ამათი.

მე-2

არც თქმა მინდა, არც შექება,
ჯილდოც არავითარი,
დაპირება, წაქეზება,
რალად მინდა, მითხარი, —
მოვეხმაროთ, მოსპონ ბანდა,
გინდა თავსაც გავწირავ...
რა სახელი გაუვარდა,
როგორ გაგვათახსირა!

მე-3

დასრულდება რა პირწმინდად
ომი სამოქალაქო,
დავტრიალდეთ ზღვიდან, ციდან
სარჩო ამოვალეგოთ.

მე-4

ვინ წაგვარომევს, რა წესია,
ვშრომობ, ჩემი — ჩემია,
ბალია, თუ ნათესია,
რაც კი შემომრჩენია.

* * *

გადაუარეს სერებს დანისლულს,
არც დაყოვნება, არც შეჩერება.
აი მიაგნეს

მაღლობს დანიშნულს
მაგრამ როგორლაც არ ეჯერებათ, —
რამ დააეჭვა თვითონ სარდალიც?
„ვინ ისარგებლებს ამ ვიწროებით?
ბანდა ტყეებში ჩაძერება მხდალი
მახეში გაბმის საშიშროებით“.

უგზოდ ნარჩენი მსუსხავ სიოზე
გაფითრებული მზვერავის ცნობით:
„მდინარის გაღმა
ორასიოდე
ბანდიტი წეეს, და
სძინავთ განცხრომით.
ფონი ვერ ვპოვე,
შეველას მოველი,
ადგილობრივიც
არვინ მხვდებოდა,
მარტო მოხუცი
შემხვდა, რომელიც
გამალებული
ნავში ჯდებოდა...
ვერ მოვასწარი —
გაღმა გასცურა.
მისი ძალა და
ნიჩბის ხმარება,
მისი მხნეობა
და ვაუკაცობა
მრვალ ჭაბუქსაც
შეეხარბება...“

9

შემოაბრუნეს ვეშაპის თავი,
ბოლოც მოუხვევს — რაზმი ბრუნდება.
ფონი რომ იყოს, ახლავე ვავა
და გაღმა ცეცხლი აგუგუნდება.
ფონი არ არის?
პირდაპირ გავალთ!
რის დანანება, რა დანანება!
იხუვლეს!
დაჭრილ ფოცხვერებს ჰგეანან,
რაკი გაბედა სარდალმა ნება.
მასაც მიმართა ორმა რაზმელმა:
„ჩვენი ვალია, გინდა თუ არა,
უნდა გიშველოთ წყალში, რაზედაც
არ გევადრებათ ბრძანოთ უარი.“

მდინარის გაღმა რალაც მზალდება,
მეხი კი არსად აფეოქებულა.
ნუ თუ გაიგეს არაშზალებმა?
რა უცნაურად დაფეოთებულან!

„დავიწვებით და დავიდაგებით
თუ განგება არ დაგვეხმარება“ ...
ვით კალიები, ან ვირთაგვები
დარბიან ყეფით და გატარებით.
რა მახე არი? რა ეწოდება!

საით სჯობია დაიწყონ შებმა?
„ჩქარა! წითლების წრე ვიწროვდება,
ჩქარა წითლების წრე იკუმშება“.
ჩქარა და ჩქარა!
წრე იწურება...
განა არ უდრის
სიკვდილს ტყვეობა?
სიკვდილი არვის
დაეწუნება,
თუ სიკვდილამდე
მიჰყვა მხნეობა,
მაგრამ თეთრების
სხეაგვარ ბუნებას
ამდენი როგორ
მოეთხოვება?
ადგნენ და ხელის
შეუბრუნებლად
ქედი დახაროს
ძალლთა ხროებმა.

დაბრუნდნენ...
სახდალს სიცხე აწუხებს.
წექს და მოესმით მისი ბრძანება:
„ტყვე ატამანთან ვერ ვნახე წუხელ;
ერთი მაჩვენეთ, ნუ დამზარდებით.“
... კვლავ აეშალ ფიქრები მწველი,
გონების თვალი რას არ მისწვდება.
რომ იოუნებო ათასი წელი
კაცს საოცნებო არ გაგიწყდება...
მაგრამ ოცნება ან და სიზმარი
ასე საოცრად რას გამოსახავს:
ტყვე მოუყვანეს, ის საზიზლარ
ნაფნობი იყო, საღლაც ენახა.

„არ მაგონდება, მაგრამ ცხალია,
დამებმარებით...
რაღაც მეცნობა...
თუ გამოტეხა არა სწადია,
ძალა იხმარეთ, რა გაეწყობა.“
— თვითონ გამოტყდა! გახსოვთ, ეზოდა
ხმა მოგვესმოდა მტირალი ქალის?
თუ მოიგონებთ, ეს იქ კვნესოდა,
როგორც ქალარა ცამდე მართალი!..
შამოიწია...
თვალი ერევა:
— აჰა, ეშმაკის კერძო, გიცანი
ამბობდნენ ტყვიაც ვერ ერევაო, —
გასწორდი, ტყვიას გამოგიგზავნი!

3. აგალიანი.

კ ე ვ ა ლ ე რ ი

ორი წლის შემდეგ, ქალაქში ჩამოსვლის პირველ დღესვე გულმა ვეღარ მოუთმინა.

დაღლილი იყო, წინააღმინთ გამოუძინებელს, მგზავრობაში დაბნეულს ლა-მის მუხლები ეკეცებოდა.

ღონიერი ბიჭი ფეხით გამოვლილმა ათმა კილომეტრმა — სოფლიდან ოკი-ნიგზის ბაქნამდე, ბაქანზე ლოდინმა, — მატარებელში უალაგობის. გამო ფეხზე დგომამ საგრძნობლად მოქანცა, მაგრამ... უარესად დაღლილიც რომ ყოფილი-ყო, რუსთაველის გამზირის უნახავად მაინც ვერ გასძლებდა...

ორჯერ თავიდან ბოლომდე აიარ-ჩაიარა გამზირი; აქა-იქ ხეებთან შე-აგუფულ ახალგაზრდებში ნაცნობებსაც მოჰკრა თვალი, არ მისულა — დღეს მათთან ლაპარაკის თავი არა ჰქონდა — ხვალიდან დაიწყებდა...

ერთს მაინც ვერ ასცდა... თავი რომ სამშეიდობოს ეგონა, ვიღაცამ დაუ-ძახა, მოიხედა; ახალი სახლის სადარბაზო შესასვლელთან ნაცნობი გოგონა იდგა, უცინოდა, ცოტა მორცხვობდა, კარებს ეფარებოდა, რადგან შინაურუ-ლად ეცვა — ჭრელი-წითელი ფოთლებიანი სარაფანი და გაცვეთილი, ქუსლებ-მოლრეცილი ტუფლები.

თითონაც გაუცინა, მივიდა, ხელი მაგრად ჩამოართვა: ვაჟი არ მორცხვობ-და — თავმომწონედ იდგა, არც დაღლილობას იმჩნევდა; თუმცა მის ჩაცმუ-ლობას არაქალაქური იერი ჰქონდა: საყელოგახსნილი — უკრაინული ხალათი, პარუსინის უგემურად შეკერილი შარვალი და უაზრო ფიგურებით ზედაპირ აქრელებული — ბაზარზე ნაყიდი ლოსის ტყავის ტუფლები ეცვა, ხალათზე ფართო ქამარი ერტყა, რომლის ვეებერთელა კრიალა აქზინდზე ლაპარაკის დროს ხშირად ეყრდნობოდა ცალი ხელით, ქალი მაინც ხარბად ათვალიერებ-და თავიდან ფეხებამდე, გამოცვლილი — გამშენიერებული ეჩვენებოდა.

...ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. გოგო-ნა ქალაქში დარჩა — უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლად, ვაჟმა კი რაიონს შიაშურა და ორ წელს თავის სპეციალობაზე იმუშავა.

ვაჟს მისი სახელი უკვე დავიწყებოდა, გვარი კი ახსოვდა: უუუუნაშვილი იყო; ეს გვარი მისი თვალების ფერს და გამომეტყველებას მართლაც შეჰვე-როდა, რასაც, ალბათ, თითონ სხვაზე უკეთესად გრძნობდა და, ამიტომაც ვინ-მესთან გაცნობისას თავის გვარს ყოველთვის ხმამაღლა და გარკვევით წარმო-სთვევდა.

ვაჟი ქებაძე იყო, მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით საქები არაფერი გაუკეთებია, გაცნობისას ან ვინმეს შეკითხვაზე თავის გვარს ყოველთვის გაუჩევლად ბუტბუტებდა. დარწმუნებული კი იყო, რომ მისი გვარი ხელმეორედ ქებას მალე დაიმსახურებდა და ახალგაზრდა ქებაძე წინაპრების ვალსაც შორის დადა.

მოულოდნელმა შეხვედრამ ორივენი გაამარა. ერთმანეთს ამბები ვაჭო-ჰკითხეს, იცინეს — რამდენჯერმე სინანულითაც გაიქნიეს თავი — ორიოდე — უდროოდ გარდაცვლილი ამხანგის ხენებაზე.

როცა სალაპარაკო ამოსწურეს და ქებაძემ შეატყო დუმილის საშიშროება ახლოვდებოდა, უუფუნაშვილთან ბოლში მოხადა — სხვა დროს მონახულება აღუთქვა — ხელი გაუწოდა, კარგად ყოფნა უსურვა და დაემშვიდობა.

იშვიათი სანახვი იყო გამზირი ამ სალამოს: — აუარებელი მოსეირნენი, მათი მრავალფეროვანი ჩატულობა, ხმაური, ფუსფუსი; გამზირის ფართო ქუჩისა და ბულვარის მოასფალტებული ზედაპირი — საღამოს მოსული — ხან-მოკლე, ძლიერი წვიმის შემდეგ — მთვარიან ღამეში მდორედ მიმავალი მდინარის ზედაპირივით ლაპლაპებდა; უამრავი ერნათურების სხივთა მრავალფეროვანი ანარეკლის და მოსეირნეთა მერთალი გამოსახულებით აფორეჯებული.

ამ საღამოს ნახულით ნასიმოვნები — სახლში წასვლას რომ აპირებდა, უნებურად ლალიძის გემოვნებით შეზავებული სეროფანი წყალი მოაგონდა და ისე მოენატრა — გამზირის ბოლოდან უკან დაბრუნებაც კი არ დაეზარა.

↗ წყლების მაღაზიაში შევიდა, ტალონი აიღო და რიგი დაიკავა. რიგში კარგა ხანს მოუხდა დგომა; საღამოობით აქ ბლომად იყრის ხალხი თავს...

ჰენდროს სეროფით შეფერილი წყლიანი ჭიქა ხელში აიღო და მიბრუნდა, რათა შემდეგისთვის ადგილი დაეთმო, მაგრამ მიბრუნებისას გვერდით რიგს ვარეშე მდგარ უცნობ გოგონას შეეფეთა, თავი ვეღარ შეიკავა, მკლავი შეაქნა და... გოგონას მშევნეირი კაბა დაუსველა; ვაჟის მოუქნელობით გაოცებული და შეურაცყოფილი გოგონა გარეთ გავიდა უმაღვე, რათა ცნობისმოყვარეთა ყურადღება არ მიექცია და ლაპარაკის საგნად არ გაეხადა ეს შემთხვევა; ქებაძეც შეწუხდა, ბოლიშის მოხდაც ვერ მოასწრო, ისე გაუქრა თვალიდან ის უცნობი. წყლით საცსე ჭიქა დაზგაზე დასდგა და უცნობ გოგონას გამოუდგა.

როცა დაუახლოვდა, ნაბიჯი შეანელა — ახედ-დახედა: მაღალი გოგონა იყო უცნობი, მწიფე შენიდისფერი კაბა ეცვა, საღა, მაგრამ ისეთი ოსტატობით და გემოვნებით შეკერილი, რომ მისი სხეულის უთულდ უნაკლო ფორმების მოყვანილობას უფრო მეტად მიმზიდველს და სრულყოფილს ხდიდა. წელზე მეშის ფართო ქამარი ერტყა, ქამარი სწორედ თეძოების ნაპირებს ებჯინებოდა და სიარულში რიტმიულად ტოკავდა.

ვაჟი გაუსწორდა, გვერდში ამოუდგა, მკლავზედ ფრთხლად ხელი შეახო და უმაღვე გაუშვა. გოგონამ ოდნავ წაიბორიძე თითქო. არ შეჩერებულა. უცხო ხელის შეხებისას ინსტიქტურად ცალი მხარი აზიღა და ქებაძეს მედიდური სინაზით — ოდნავ მინაბული თვალი შეავლო, გრძელწამწამიანი ზემოქუთოვები ხანდაზმით დახარა ძირს და თავი მობრუნა... იცნო... ხმა არ გაუცია, არც გაუფრთხილებია რითიმე, ქუჩაში ხელის შეხება მეორედ რომ არ გაებედა.

კაბის მოკლე, იდაყვის ზემოდ მოჭერილი სახელოდან თავის ხელისგულისოდენა — ნაპირებმოქარეული ცხვირსახოცი გამოაცოცა, ლამაზად მოხაზული ტუჩების კუთხეებზე ფრთხილად მიიღო, უხმოდ ამოიოხრა.

შებაძემ გადახედა, გაულიმა...

— მე თქვენს ყურადღებას, ალბათ, ვერ მივიქცევდი, იმ შემთხვევას რომ ხელი არ შეეწყო!...

— ?

— როგორც გატყობთ, ძალიან გულმოსული ხართ ჩემზე?...

გოგონა ჩევულებრივ არაფერს პასუხობს, არც კი გადახედავს, რომ თავისი ლმობიერი გამოხედვით მაინც აგრძნობინოს: — „არც იმდენადო“.

— სწორედ იშიტომ მივეცი თავს ამდენის ნება რომ... — ვაჟი სათქმელს აღარ დაასრულებს...

— უნდა გამოვტყდე, რომ თქვენს სიახლოვეს ყოფნა და ლაპარაკი ძალიან სასიამოვნოა!... — ვაჟი ისევ შეჩერდება — პგონია ახლა მაინც უბასუხებს მოთმინებიდან გაშოსული გოგონაო, — თუნდაც ასე... „მერე ვინ გიშლით — იარეთ და ილაპარაკეთ!“... ისევ თვითონვე დაასრულებს: — სასიამოვნოა, თუმცა ჯერჯერობით არც აეს მეუბნებით, არც კარგს... სოქეთი რამე!...

— ?

— მე მგონია ჩემი ლაპარაკი კარგად გესმით, თუმცა ახლა ისე თავისუფლად ვერ ვლაპარაკობ, რომ თქვენისთანა გოგონას ყურადღება ამით მაინც შივიქციონ — თუ გარეგნობით არა!...

— ?

— რა ენაზე ლაპარაკობთ ყველაზე კარგად?

— ?

— თქვენ შეიძლება რამდენიმე ენა იცით, მაგრამ მშობლიური ალბათ ქართულია, გარეგნობა ქართველისა გაქვთ.

გოგონას მოგრძო სახე — შავი თვალები და ზომიერი სისქის — შუაზე თდნავ ხაზვამრულებული ცხვირი მართლაც ქართველს ამსგავსებდა.

— მაში ჩემთან არცერთ ენაზე ლაპარაკი არ გსურთ!

— ?

— თუნდაც მისაყვედურეთ — რომ ასეთი მოუქნელი ვარ, მშვენიერი კაბა დაგისულეთ და ხალხში გაგაწითლეთ, რომ თავხედიც შეიძლება ვიყო. გამზირზე მოვისურვე აუარებელ ხალხში უცნობ გოგონას მკლავზე ხელი მოგავლეთ და ნებადაურთველად აგედევნეთ, გელაპარაკებით — თავს გაბეჭრებთ... ყველაფერში, ყველაფერში შეგიძლიანთ დამდოთ ბრალი, მაგრამ ქართში კი ვერ შისაყვედურებთ...

— ?

— მართალია, ქართხელ დალაპარაკების შემდეგ, ასე აღვილად თქვენი დათმობა გამინებულება, მაგრამ თუ ჩემგან ბოდიშის მოხდაც არ გსურთ — სხვა გზა არა მაქვს, გარდა იმისა, რომ მშვიდობის გზა გისურვოთ.

— ?

— მე მხოლოდ ვალის მოხდა მინდოდა — უფრო სწორად ბოდიშისა, თქვენი — საუბედუროდ არაფერი მმართებს. ხომ არაფერი მმართებს?

— ?

— შეიძლება იფიქროთ, რომ წინასწარი განზრახვაც მქონდა თქვენთან გაცნობისა და სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, თითქოს... გეფიცებით არც მინა-სავხართ არასოდეს და არც ის გამიგია, როგორ გაჩნდით იქ, მაღაშიაში ჩემს გვერდით... ხომ მართალია?...

— ?

— არც ამას მიდასტურებთ?... დუმილი, როგორც ვრწმუნდები კარგი ხერხია არასასიამოვნო უცხობის თავიდან მოსაშორებლად.

ვაჟი შეხედავს, გაუცინებს, ცილილობს პასუხი როგორმე გამოსტყოს...

— ეს მანც მითხარით, სანამ დაგშორდებოდეთ: — თქვენ დუმილს მე ვა-წირები პირველ მსხვერპლად, თუ იყვნენ სხვებიც?!

— ?

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორივენი საბჭოთა ახალგაზრდები ვართ; მე მგონია, ერთმანეთისადმი უფრო მეტი თავაზიანი და ზრდილო-ბიანი მოაყრიბა გემართებს... მე თუ რამ ცუდი ჩავიდნე, ეს წინასწარ გან-ზრახვით არ მომხდარა; უნებური და შეიძლება უგუნური შემთხვევის ბრა-ლი იყო... ქუჩაში რომ დაგეწიეთ და შინაურულად საუბარი გაგიმართეთ, გარეგნულად ასეთ საქციელში თქვენ შეიძლება ცუდი რამ იპოვნოთ, მაგრამ გულით რომ კარგი სურვილები მომქონდა, — სწორედ ამან მაიძულა და გა-მათამამა... მე მხოლოდ ბოდიში მინდოდა მომეხადა; თქვენს წყენას ამ საღა-მოს სახლში ვერ წავიდებდი. — ჯერ არავის მოვალე არ ვყოფილვარ... არ ვი-ცოდი, მეორედ როდის შეგხვდებოდით, ხუმცა ჩვენი ქალაქი არც ისე დიდია, რომ ერთხელ ნახული უკვალოდ წაგეკარგოს... ამას გარდა — შეიძლება ით-ქვას — ცოტა ნერვიული უნდა ვიყო, როგორც ვატყობ... მოთმინება ბოლომ-დე არ მყოფნის ხოლმე... თქვენც პირველივე თავაზიან და ზრდილობიან შე-კითხვაზე ხმა არ გამეცით... არც კი შემომხედეთ... როგორც ახლა, ისე მიღი-ნართ — თითქოს... თუმცა უნდა გამოვტყდეთ — სიარული იშვიათი გაქვთ; ლა-კის ტუფლებიც ძალიან გიხდებათ, მაგრამ ეს თქვენი მომხიბლავი თვისებე-ბი — შეიძლება ბოდიშის მოხდით ითქვას — უფრო მეტი ქების ღირსი გახ-დებოდა, თქვენივე ამპარტავნება რომ წინ არ ელობებოდეს...

— ხომ შეგეძლოთ თავიდანვე გაგერტოხილუბინეთ... რომ სანამ ერთმა-ნეთს ოფიციალურად არ გავიცნობთ — უფრო შესაფერის ადგილს და შესაფე-რის პირობებში — და სხვა ამგვარი — მაგრამ მაშინ ხომ ბოდიშის მოხდას აზრი აღარ ექნებოდა...

— არა, თქვენი ბრალიცაა — ჩამითჩიით; პირველ — თქვენის მხრივ დუ-მილით შეხვედრილ შეკითხვას მეორე, მესამე და მეათეც მოჰყვა... თავი გამო-ვიდე — შეიძლება დავიმცირე კიდეც.

— ?

— მე მგონია სანამ ერთმანეთს დავშორდებით — ერთი სიტყვით მანც გამცემთ პასუხს. ცუდი არაფერი შიკადრება... არც შეგვფერის ასეთი; საბ-ჭოთა ახალგაზრდები ვართ!..

და კიდევ ბევრი რამ უნდა ეთქვა, რომ როგორმე გოგონას გული მოეგო, მაგრამ გოგონა სწორედ მაშინ თავის ნაცნობს შეხვდა. ხალხისთვის სიაულ-ში რომ ხელი არ შეეშალათ, ბულვარის ნაპირას დადგნენ, უმცლვე ხელები უკაურად შეათამაშეს ჰაერში... თითებს ხან პირზე, ხან მკერდზე მიიღებდნენ და თვალებით, პირით უსიტყვოდ გრომანეთს რაღაცას უხსნიდნენ... შემდეგ

ორივე ხელებს ისევ სწრაფადა აათამაშებდნენ ხოლმე ჰაერში, თითქო ობობა-
სავით — უხილავი ძაფით რაიმეს ქსოვდნენ...

ქებაძე განცვიფრებული შესცემოდა; გამვლელები წამდაუწუმ ეტა-
კებოდნენ, მაგრამ ის ვერც კი გრძნობდა ამას და არც იმათი საყვედურები ეს-
მოდა. გოგონებმა რამდენჯერმე მოიხედეს გაუცინეს და მერე ისევ თავისთვის
განაგრძეს ხელებით — უსიტყვო საუბარი...

„ასეთი ლამაზი, ასეთი მოხდენილი გარეგნობის პატრონი და“... სინანულით
იგონებდა სახლისკენ მიმავალი ქებაძე იმ გოგონას, იმ საბრალო გოგონას,
რომელსაც ვინ იცის როგორ უნდოდა ქებაძისთვის საკადრისი ბასუხი გაე-
ცა, მაგრამ...

ისარი ვინიანოვი

ପରେଇଲ୍ଲିଙ୍ଗାନ: „ଫୁଲ୍ବେଳି ଓ ଆତମକାବି“

11

იური ტინიანოვმა, თანამედროვე რუსული ისტორიული პროზის საუკუთხესო ძალაშია, ლიტერატურული მოღვაწეობა თავდაპირველად ლიტერატურათმცოდნეობაში დაიწყო. მისი პირველი შრომა ამ მიმართულებით ეხებოდა დოსტოევსკისა და გოგოლის პროზას,*) სადაც იგი ლიტერატურული პაროდიის საკითხებს არკვევდა. 1924 წელს გამოვიდა ტინიანოვის ცნობილი გამოკვლევა „სალექსო ენის პრობლემა“, რომლის პირველს ნაწილში ავტორი აყალიბებს თავის შეხედულებას ლექსის არტმზე, ხოლო მეორე ნაწილში ვრცლად არჩევს წიგნის მთავარ თემას — პოეტური ენის აზრობრივ მხარეს. ტინიანოვის ეს შრომა ფუძემდებელ გამოკვლევას წარმოადგენდა რუსული ფინრმალის-ტური სკოლისთვის.

ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ტინიანოვის გამოკვლევებისა და წერილების კრებულს „არქაისტები და ნოვატორები“; კრებულს წინ უძღვის ორი წერილი — „ლიტერატურული ფაქტი“ და „ლიტერატურული ევოლუციის შესახებ“, რომლებშიაც (ისევე, როგორც „სალექსო ენის პრობლემაში“) ავტორი იყალიბებს თავის მეთოდოლოგიურ თვალსაზრისს ყანჩისა და კაზმულ სიტყვიერების ეფელუციის საკითხებზე.

მართალია, ტინიანოვის შემოქმედების ზოგიერთი თავისებულებანი ახსანა
მისსავე თეორიულ შეხედულებებში პპოლობენ, მაგრამ ამ უკანასკნელთა
მიმოხილვა აქ შორს წაგვიყვანდა. სკიოთხები, რომლებსაც ი. ტინიანოვი არ-
ჩეს თავის თეორიულ ნარკოვებში, იმდენად სპეციალურია, რომ ქართველი
მკითხველისთვის ის მისაწვდომი და გასაგები გახდება მხოლოდ ვრცელი ექს-
კურსის შემდეგ რუსული და ეფროპული ლიტერატურათმცირების სფერო-
ში. ჩვენი წერილის ამიტან კი არის ტინიანოვის როგორც მწერლის შეფა-
სება, რასაცირველია, ზოგადს ხაზებში.

2

პირველი მხატვრული ნაწარმოები იური ტინიანოვისა არის „კუნ-ლია“ — ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი დეკაბრისტი პოეტისა და პუშკინის მეგობრის კიუხელბეკერის შესახებ. ავტორია ამ პირველივე წიგნით ცხადნის

^{*)} „გოგოლი და კოსტოვები“, 1921.

პყო თავისი იშვიათი ლიტერატურული ტალანტი, ეპოქის შესანიშნავი ცოდნა და ინტენსიური ხელოვნების მაღალი ოსტატობა.

პოეტი-არქაისტი ვილჰელმ კიუხელბეკერი პუშკინის მეგობარი იყო ლი-ცეუმიდან. მან მონაწილეობა მიიღო დეკაბრისტთა აჯანყებაში 1825 წელს. როგორც ცნობილია, აჯანყების მრავალი მონაწილე და მათ შორის კიუხელბეკერიც დაატყვევეს, ზოგი მათგანი დასაჯეს და ზოგიც ციმბირს გადაასახლეს. კიუხელბეკერმა ცახესა და გადასახლებაში 20 წელი დაჲყო და გარდაიცვალა ციმბირში 1846 წელს. აი ეს ისტორიული პიროვნებაა რომანის უმთავრესი გმირი. მისი თავისადასავალი, მისი ბიოგრაფია წარმოადგენს რომანის სუეტს.

ი. ტინიანოვის ამ რომანში ისტორია გადმოცემულია ბიოგრაფიულ პლანში, უმთავრესი გმირის ბეღთან დაკავშირებით. ალექსანდრე I-ისა და ნიკოლოზ I-ის უანდარმული რუსეთი ერთის მხრივ და დეკაბრისტი-პოეტი თავისი მოწინავე იდეალებით მეორეს მხრივ — აი ფონი ამ ისტორიისა.

ტინიანოვი არ არის მარტოოდენ ფაქტოლოგი-შხატვარი. მას ესმის ისტორიული პროცესის შინაგანი აზრი, თუმცა მისი კონცეპცია ყოველთვის ფატალისტური აჩვენა. დეკაბრიზმის ის უცქერის, როგორც მოძრაობას, რომელსაც არ გააჩნდა ვრცელი საზოგადოებრივი დასაყრდენი. რევოლუციურ-რომანტიკული ილუზიები, რომლებსაც მისი მონაწილეობი ატარებდნენ, არ იყო სოციალურად მომწიფებული, დეკაბრიზმი არ იყო ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა. ამან გამოიწვია მისი დამარცხება:

კიუხელბეკერი ტიპიური დეკაბრისტი იყო თავის პოლიტიკური მისწრაფებით. ამიტომ თვთონ მოძრაობის არასრულყოფილობა მის ბიოგრაფიისაც ექსცენტრიკისა და თავდამტხვევულის ბიოგრაფიას ამსაგასებს. ეს არის იდეალისტი პოლიტიკაში, არქაისტი — ლიტერატურაში, — უნიადაგო მეოცნებე, მაგრამ არაჩვეულებრივად მიმზიდველი ისტორიული ფიგურა.

რომანი იწყება კიუხელბეკერის ცხოვრების იმ პერიოდის აღწერით, როცა მალგაზრდა პოეტს პანსიონი აქვს დამთავრებული. ის შეჰყავთ ლიცეუმში. აქ კიუხელბეკერი გაიცნობს მასთან ერთად მიღებულ ამხანგებს — პუშკინს, დელვიგს და სხვებს. ტინიანოვი შესანიშნავად აღწერს ლიცეუმის პერიოდს ამ პოეტების ბიოგრაფიაში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კიუხელბეკერი იწყებს ნამდვილ ლიტერატურულ მუშაობას, თანამშრომლობას უურნალებში. ამავე ხანებში იწყება მისი, როგორც პოლიტიკურად არასანდო პიროვნების, ჩამოყალიბება. ალექსანდრე I-ის პოლიცია მას თვალს ადევნებს.

კიუხელბეკერი მიემგზავრება ექროპაში. ის გერმანიაშია — „შილლერისა და გოეტეს სამშობლოში“. შეხვედრები ტიკთან, გოეტესთან... გერმანიიდან საფრანგეთში. კითხულობს ლექციებს პარიზში.

ევროპიდან კიუხელბეკერი ისევ პეტერბურგში ბრუნდება, მაგრამ გარეშე საქმეთა მინისტრის ნესელრიოდეს ჩჩევის თანახმად ალექსანდრე I ამ „მოუსვენარ ახალგაზრდა კაცს ასეთსავე მოუსვენარ ქვეყანაში“ — კავკასიაში — აგზავნის. 1821 წლის 31 აგვისტოს იგი პეტერბურგს ჩასულ ერმოლოვთან ერთად მიდის საქართველოში (ერმოლოვი საქართველოს მთავარმართებელი იყო 1817 — 1827 წ. წ.).

ტფილისში კიუხელბეკერი ჩამოდის ოქტომბერში. აქ ის ხვდება გრიბოედოვს, რომელიც მაშინ ერმოლოვთან მსახურობდა.

რომანის ამ ნაწილში მეტალია ტფილისის სურათი, სამაგიეროდ კარგად არის აღწერილი რამდენიმე სცენა მთავარმართებელ ერმოლოვთან (მაგალითად, მთერლი ჯამბულათის დახვრეტა ერმოლოვის მიერ). ტინიანოვი ხატავს კავკასიას, როგორც ერმოლოვის პატარა სამეფოს. იმპერატორს ეჯავრებოდა და ეშინოდა კიდევაც „საქართველოს პროკონსულისა“:

კიუხელბეკერი ტფილისშიაც ისევ ისე აღზუძებულია, განუხორციელებული პროექტებით თავში, დულიანტი და მოუსცენარი... ის სტოებს საქართველოს და მიდის ისევ რუსეთში. რამდენიმე ხანს ცხოვრობს სოფელში, მაგრამ არც აქ პოულობს მყუდროებას. იწყებს ცხოვრებას ისევ პეტერბურგში, თანამშრომლობას უურნალებში, მაგრამ — „არ იყო ფული, არ იყო მდგომარეობა და, რაც მთავარია, არ იყო პატარა. ყველანი ცხოვრობდნენ რალაც უჰაერო სივრცეში და რალაცას ელოდნენ. რუსეთს მართავდნენ უვიცი ბერები, რომელნიც ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ; ცენტურა არ უშვებდა ლექსებს ქალებისადმი, თუ ამათ ლიმილს ლექსებში ზეციურს უწოდებდნენ. არაკჩეევი მარლი თვალებით აკვირდებოდა: ვინ არღვევდა წესრიგს?“... მეფის რუსეთი წარმოადგენდა რალაც მოჯადოებულ წრეს, რომლისაგან თავის დალწევას ლამობდნენ საუკეთესონ. „ახ, რომ დამშვიდდებოდნენ ისინი, ანუკეშონ ყველა, ალექსანდრე [გრიბოედოვი], ვილჰელმიცა, და უბედური პუშკინი!“ — ნატრობს უსტინკა.

გარეშე ბედისწერა, განწირულების კანონი მეფობს ყველა ამაზე. აკე ასე აღელვებს ვილჰელმს პუშკინის სტრიქონები:

И ваши сени кочевые
В пустыне не спаслись от бед,
И всюду страсти роковые,
И от судеб защиты нет.

მაგრამ იყო ერთად-ერთი იმედი — ცდა ამ ტირანისაგან თავის დაღწევისა. ვილჰელმი მონაწილეობას იღებს დეკაბრისტების გამოსვლაში.

ტინიანოვი მშვენივრად აღწერს პეტრეს მოედანზე დეკაბრისტების გამოსვლას და ამბოხების ჩაქრობას. დაიწყო ტერორი.

ვილჰელმი ცდილობს გაპარვას საზღვაო-გარეთ. დიდხანს ხეტიალობს სხვისი პასპორტით. ბოლოს შეიძყრობენ ვარშავაში. შემდეგ — ციხიდან ციხეში. გადასახლება ციმბირში.

ციმბირში კიუხელბეკერი დაქორწინდება. ბავშვები... შეხვედრები გადმოსახლებულ პუშკინთან და ზოგიერთ დეკაბრისტთან... ლიტერატურული მუშაობა მარტოობაში.

ჯერ კიდევ ციხეში გაიგებს კიუხელბეკერი გრიბოედოვის მოქვლას ირანში, ციმბირში კი — პუშკინის ტრალიკულად დალუპვას. „აღარ არიან მეგობრები, საფლავშია რილევი, საფლავშია გრიბოედოვი, საფლავშია დელვიგი, პუშკინი“. და ჯერიც მასზე მიღება.

3.

„კუხელია“ ერთერთი საუკეთესო ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანია უახლოეს რუსულ ლიტერატურაში. პოეტის დალუპვა — აი თემა ამ რომანისა.

ტინიანოვი შეუდარებელი მხატვარია ამ თემისა, რომლის გაშლაში მას ბადა-ლი არ მოეპოვება.

ი. ტინიანოვი, როგორც ისტორიკოსი-მხატვარი, განსაკუთრებული სიფრ-ხილით ეპყრობა დოკუმენტურ მასალას, მისი რომანები ამხელენ ავტორის დიდი ერუდიციას, ეპოქის ბრწყინვალე ცოდნას. მწერლის მიერ ეპიზოდები უაღრესად დოკუმენტირებულია, აღლგვნილია არა მარტო ბიოგრაფიული მო-მენტები, არამედ ყოფითი წვრილმანები, ეპოქის აქსესუარები. მაგრამ ტინიანოვი არ არის დოკუმენტის ტყვე, ის კრიტიკულად ეპყრობა მასალას, ამჩენეს ხარების და სიყალებს. ავტორის მეოთხი მდგომარეობს ფაქტების შინაგანი კანონზომიერების პოვნაში, მის ხელახალ გადააზრებაში. ამაშია ტინიანოვის, როგორც მხატვრის პათოსი.)

„სადაც დოკუმენტი თავდება, იქ მე ვიწყებო“ — სწერს ტინიანოვი (კრე-ბულში „როგორ ვწერთ“, ლენინგრ. 1930). მან იცის ძაფის გაბმა დოკუმენტირებულ და უდლენებულ პერიოდებს შორის გმირის ბიოგრაფიაში. ამიტო-მაც დოკუმენტის მიერ ნაკარნახვი ან მწერლის მიერ დამოუკიდებლად მიგ-ნებული მომენტები ნამდვილ ისტორიად იქცევიან, ხოლო ხშირად დოკუმენტ-ზე აღწერილ ფაქტში ავტორი ამხელს სიყალებსა და შეუსაბამობას.

ტინიანოვი დამკვირვებელი ფსიქოლოგია. „კუხლიაში“ კარგად არის ნა-ჩენები განწირულება 20-იანი წლების საუკეთესო აღამიანებისა მეფის რუსეთ-ში. აი, გრიბოედოვის შინაგანი პორტრეტი:

„გრიბოედოვი ბოლთას სცემდა ოთახში. სევდა ერეკებოდა მას კუთხიდან, კუთხეში, ატრიალებდა მაგიდის ირგვლივ. ის ნაცნობი სევდა, რომელიც ერე-კებოდა მას პეტერბურგიდან საქართველოში; საქართველოდან სპარსეთში, აიძულებდა წაექეზებინა აღამიანები დუელისთვის და უხეშად ელაპარაკნა ქალებთან“.

ეს სევდა დაბადა მაშინდელმა რუსეთმა. ამ სევდამ გამოიყვანა კიუხელ-ბეკრი — ტიპიური წარმომადგენელი ოციანი წლების რუსეთის თავად-აზნა-ურული ინტელიგენციისა — სენატის მოედანზე.

მაგრამ აჯანყება ნააღრევი იყო („რამდენად მომაკედინებელია ნააღრევი ამბოხი!“ — ამბობს თვითონ კიუხელბეკერი) და ამან იმსხერპლა იგი. შეკი-ხველი დაჭიმული ყურადღებით აღევნებს თვალს არქაისტპოეტის ბიოგრაფიას, რომელსაც ავტორი იშვიათი ლიტრიზმით მოვციოთხობს.

მთელი რიგი ადგილები რომანისა, ავტორს შესრულებული აქვს ისტატუ-რად. განსაკუთრებით კარგად არის აღწერილი პეტერბურგი და ციმბირი. გა-ლერეა პერსონაჟებისა დახატულია უნაკლოდ. ასეთებია მაგალითად — ვილ-ჰელმის მეგობრები, პოლიციელები შულგინი, ერმოლოვი, გრიბოედოვი, დუ-ნია, ბულგარინი, გრეჩი და სხვები.

რომანის ენა ნათელია და გამჭვირვალე. ასაგ სტილიზაცია და მანერუ-ლობა.

„კუხლია“ დიდი მონაპოვარია საბჭოთა ისტორიულ-ბიოგრაფიული. ლი-ტერატურისა.

ი. ტინიანოვის მეორე დიდი რომანის „ვაზირ-მუხტარის სიკვდილის“ მო-ქმედი პირია — გრიბოედოვი. ეს რომანი უშუალო გაგრძელებაა „კუხლიასი“.

თუ ავტორს თავის პირველ რომანში აღწერილი აქვს 20-იანი წლების ჩე-
ვოლუციონერი. პოეტის დალუპვა, „ვაზირ-მუხტარის სიკვდილში“ ნაჩვენებია
დალუპვა იმ ადამიანისა, რომელიც გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას დეკაბ-
რისტების გამოსალის დროს, რომელმაც უღალატა თავის მეგობრებს და მოწ-
ყო სამსახურში ამხანაგების მკვლელებთან. მართალია ამ კაცის იდეები 1825.
წლის 14 დეკემბერს მოკვდა სენატის მოედანზე, სადაც მისი მეგობრები და-
შარქედნენ, მართალია ისიც, რომ გრიბოედოვა-ჩაცის იდეალები დამარხა
მას ახლა გრიბოედოვა-მალჩალინის როლის შესრულება უხდება, — მაგრამ ფი-
ზიკურად ის ჯერ კიდევ არ არის მკვდარი, ის შეგუებულია ახალ გარემოსთან.
„ვაზირ-მუხტარის სიკვდილის“-ს თემა — ბედი გაორებული ადამიანისა, მწერ-
ლის, რომელიც შინაგანად უკვე მკვდარია და რომლის ცხოვრება ბედისწერას
თავისი სურვილისამებრ წარუმართავს. ირანელები თეირანში არსებოთად
მკვდარ გრიბოედოვს ჰკლავენ!

მართლაც-და: 1828 წლის გრიბოედოვი ახალ პირობებსა და უცხო გარე-
მოს შეგუებული, უძალესი რანგის მოხელეა ნიკოლოზ I-ის რუსეთში. მისი
ამხანაგებიდან — ზოგი ციხეში ზის, ზოგიც საკატორო სამუშაოებს ასრულებს,
ზოგიც გადასახლებულია. ის კი, გრიბოედოვი, ერთერთი იდეოლოგიური მეთა-
ური აჯანყებისა (თავისი კომედით („ვა ჰქეუსაგან“), ახლა ზის იმათ შორის,
რომლებმაც ჩააღრჩეს ამბოხება სენატის მოადანზე, აკეთებს იმათ საქმეს, რო-
მელთა წინააღმდეგაც მისი ამხანაგები იბრძოდნენ. ის — მოღალატეა, სიტყვა
„ლალატი“ თან სდევს მას:

„ჯერ კიდევ ასი წლის წინათ სიტყვა „ლალატი“ ისმოდა ხოტბიდან ან შო-
რეულ გადმოცემიდან. აღებულ სიტყვად. უკვე ასი წლის წინათ მიცეკვიჩია
შესცვალა „ლალატი“ — „რენეგატად“.

„სახელმწიფოს საზღვრებს გადასული ლალატობდა არა სახელმწიფოს,
არამედ ტანსაცმელს, მეტყველებას, აზრებს, ჩრდილოსა და ქალებს. გერმანელი
პოეტი, რომელიც იძულებული იყო ეცხოვრა პარიზში, სწერდა, რომ ჩემი აზ-
რები გადასახლებულია ფრანგულ ენაშით. ორმაგი რწმენა, ორაზროვნება, და
მათ შორის წვრილ ხიდზე — ადამიანი“.

ამ ხიდზე დგას გრიბოედოვიც!

აი, ის ჩადის მოსკოვში ცნობილი „თურქენჩაის ზავით“ ხელში, რომელიც
იმპერიალისტური რუსეთის დიდი მონაპოვარი იყო და რომლის მიღწევაში
გრიბოედოვს დიდი წილი მოუძლევის [ამ ზავის თანახმად სპარსეთი ეკონომიუ-
რად დამოკიდებული ხდებოდა რუსეთისაგან]. მოსკოვში ყოფნისას ის შეიცვლის
ერმოლოვთან, ოცანი წლების ცნობილ გენერალთან, რომელთანაც ის მსახუ-
რობდა არამდენიმე წლის წინათ საქართველოში და რომელიც ნიკოლოზ I-მა
მოხსნა მთავარმართებლის პოსტიდან [მის ადგილზე დაინიშნა პასკევიჩი, უნი-
ჭი სარდალი, ერმოლოვის მტერი, ნათესავი გრიბოედოვისა]. ეს ის ერმოლო-
ვია, რომელმაც გააფრთხილა გრიბოედოვი დეკაბრისტების აჯანყების მონაწი-
ლეთა დაპატიმრების დღეებში და საბუთები დაწვევინა წინასწარ.

გრიბოედოვსა და ერმოლოვს შორის იმართება დიალოგი, რომელიც აშიშვ-
ლებს რომანის მთავარი გმრის ნამდვილ მდგომარეობას ახალ გარემოში.

„გრიბოედოვმა გადასდგა ნაბიჯი მისკენ, დაბნეულად გაიღიმა. მოხუც
შექერდა.

— თქვენ ვერა მცნობთ მე, ალექსეი პეტროვიჩ?

— როგორ არა, გცნობთ, — სთქვა უბრალოდ ერმოლოვმა და, ნაცვლად გადახვევისა, წითელი, ბუსუსებიანი ხელი გაუწოდა გრიბოედოვს. ხელი იყო სველი, ახლახანგაბანილი.

შემდეგ ასევე უბრალოდ აუარი გვერდი სტუმარს, მიუჯდა მაგიდას, და ეყრდნო მას და ოღნავ წინ წაიწია გამომეტყველებით: მე გისმენთ!

გრიბოედოვი დაჯდა საგარენელში და ფეხი ფეხზე გადაიდო. შემდეგ, ისე ძალიან დაკვირვებით მაცქერალმა მასზე, როგორც მკვდრებს უცქერენ ხოლმე, დაიწყო ლაპარაკი:

— ჩქარა გავეგმზავრები და დიდი ხნით. თქვენ მე ისე ხშირად მეფერებოდით, ალექსეი პეტროვიჩ, ან შემეძლო არ შემომევლო გზად თქვენთან გამოსათხოვებლად.

ერმოლოვი სდუმდა.

— თქვენ როგორაც გსურდეთ, ისე იფიქრეთ ჩქმზე, — მე ჩემს თავთანაც უზანხმოება მაქვს, მეშინია, ხომ არ მიჭირთ ახლა მე რაიმე გადაკრულ აზრში, თოთქოს თქვენი ჩემდამი კარგი განწყობილების მოპოვება მსურდეს. თქვენ გამიგებთ, ალექსეი პეტროვიჩ: მე გამოსამშეიდობლად შემოვიარე.

ერმოლოვმა სამი თითოთ ამოილო ჯიბიდან საყნოსავი მწვანე თუთუნი და უხეშად მიიტანა ნესტონებთან. თამბაქო გაიფანტა ნიკაპზე, უილეტზე და მაგიდაზე.

— მე არასოდეს არ მოგფერებივართ თქვენ, ეს სიტყვა არც არის ჩემს ლექსიკონში. ეს ეილაც სხვა გეფერებოდათ თქვენ: უბრალოდ — ვხედავდი, რომ სამსახური გიყვარდათ, პირფერული სამსახური გეზიზღებოდათ. თქვენ ხომ ამაზე კომედიაშიც სწერდით, მე კი ასეთი ადამიანი მიყვარდა.

ერმოლოვი ლაპარაკობდა თავისუფლად, არაფითარი ძალდატანება მის სიტყვაში არ იყო.

— ხელა კი სხვა დროა და ადამიანებიც სხვანაირნი არიან. და თქვენც სხვა ადამიანი ხართ. მაგრამ რაღაცაც თქვენ სხვა ადამიანი იყავით წინათ, — და მე წინანდელი დრო უფრო მიყვარს და პატივსვეუმ მას, ამიტომ თქვენც ნაწილობრივ მიყვარხართ და პატივსვეუმთ.

გრიბოედოვი შეიშმუშნა:

— თქვენი ქება არც ისე კანონიფრია და, ყოველშემთხვევაში, ნაჩქარევია, ალექსეი პეტროვიჩ! მე თქვენ სულივით მიყვარდით და თუნდაც ამაში მაინც დავრჩი უცვლელი.

ერმოლოვი ემზადებოდა ცხვირსახოცის ცხვირთან მისატანად.

— თქვენ, მაშასადამე, არც თქვენი სული გიყვარდათ?

მან ერთბაშად დაცემინა ცხვირი.

— და, მაშასადამე, სულს მოინახულებთ ხოლმე გზად პასკევიჩიდან ნესელროდესაკენ?“ (ნესელროდე — ვალე-კანცლერი იმპერიისა).

ეს დიალოგი რელიეფურად ამხელს 30-ანი წლების იმ „გარდაქმნილი“ ადამიანის მდგომარეობას, რომელმაც წინანდელ იდეალებსა და ამხანაგებს ულალატა. ამას კარგად გრძნობს თვითონ გრიბოედოვიც.

გრიბოედოვს ჩააქვს. პეტერბურგში ცნობილი „თურქენიას ზავი“ მას განსაკუთრებულის პატივით მიიღებს ნესელროდე.

მიუხედავად იმისა, რომ გრიბოედოვის მიზანი იყო დიდი ხნით დაესვენა და ამ უნდოდა სამსახური, მას დანიშნავენ სრულუფლებიან ელჩად და მინისტრად სპარსეთში. ეს აშკარად მისი სურვილის წინააღმდეგ მოხდა.

გრიბოედოვი მიემგზაურება საქართველოში. მცირე ხნით ოჩება ტფილის-ში, საღაც იქორწინებს ნინო ჭავჭავაძეზე... პეტერბურგიდან აჩქარებენ გაემგზავროს ირანში. ტფილისიდან ის ჩაღის თავრიზში, აქედან კი — თეირანში.

სპარსეთში გრიბოედოვი ზუსტად იცავს თურქმენჩაის ტრაქტატს — ახდე-
ვინებს ხარკს ირანელებს, მფარველობას უწევს იმ ემიგრანტებს, რომელთაც
სურა რუსეთში დაბრუნება და სხვ. ამ პოლიტიკის შედეგად მის წინააღმდეგ
ეწყობა შეთქმულება, რომლის სულის ჩამდგმელი არიან ირანის შაპის პირვე-
ლი მინისტრი, გრიბოედოვის პირადი მტერი ალაიარხანი (რომლის პარემიდან
გამოქცეული ორი ტყვე; სომხის ქალები, შეიფარა გრიბოედოვმა) და ინგლი-
სელები. გარეგნულად კატასტროფის მიზეზი აღმოჩნდა ის, რომ გრიბოედოვმა
მფარველობა გაუწია მუსულმანობა მიღებულ ხოჯა-იაკუბს, რუსეთის ყოფილ
ქვეშევრდომ სომებს, რომელმაც შაპის სასახლე დასტოვა და საელჩის შეეკედ-
ლა [და ეს პირველი შემთხვევა როლი იყო!]. შაპია და სასულიერო წოდებაშ
ის უკან მოითხოვა, მაგრამ იაკუბმა არ ისურვა თავისი ნებით მათთან მისვლა
და გრიბოედოვმაც ელჩის მოვალეობათ ჩასთვალა მისთვის მფარველობის გა-
წევა. ამან კი ყველაფერს გადააჭარბა; თეირინის სასულიერო წოდებამ გრიბო-
ედოვის წინააღმდეგ გამოაცხადა ჯახათი („შმინდა ომი“), დაიწყო აგიტაცია
შიზეგითებში და ქალაქის გააფთრებული ბრძო დაქსხა საელჩო.

და ას, როცა გრიბოედოვმა იცის, რომ შეთქმულნი მას მოჰკლავენ, იგი
თიღქოს გულგრილად ელოდება თავის სახელისწერო დასასრულს. გრიბოედოვ-
სა და მისივე სინიდისს შორის იმართება დიალოგი, რომელიც მშვენიერად გაძ-
მოგვცემს ელჩის გულგრილობას ფატალური მომენტისაღმი. მოგვყავს ამ და-
ალოდის ბოლო სტრიქონები.

— შეიძლება ჯერ კიდევ არ არის გვიან?

— გვიანაა, არ არის გვიან, — გრიბოედოვმა ხელით მოშორა ის, ორ-
გორც თავმომაბეჭრებელი მოლაყბე, — მე თვითონ კარგად ვიცი ყველაფერი.
— ზაგრამ საჭიროა გაქცევა, გაქცევა. საშინელებაა სიკვდილი — შემდეგ
არაორი, არ ნახავ, არ გაიგონებ.

— მე არ მინდა ამაზე ვითქიქრო, — სოჭვა გრიბოელოვმა, — მე კეთილსინ-
დისიერად გასრულებდი ტრაქტატს, — სოჭვა მან და აღგა“.

მეორე დღეს ბრბო შეცვივდა საელჩოში, გრიბოედოვს ჰქულავენ და მის
ას სახის ახალი გადასახვას ართა თორთხანს ათრივენ ქალაქის ქუჩებში.

გვამს, სხვა ცხელრებთა ართად, დიღმას არ უკეთ ეძლება ეს კანონი. ასე დაიღუპა „ორმაგი რწმენისა და ორაზროვნების წერილ ხილზე“ მდგარი ადამიანი, ავტორი სახელგანთქმული, დაუბეჭდავი კომედიისა. წინააღმდეგობა ადამიანის შინაგან ბიოგრაფიასა და ისტორიის მსვლელობას შორის — ამ გობა ადამიანის შინაგან ბიოგრაფიასა და ისტორიის მსვლელობას შორის — ამ რიცხვებს ამ კატასტროფას. გრიბოედოვი, როგორც „გარდაქმნილი“ ადამიანი, წინასწარ დასალუპავად იყო განწირული: 20-ანი წლების ადამიანი, რომელიც არ გასულა სენატის მოედანზე, საჭირო არის 30-ან წლებში თავისი გარდაქმნისას სასახლის მიერთების მიზანისათვის. მას აღრევე უნდა დაეტოვებინა ასპარეზის მიზანისას, ამ შეცოომა! მართალი იყვნენ პეტერბურგი და ნესელროდე, როდერეზი, — ამ ზედმეტ კაცს აგზავნილნენ ორანში, მართალი იყო გრიბოედოვიც, რომაც ამ ზედმეტ კაცს აგზავნილნენ ორანში, მართალი იყო გრიბოედოვიც, რომელმაც ნებაყოფლობით მიიღო წინასწარ გათვალისწინებული სასჯელი!

„ჯერ კიდევ არაფერი არ არის გადაწყვეტილი!“ — ამ სიტყვებით თავდება რომანის პროლოგი.

„ჯერ კიდევ არაფერი არ იყო გადაწყვეტილი!“ — ამ სიტყვებით იწყება რომანის თხრობა.

ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი! — შეუძლია სთქვას მკითხველ-შა რომანის დასრულებისას.

5.

შესაძლებელია, ბევრი რამ საკამათო იყოს ტინიანოვის ამ რომანში ისტორიული პროცესების გაგების მხრივ, მაგრამ უმთავრესი გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტი მწერალს იშვიათი სიზუსტით აქვს შესრულებული. ამ მხრივ „ვაზირ-მუხტარი“ გაცილებით უფრო რთული ნაწარმოებია, ვიდრე „კუხლია“.

რომანში გატარებულ იდეას ფატალიზმისას, რომელსაც ზოგიერთინი უსაყვედურებენ ტინიანოვს, როგორც ნაძალადევად მოფიქრებულ ტენდენციას, თავისი საფუძველი გაჩნია. ღოვანენტალურად ცნობილია, რომ გრიბოედოვი წინასწარ გრძნობდა თავის დალუბევას, იწინასწარმეტყველა კიდევაც; რომ ალიარ-ხანი ადვილად არ შეაჩენდა მას „თურქმენების ზავს“. მომყავს ერთი ღოვანენტი:

მისი მეგობარი ბეგიჩევი, რომელთანაც შეიარა გრიბოედოვმა სპარსეთს-გამგზავრების წინ, ჰყვება შემდეგა:

„მისი ჩემთან ყოფნის მთელს განმავლობაში იგი იყო განსაკუთრებულად პირქუში, მე ეს შევნიშნე მას. მან ხელი გამიყარა მკლყვარი და ლრმა მწუხარებით მითხრა: „მშევდობით, ძმაო სტეფან, საჭვაოა, რომ ჩვენ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს“. — „რა საჭიროა ასეთი ფიქრები და ეს იპოხონდრია? — შევდავე მე, — შენ ყოფილხარ ბრძოლებშიც, მაგრამ ღმერთი დაგხმარებია“. — „ მე ვიცნობ სპარსელებს, — მიპასუხა მან, — ალიარ-ხანი ჩემი პირადი მტერია, მე ის გამაჭრობს. არ მაჩქუქებს მე ის ირანელებთან დადებულ ზავს“. (იხ. გრიბოედოვის თხუზულებათა კრებული, პიკსანოვის რედაქციით, ტ. I, გვ. LXXV, პეტროვგრ. 1911). მოსალოდნელი სიკვდილის წინათგრძნობის შესახებ ელაპარაკებოდა ამ დღეებში გრიბოედოვი აგრეთვე თავის სხვა მეგობრებსაც — ბულგარინს, უანდრს და სხვ. (იხ. იქვე).

ტინიანოვი ამ რომანშიაც ფრთხილად ექცევა მის ხელში არსებულ მდიდარ ღოვანენტტურ მასალას. ამ მასალის დაკვირვებული ანალიზი მოწმობს მწერლის ტაქტსა და გონიერებას.

როგორც ესთქვით, რომანში შესანიშნავდა არის დამუშავებული მთავარი, პერსონაჟის — გაორებული. ადამიანის — ფსიქოლოგიური მხარე. ამ მომენტს ამაგრებს რომანის სტილიც. „ვაზირ-მუხტარში“ თხრობა მიმდინარეობს სიმბოლიკისა და მეტაფორის ჩარჩოებში, ხშირად ნართაული სიტყვა, ნახევარტონები, სანები და მოვლენები დანახულია ძირითადი პერსონაჟის თვალით, ხშირად ავტორიც გმირის მაგიერ მოგვითხრობს. ეს იწვევს ე. წ. შინაგანი მონოლოგების სიხშირეს, სუჟეტური დინამიკის შენელებას ფსიქოლოგიური ანალიზის ხარჯზე.

ავტორის აზრით, დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ საიდუმლო პოლიციის მეთაურის „ბენკენდორფის ოსტეიზისებური სიბრმავე იქცა პეტერბურგის

ჭეცად“ . ამ ატმისფერაში მოქმედობს გრიბოედოვი, რომელიც ჩაადაეს ეუბნება: „მე ჯერ კიდევ არ შევშლილვარ სავსებით — ვაჩჩევ ადამიანებსა და საგნებს, რომელთა შორის კომიტეტის“ *).

მიუხედავად სტილის ამ თავისებურებისა, რომანის პერსონაჟები არ ჰყავანან სქემებს: მართალია, ავტორს მთელი ყურადღება გადატანილი აქვს მთავარ გმირზე, მაგრამ მთელი ჩივი სხვა მოქმედი პირების პორტრეტებიც პლატიური სიზუსტით არის შესრულებული. დაუკიტყარია, მაგალითად, ერმოლოვის, ჩაადაეს, ბულგარინის, სენკოვსკის, ნესელროდეს, საშა გრიბოედის და სხვათა სახეები. რამდენიმე შტრიხით ჰხატავს ავტორი გრიბოედოვის დედასა და სალომე ჭავჭავაძეს. ასევე კარგად არის აღწერილი ორანი და ცერემონიალები აბას-შირზასა და შაპის სასახლეებში. აღსანიშნავია ცალკე სკენები — შეხვედრა ჩაადაეთან, ერმოლოვთან, გამოცდები სენკოვსკისთან, ქორწილი სამსონ-ხანის სასახლეში, საელჩის აკლება ირანელთა მიერ და ლირიული ფინალი რომნისა — პუშკინის მიერ გრიბოედოვის ცხელრის, — „გრიბოედს“, — ნახვა გზაზე [ტინიანოვის დაკვირვებით — ტფილისში მიაქვთ ყალბი გვამი!].

მაგრამ ამ რომანშიაც მკრთალია ტფილისის სურათი, მკრთალია ნინო ჭავჭავაძის არმანტიული სახეც. შესანიშნავი ქართველი ქალის სრულ პორტრეტს, ჩანს, ძალზე ავნო ავტორის ტენდენციურმა თვალსაზრისმა: თითქოს ნინო ჭავჭავაძის შერთვაც არ იყო განსაკუთრებით დიდი სიხარული „გარდაქმნილი“ ადამიანის ბიოგრაფიაში. ამ შეხედულებას არ ამართლებს თვითონ გრიბოედოვის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელსაც ტინიანოვი, რასაკვირველია, ჩინებულად იცნობს.

რომანის კითხვას ხშირად აძნელებს „შინაგანი მონოლოგების“ სიჭარებე და დინამიკის უქონლობა. ერთი წელიწადი (1828), რომელიც „ვაზირ-მუხტარის სიკვდილის“ დროს განსაზღვრავს, აეტორს შევლის საერთო ფონის მეტი სისავსით დახატვაში, მაგრამ ფსიქოლოგიური ანალიზის ვრცელობა რომანს სტატიურისა ხდის: „ვაზირ-მუხტარი“ არ იკითხება ისე აღვილად, როგორც „კუხლია“.

ასეთი ცალკეული ნაკლის მიუხედავად ი. ტინიანოვის ეს რომანი უაღრესად საინტერესო მიღწევაა რუსული ისტორიულ-ბიოგრაფიული პროზისა.

6.

მესამე დიდი რომანი ტინიანოვისა „პუშკინი“ — აეტორს ერცელ ეპოპეად აქვს განზრახახული. ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებულია ამ ნაწარმოების პირველი ნაწილი მხოლოდ.

სანამ ამ რომანის წერას შეუდგებოდა, ტინიანოვმა დაბეჭდა სამი მოთხობა — „პოდპორუჩიკი კიუჟ“, სანთლის პერსონა“ და „მცირე-წლოვანი ვიტუშიშნიკოვი“. მოკლედ ამათ შესახებაც.

სამიერე მოთხობა ორიგინალური სტილით არის დაწერილი, სამიერე სუკეტად აღებულია ანექდოტური მასალა.

*) ფრაზა, რომელსაც ტინიანოვის რომანში გრიბოედოვი ეუბნება ჩაადაეს 1828 წელს, აეტორს აღებული აქვს გრიბოედოვის წერილიდან პოეტ კატენინისადმი 1820 წლის თარიღით (იხ. გრიბ-ის თხულებათა კრებული, ტ. III, გვ. 136; 1917). მწერალი ზოგჯერ მიმართავს ასეთს ანაქრონიზმებს, მაგრამ სრულიად შეგნებულად.

„სანთლის პერსონა“, ყველაზე დიდი მოთხოვბა დასახელებულთა შორის, პეტრე პირველის ეპოქას ეხება. მოთხოვბის დასაწყისში აღწერილია თვითონ პეტრეს სიკვდილი. რუსეთის იმპერატორი ხედავს თავისი საქმის კრახს. არ იცის ვის უტოვებს სახელმწიფოს, რომელიც შექმნილია მისი გრანდიოზული რეფორმების შედეგად; მთელი საქმიანობა პეტრე პირველისა ავტორს გამოკა-დებული აქვს იმპერატორის პირად საქმედ. ინტრიგები, რომელიც გაიშლება პეტრეს სიკვდილის შემდეგ ბურუჟაზიულ ფენასა და ბოიართა შორის, არსებითად მთავრდება რუსეთის „დიდი გარდაქმნელის“ სისტემის დამარცხების წაინტერესოა სიმბოლიური ხაზი მოთხოვბისა: იმპერატორის მანეკენი, — სანთლის პერსონა, — რომელიც გაკეთებულია სკულპტორ რასტრელლის მიერ, ზოგჯერ ამყარებს წონასწორობას სასახლის მებრძოლ მხარეთა შორის: ეს არის გამობატულება გარდაცვლილი იმპერატორის ავტორიტეტის ინერტიული ზედ-გავლენისა]. იაგუშინსკი, წარმომადგენელი გაჭრული ბურუჟაზიისა, იძულებულია შეუჩიგდეს ბოიარულ-ფეოდალურ წოდების წარმომადგენელს, მეტ-შიკოვს.

მოთხოვბაში ეს ძირითადი იდეა მკაფიოდ არა ჩანს. „სანთლის პერსონა-ში“ ნატურალიების [ნამდვილი პერსონაჟების] გვერდით მოქმედებენ მონა-ტრები — იშვიათი საგნები — პეტრეს მიერ დაარსებულ „კუნსტკამერაში“ (ხე-ლოვნების მუზეუმში) მოთავსებული ექსპონატები. ყველაფერი აქ მისტიურ ელეფტერს ატარებს. მე-17 საუკუნის ენის მიხედვით სტილიზირებული თხრობა „სანთლის პერსონას“ ძნელად ასათვისებელს ხდის, მოთხოვბა სტატიურია; ამ ნაკლს ვერ ინაზღაურებს კარგად გადმოცემული ცალკეული შტრიხები და დე-ტალები ყოფისა, რომელიც ეპოქის იშვიათ ცოდნას ამეღლავნებენ. ოსტატუ-რად არის შესრულებული სახეები რასტრელლის, იაგუშინსკის, ეკატერინას; კარგია ზოგიერთი სცენა, განსაკუთრებით — აღწერა პეტრეს სასიკვდილო და-ნიისა. მოთხოვბის ამ აღვილას ჩანს კინოს გავლენა [საგნებისა და ლანდშაფ-ტების კადრული სვლა].

„პოდპორუჩიკ კიუე“-ში გამოყენებულია შემდეგი ანეკდოტი პავლე I-ის ეპოქიდან (ჩვენ მას მოთხოვბის მიხედვით გაღმოვცემთ):

პრეობრეებუსკის პოლკის კანცელარიაში ახლად დანიშნულ გადამწერს ბოლკისაღმი ბრძანების ნუსხაში აჩქარების გამო ორი შეცომა გაეპარა: პო-რუჩიკი სინიუხავეი ჩასწერა მკვდრად, რაღაც მისი გვარი მოხსენებული იყო მკვდარი მაიორის სოკოლოვის შემდეგ. მეორე შეცომა კი მოუვიდა იმ დროს, როცა სწერდა ფრაზას: „Подпоручики же Стивен, Рибин и Азанчев наз-начаются“... („ხოლო პოდპორუჩიკი სტივენი, რიბინი და აზანჩევი ინიშნები-ან“...). სიტყვის Подпоручики-ს, დამთავრებისას შემოვიდა ოფიცერი, გადამ-წერმა წერა შეაჩერა კ-ზე, გამოეჭიმა თავის უფროსს, ხოლო შემდეგ ხელახლა დაჯდა, შეეშალა და დასწერა „Подпоручик киже“. ბრძანება საჩქაროდ უნდა წაელოთ სასახლეში იმპერატორისთვის და ახალი ნუსხის გადასაწერად კა-დრო არ იყო.

პავლემ გადახედა ბრძანებას და პოდპორუჩიკი კიუე — არ არსებული აღა-შიანი, ფიქცია — თავის გუშაგად დანიშნა. ბრძანება უსათუოდ უნდა შეესრუ-ლებინათ. პოლკის კომანდორმაც გადასწყვიტა: ჩაეთვალათ ცოცხლებში პო-პორუჩიკი კიუე — გადამწერის შეცომა!

მეორეს მხრივ — პორუჩიკი სინიუხაევი იძულებულია მკვდრად იცნოს თავი. და ასე, კანცელარული შეცომებისა და იმპერატორის მიერ ამ შეცომათა დაკანონების გამო არ არსებული აღამიანი ცხოვრებას იწყებს, ხოლო ცოცხალი აღამიანი — მკვდრად ითვლება.

მოთხოვთ იწყება პავლე პირველის ძილის აღწერით. მას ანაზღეულად გამოაღვიძებს ვლაცის ძახილი — „ყარაულ!“ სასახლეში ექებენ დამნაშავეს, მაგრამ ვერ პოულობენ. ბოლოს იმპერატორის ადიუტანტი [რომელიც თვითონ არის დანაშაულის ჩამდენი] გამოსავალს ნახავს: ასახელებს კიუეს, როგორც დამნაშავეს. პავლე გასცემს ბრძანებას: სცემონ კიუეს და ქვეითად გაგზავნონ ციმბირში ორი სალდფის თანხლებით.

ასე დაიწყო პოდპორუჩიკ კიუეს ცხოვრება... სასჯელის მოხდის შემდეგ მას აბარებენ პოლქში, სადაც ის დაწინაურდება და აღწევს პოლქოვნიკის ხარისხამდე. მოკრძალებული ხასიათის გამო [კიუე არასოდეს არ მისულა იმპერატორთან რაიმე სათხოვარის გამო] პავლე I მას აჯილდოვებს გენერლის ჩინით, უბოძებს მამულებს და ყმებს. კიუეს ჰყავს ცოლშვილიც.

ბოლოს პავლე მოიხმობს მას თავისთან, მაგრამ იმპერატორს მოახსენებენ რომ გენერალი მძიმე ავად არისო. მესამე დღეს კიუე გარდაიცვლება. პავლე სასახლის სარკმელიდან აღევნებს თვალს დაკრძალვის ცერემონიალს და ამბობს: მე მიკვდებიან საუკეთესო ადამიანებით!

„პოდპორუჩიკი კიუე“ მწვავე ირჩნიაა პავლე I-ის პოლიციურ-ბიუროკრატიულ რუსეთზე. გარდა ამისა, მოთხოვთაში გატარებულია უაღრესად სკეპტიკური ფილოსოფია — შეხედულება აღამიანის არსებობის ეფემერობის შესახებ.

„კიუე“ უფრო სადად არის დაწერილი, ვიდრე „სანთლის პერსონა“ და იყითხება დიდის ინტერესით. მიუხედავად ამისა, მოთხოვთაში ანექდოტური შინაარსი მოკლებულია ნამდვილ ისტორიულ პერსექტივას, ის მაინც ანექდოტად ჩერება, თუმცა მწერალს მისთვის ჩვეული ოსტატობით აქვს ნაჩვენები ეპოქის გარეგნული სურათი.

„მცირეწლოვანი ვიტიუშიშნიკოვი“, -ს შინაარსადაც აგრეთვე ანექდოტური მასალაა აღებული — თუ როგორ გადაარჩინა იმპერატორშა ნიკოლოზ პირველმა დასალრჩებად განწირული ყმაწვილი, თუმცა სინამდვილეში ასეთი არ მომხდარა. საინტერესოა მეორე ხაზი მოთხოვთისა: ნიკოლოზ I-ს გაებუტა მისი საყვარელი — ფრიელინა ნელიდოვა. იმპერატორის სიბრძნის გამო ყველაფერი მერყეობს — პოლიცია ცუდად მუშაობს, ფინანსთა სამინისტროში დაბწეულობა იწყება, სახელმწიფოს მექანიზმი გამრუდებულია და სხვ. ბოლოს ნელიდოვას იმპერატორთან შეარიგებს ვაჭარი როდოკანკი და ყველაფერი ისევ საათივით აეწყობა. მოთხოვთის აზრი: ვაჭარი იმპერატორზე უფრო ძლიერია!

მოთხოვთის შესანიშნავი ადგილებია: იმპერატორის მგზავრობა ეტლით პეტერბურგის ქუჩებში [აქაც კინოს გავლენა ჩანს და მოგვაგონებს პეტერეს სიკვდილის აღწერას „სანთლის პერსონა“ დან], და საღმოები როდოკანაკის სახლში.

სამივე მოთხოვთის ენა და სტილი იუველირის მუშაობას მოგვაგონებს. ფსიქოლოგიური ანალიზის სილრმისა და ფსიქოლოგიური განზოგადოების მხრივ კი ისინი ავტორის რომანებს ვერ შეედრებიან.

„პუშკინი“ ყურადღებას იქცევს. ჩეალისტური, წყნარი თხრობით: აქ უკვე აღარ არის მეტაფორული და სიმბოლიური პლანი. ტინიანოვი შეუდგა ჩეალისტური ეპოქეის წერას და პირველივე ტომი ამ წიგნისა გვარწმუნებს, რომ აკტორი მას ღირსეულად დამთავრებს.

რომანის პირველ თავებში აღწერილია პოეტის ბავშვობა, მისი მშობლების და ბიძის ვასილ ლვოვების ცხოვრება, მათი ყოფა და ზნეჩეულებანი...

პუშკინი ჩაჰყავთ პეტერბურგში. მას შეიყვანენ ცარსკოე სელოში გახსნილ ლიცეუმში. რომანის მეორე ნაწილი თავდება ცნობილი სცენით: დერუავინისა და პუშკინის შეხვედრით ლიცეუმის კურსდამთავრებულთა გამოცდაზე.

ტინიანოვი მარტოლენ პუშკინის ცხოვრების იჩველივ როდი აჩერებს თხრობას, რომანში ვრცლად არის ნაჩენები პუშკინის ბავშვობის დროინდელი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ატმოსფერი; ლიცეუმის ჩამოყალიბების ისტორია, 1812 წლის ამბების გამოძახილი ლიცეუმში: „პუშკინი“ ვრცელი პანორამაა ეპოქისა; მხოლოდ მეორე ნაწილში ჩნდება თვითონ პოეტი უფრო ჩელიეფურად.

მიუხედავად რომანის გამჭვირევალე ენისა, მოყოლის ჩეალისტური მანერისა, ტინიანოვის ეს რომანიც როულია შინაგანად. ავტორი გვიჩვენებს იმ დამყაყებულ გარემოს, რომელშიაც მომავალ ბუნტარს მოუხდება ცხოვრება. ოჯახურობისა, სენტიმენტალობისა და მოდური მელანქოლიის ფონზე ისახება ბავშვის აჩაბული პროფილი, სახე იმ პოეტისა, რომელიც დავაუკაცების პერიოდში თავის არგვლივ სულისშემხუთველ გარემოს იგრძნობს, რომელიც დაარღვევს ლიტერატურაში დაკანონებულ ნორმებს, მაგრამ დაიღუპება ინტრიგებთან ბრძოლაში.

ტინიანოვი შეპარეით ანხორციელებს ამ მხატვრულ იდეას:

შესანიშნავად აქვს აღწერილი მწერალს სადილი პუშკინის მშობლების სახლში, სადაც თავს იყრინ იმდროინდელი ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. იდილიურ განწყობილებასა და საუბრებში ატარებენ ისინი დროს, კარამზინი შეექცევა მურაბას. უეცრად გარედან მოისმის კარეტის ხმაური. პუშკინის მამა სერგეი ლვოვიჩი გაფითრდება: სიმშვიდეს არღვევს პუშკინის დედის მკვიდრი ბიძის გენერალ-მაიორ ანნიბალის მოსვლა.

პეტრე ანნიბალი, აბისინელთა ძველი ჩამომავალი, ოდნავ-მთვრისალი, თავისი უხეში მოქცევით და ჩქარი ლაპარაკით არღვევს მათ მყულოებას. სტუმრები მიღიან.

ანნიბალი მოეიდა ბავშვის სანახავად. მას აჩვენებენ აკვანში მწოლარე ალექსანდრეს. ანნიბალი ათვალიერებს ბავშვს, მოეწონება მისი არაბული სახე — პატარა ალექსანდრე წინაპრებს დამსგავსებია დედის ხაზით:

«— Расцелуйте его в прах! — закричал арап. — Честное аннибалское слово, — львенок, арапчонок! Милый! Аннибал великолепный! В деда пошел! Взгляди! Принимай! Вина!»

ამოიყვანს აკვნიდან, ჰერცინის და ჯვარს ჩამოჰყდებს. შემდეგ კი დემონსტრატიულად სტროვებს პუშკინების ოჯახს.

ვფიქრობთ: რომანის შემდეგს ნაწილებში ნაჩენები იქნება აფრიკული ტემპერამენტის მქონე ალექსანდრე პუშკინის ასეთივე შესვლა ჩუსულ ლიტერატურაში!

მეორე დეტალი:

პეტერბურგის ქუჩაზე, არტილერიის ყაზარმების მახლობლად, ძიძას ხელით მიყავს პუშკინი-ბავშვი. მათ შეეყრებიან ცხენებზე მჯდომარე გენერლები პატარა ტანის გენერლის მეთაურიობით. ამ უკანასკნელის ამაღლა ბავშვიან ქალს უბრძანებს მუხლზე დაეცეს. მთავარი გენერალი კინაღაშ ცხენით არ გადათელავს პატარა ალექსანდრეს.

გეხერალი — იმპერატორი პავლე იყო! პირველი შეხვედრა პუშკინი-ბავშვისა რუსეთის დესატონ!

საკითხავია — ხომ არ გათამაშდება რომანის ბოლო ნაწილებში ეს დეტალი? ჩვენ ვიცით პუშკინის ბიოგრაფია: მესამე იმპერატორმა კარგად დასრულა ის, რაც დაიწყო მისმა წინაპარმა!

საერთოდ ი. ტინიანოვის ამ რომანში მრავალია ფარული ნუანსები, რომელთა შესახებ უფრო ვრცლად საუბარი შესაძლებელი იქნება ნაწარმოების სრულად გამოქვეყნების შემდეგ.

„პუშკინში“ შესანიშნავად არის დახატული პოეტის მშობლები, ბიძა მისი ვასილ ლვოვიჩი, მინისტრები — საერანსკი და რაზუმოვსკი, ლიცეუმის პროფესორები, ოფიციონ ლიცეისტები (მაგ. ტყუილების მოყვარული დელვიგი და სხვ.) და ბებერი დერევინი. ცალკე ეპიზოდებიდან აღსანიშნავია მოხუცი ანა-ბალის სიკვდილის აღწერა, ცხოვრება ცარსკოე სელოში და სხვ.

„პუშკინი“ საუკეთესო რომანია იმ ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც პუშკინის შესახებ დაწერილია რუსეთში [მხედველობაში მაქსის სერგეევ-ცენსკის, გრისმანის და სხვათა რომანები]. რუსეთის უდიდესი პოეტის შესახებ დაწერილ წიგნში ტინიანოვმა შესძლო დამდგრიცყო თემის სიმაღლეზე. მწერალმა კიდევ ერთხელ დამტკიცა თავისი ბრწყინვალე ლიტერატურული ტალანტი.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მაგავიზორისთვის

1.

ვაჟა-ფშაველა სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში. ეს ის ხანაა, როდესაც მეფის რუსეთის თვალ-უწვდენელ ტერიტორიაზე მოსახლე მშრომელი ხალხები განსაკუთრებით მწვა-ვედ განიცდიდნენ თვითმპყრობელური რევიმის უსასტიკეს დაწოლას. ბატონ-ყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით „გათავისუფლებული“ გლეხობა იძუ-ლებული იყო ემუშავნა ისევ მემამულეთა მიწებზე უაღრესად მძიმე საიჯა-რო პირობებში. მემამულე თავად-აზნაურობა უკანასკნელ ლუკმას აცლიდა, პირდაპირ ძარცვავდა მას.

თ რას ვკითხულობთ ამის შესახებ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსში.

„ბატონყმური მეურნეობის ნაშთები, ვეებერთელა ხარკები და მემამუ-ლებისთვის გამოსაყიდი ფასის გადახდა, რაც ხშირად გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობას აღმატებოდა, იწვევდნენ გლეხთა მასების გაჩანაგებას, გაღატაკებას, აიძულებდნენ გლეხებს წასულიყვნენ სოფლებიდან საშვარის საძებნელად. ისინი მიღიოდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში. მეფიაბრიკეები იაფ მუშა-ხელს შოულობდნენ.“

მუშებსა და გლეხებს მბრძანებლობდა შთელი არმია ისპრავნიკებისა, ურიაღნიკებისა, უანდარმებისა, პოლიციელებისა, ჩაფრებისა, რომლებიც იცავ-დნენ მეფეს, კაპიტალისტებს, მემამულებს მშრომელთა წინააღმდეგ, ექსპლო-ატირებულთა წინააღმდეგ“ (*).

ასეთი იყო მშრომელი გლეხობის მდგომარეობა ვაჟა-ფშაველას სამწერ-ლო ასპარეზზე გამოსვლის ეპოქაში. ამას ემატებოდა თვითმპყრობელური რუ-სეთის კოლონიური ჩაგრის მძიმე უღელი დაბყრობილი ერების მიმართ.

ასეთი საზოგადოებრივი გარემოცვის პირობებში გაიშალა ვაჟას. პოეტუ-რი შემოქმედება. როგორც ცნობილია, 1879 — 1882 წლები ვაჟამ გორის სა-ოსტატო სემინარიაში გაატარა. იგი ჩქარა ჩაება მოსწავლეთა საიდუმლო წრეში და გახდა წრის ხელმძღვანელი. მოსწავლეთა წრე თავის მხრივ დაკავ-

(*) საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი. ქარ-თული გამოცემა 1938 წ. გვ. 6.

შირებული იყო ოთხმოცაან წლებში გორში მომქმედ ხალხოსანთა არალეგა-
ლურ ორგანიზაციასთან. გორის ხალხოსანთა ორგანიზაცია დიდ გავლენას ახ-
დენდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე. ამ გავლენის შესახებ საინტერესო ცნო-
ბას იძლევა ცნობილი მწერალი-მოღვაწე სოფრონ მგალობლიშვილი.

„მაშინდელი გორის ახალგაზრდობა, — სწერს სოფ. მგალობლიშვილი, —
ხალხოსნურ მოძრაობაში იყო ჩაბმული. სემინარიის მოსწავლენი, როგორც
დაუა, ისე სხვები დაიარებოდნენ ხალხოსნების კრებაზე და ეცნობოდნენ ქარ-
თველი ხალხის ვითარებას, გლეხთა ცხოვრებას, რუსული თუ ქართული წიგ-
ნები ერთს აღადას იყო მოგროვილი და მოსწავლე ახალგაზრდობას მიჰქონდა
და კოთხულობდა“.

1881 წლიდან სემინარიის ქართული ენის მასწავლებლად ინიშნება ცნო-
ბილი ხალხოსანი მიხეილ ყიფიანი, რომელიც სათავეში უდგება და აცოცხ-
ლებს გორის ხალხოსნური ორგანიზაციის მუშაობას. მიხ. ყიფიანი თავისი საჭ-
მიანობის ერთერთ დასაყრდენს სემინარიის მოსწავლეთა წრეში ხდავს, ხოლო
წრის წევრთაგან იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ვაჟა-ფშაველას.

„ვაჟა დაწატა წიგნების კითხვას, — გადმოგვცემს სოფ. მგალობლიშვი-
ლი, — განსაკუთრებით ქართული ისტორიის მასალებს. ვაჟას ამ მიმართულე-
ბას დიდი ყურადღება მიაქცია მიხეილ ყიფიანმა, შემოილო რეფერატების მო-
მზადება და კითხვა საქართველოს ისტორიიდან. ამ რეფერატებს ამზადებდა-
ნენ და კითხულობდნენ თვით მოწაფენი. მახსოვს ვაჟამ ორი ისტორიული რე-
ფერატი წაიკითხა დავით აღმაშენებელზე და თამარ მეფეზე. მაშინდელი ვა-
ჟა ნამდვილი მთის არწივი იყო, ყოჩალი, გამბედავი, შეუპოვარი, მეგობრისა-
თვის თავდადებული, გამჭრიანი, წყლიანი. მოლაპარაკე“. *)

ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებაზე გორის ხალხოსნურ ორგანიზაციას-
თან საინტერესო ცნობას იძლევა აგრეთვე სვ. სალარიძე თავის მოგონებაში.
ეს მოგონება შეიცავს ფრიად საურადღებო ცნობებს ახალგაზრდა ვაჟას სუ-
ლიერი საზრდოს შესახებ ამ პერიოდში. ამ ცნობის მიხედვთ ვაჟა ამ დროს
უკვე გატაცებული იყო საკაცობრიო კულტურის უდიდესი წარმომადგენლე-
ბით. იგი ბევრს კითხულობდა, როგორც ანტიკური, ისე საშუალო და ახალი
საუკუნეების ფილოსოფიისა და ლიტერატურის კლასიკოსების თხზულებებს,
ამ დროს ვაჟას საკითხავი ავტორები იყვნენ პერაკლიტე, სოკრატი, პლატო-
ნი, ეპიკური, ბეკონი, კონტი, ბოკლი, სპენსერი, პომეროსი, ვირგილიუსი:
დანტე, შექსპირი, გოთე, ბაირონი, ფოხტი და სხვ.

აი, რას სწერს სვ. სალარიძე ვაჟა-ფშაველას ამ პერიოდის შესახებ: „იგი
წინდაზედულად და გაფრთხილებით მუშაობდა ჩვენთან (ე. ი. ხალხოსნებთან,
ა. მ.) ამიტომ ამანაგები მასზე ამბობდნენ: „აი ადამიანი, რომელიც დადის
მარტორქად“. როდესაც „ბურსაკები“ საყვედურს ეუბნებოდნენ ლუქას — რა-
ტომ არ დადიხარ კრებაზე, მისი პასუხი იყო: „მე ვტრიალებ ჩემი ლერძის
ირგვლივო“ ლუქამ ადრე დააღწია თავი „ქაზიონურ“ ატმოსფეროს და მთელ
თავის ძალლონებს ანდომებდა ცოდნის შეძენას. მან შეისწავლა „ბნელი“ პერა-
კლიტე, პლატონის „რესპუბლიკა“, ეპიკური, გადაიკითხა ბეკონი, კონტი,
ბოკლი, დრეპერი, სპენსერი, „Современный социализм“ ლაველესი, „მცე-
ნარეთა მეტამორფოზა“ გიორგესი და ბოლოს მიუბრუნდა პომიროსს, ვირგი-

*) სოფრონ მგალობლიშვილი „მოგონებანი“ 1938 წ. გვ. 262.

ლიუსს, დანტეს, მილტონს, შექსპირს, ბაირონს და ფონტს: მთლეშოტისა და ბიუხერის მატერიალზე იგი ეძიებდა პასუხს ნივთისა და სულის რაობაზე. ლუკა ეკუთვნოდა იმ მძლავრ მოძრაობას, რომლის ლოზუნგად ერთ დროს იყო „ცხოვრება თანახმად ბუნებისა“: იგი ვერ ეტეოდა პროგრამის განსაზღვრულ ჩარჩოებში, არ სწამდა პრაქტიკიზმი, — პატარა საქმეები“, იგი სპობდა ქვეყნის ბოროტებას ერთი ხელის დაკვრით. „ყველაფერი ან არაფერი“. ამ თვალსაზრისით ლუკა ანარქისტი „Свободник“-ი იყო, რომლის ფერბახული ჰუმანიზმი აღწევდა კოსმიურ საჭლვრამდე“.*

მოტანილი ამონაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო: იგი პირდაპირ მიუთითებს ვაჟას დიდ ნაკითხაობაზე იმ პერიოდში.

1881 წელს სემინარიელი ვაჟა გამოჩნდება ლიტერატურულ ასპარეზზე. ხალხოსნების უურნალში („იმედი“) იბეჭდება მისი ლექსი „მეომარი“ და გაზეთ „დროებაში“ პირველი ორიგინალური მოთხოვა „სურათი ფშავლის ცხოვრებიდან“.**

ვაჟა-ფშაველას ეს ლიტერატურული დასაწყისი გარკვევით ატარებს ქართველი ხალხოსანი მწერლების გაელენის კვალს.

1882 წელს ვაჟა-ფშაველა ამთავრებს გორის საოსტატო სემინარისას და წყებითი სკოლის მასწავლებლის წოდებით და ამავე წელს ინიშნება კიდეც მასწავლებლად. მაგრამ სემინარის კედლებით არ შეიძლება შემოფარგლულ იქნას ვაჟას კავშირი გორის ხალხოსნურ ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელებთან. ამავე წელს იგი აქტიურად გამოიდის ხალხოსანთა ერთერთ არალეგალურ კრებაზე, სადაც ამხელს მშრომელი გლეხობის დუხვირს ცხოვრებას და დაუზოგავად ილაშეწებებს არიგებული პარობების წინააღმდეგ.

სკ. სალარიძე თავის მოგონებაში გაღმოგვცემს ვაჟას გამოსვლას ერთერთ ასეთ კრებაზე უფლისციხეში.

„1882 წ. — სწერს სკ. სალარიძე, — სოფლიდან ჩამოსული პროპაგანდისტები შეიკრიბნენ სათათბიროდ ს. უფლისციხეში შემდეგი საკითხების გასარჩევად: 1. ფერდალური მიწის საკუთრების კონფისკაცია; 2. გლეხთა კავშირების მოწყობა და ორიენტაცია მათ გამოსვლაზე; 3. პატარა ერების განთავისუფლება რუსეთის გახრწნილ კაპიტალიზმისაგან, რომელიც ძალაცავს მათ ბუნებრივ სიმდიდრეს.“

უამთა ტრიალით მივიწყებულს, აფორიაქებულს ს. უფლისციხეში, სადაც ლეგნდარულ უფლოს გამოუჭრია კლდოვანი დარბაზი სავარძლით, — რომელიც ჩვენ გვეჩერენა მეცხრე სასწაულად, აწ კი გადაქცეულს ხელიკების სოროებად და აგიტატორების ტრიბუნად, ლუკა იღებს სიტყვას.

კოკისბირულ წვიმასა და ქარბუქში, — სთქვა მან, — მე გამოვიარე თითქმის მთელი ფშავ-ხევსურეთი და ყველგან ერთსა და იმავეს მეკითხებოდენ — როგორ გადაწყდება მიწის განაწილების საკითხი. უკეთუ გლეხებს მიცემთ მიწას, ჩვენ მუშაობას ექნება დასაყრდენი სოფლად და წელში გაწყვეტილ გლეხობას გადმოვიყვანთ ჩვენს მხარეზე: მაშინ საფუძველი ეცლება მთავრობას და ჩვენთვის საშიში არ იქნება არც მემამულების მუქარა, არც რუსეთის

*) „ლიტერატორული მიმიკორეობა“ ტ. I, სკ. სალარიძე, „მოგონებანი“.

**) „დროება“ 1881 წ. № 184.

ხიშტიანი ლეგიონები. გამოსავალ გზას მე ვხედავ გლეხთა კავშირებში ინტე-ლიგენციასთან და პატარა ერების ერთობაში.

შემდეგ, როდესაც ლუქამ მეაფიო სიტყვებით გადაგვიშალა სურათი სოფლის ცხოვრების სიღრუბერის და ბიუროკრატულ აპარატის გახრწნისა, მნა ფაფარაყრილ ლომივით შეარხია თავისი ფალავნური ბეჭები და გულგაშ-მაგებით წამოიძახა: ან თავისუფლება, ან სჯობს სიკედილიო” *).

ვაჟა-ფშაველამ გარკვეულ პერიოდში განიცადა ხალხოსნების გავლენა. მასია პიორელი გამოჩენაც სალიტერატურო ასპარეზზე ამ გავლენის უშუალო მატარებელი იყო, მაგრამ ეს დაახლოება ხალხოსნებთან არ მისულა იქამდის, რომ ვაჟა ჩამოყალიბებულიყო, როგორც თანმიმდევარი ხალხოსანი, ე. ი. რომ იგი შეერთებოდა ხალხოსნურ იდეოლოგიას.

ცოტა ვაჟან ვაჟა-ფშაველამ ხალხოსნობის მეტად საინტერესო კრიტიკაც მოგვცა. ვაჟა გონიერამახვილურად შენიშნავდა ქართული ხალხოსნების შესახებ, რომ მათ „მარტო გლეხეაცობისაგან შემდგარი საქართველო უნდა დაე-არსებინათ“, რომ ისინი ამის იქით ძალიან ცოტას ხედავდნენ. ვაჟას ქართველი ხალხოსნების უდიდეს ნაკლად მიაჩნდა ის, რომ მათ (ხალხოსნებმა) თით-ქმის დაივიწყეს ეროვნული გათავისუფლების იდეა.

ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების შესახებ ხალხოსნობასთან საინტერესო ცნობას იძლევა მისი ერთი დაუმთავრებელი წერილი სათაურით: „ცოტა არამ ჩვენის ხალხის ცხოვრების ავტარებისა (ზოგადი შენიშვნები)“.

აა, რას სწერს ვაჟა ამ წერილში:

„ამ 12-13 წლის წინათ იჩინა თავი ერთმა პარტიამ, იგი წინათაც არსებობდა, თავის წადილის გამოსათქმელად დაარსა უურნალი „იმედი“. ამ პარტიის წადილი ის იყო, რომ გლეხ-კაცობის კეთილდღეობისთვის ეზრუნა, მისი ექინომიური ყოფა-მდგომარეობა გაეუმჯობესდინა. თითქმის მარტო გლეხეაცობისაგან შემდგარი საქართველო უნდა დაეარსებინა. დანარჩენი ეროვნული საჭიროებანი დავიწყებული ჰქონდათ, დავიწყებული იყო აგრეოვე თვავადაზნაურობა, რომელსაც თითქოს არაფერი უჭირდა და იმათი დასუსტება არა-ფერი დანაკლისი იყო ვითომ ეროვნულ საქმეთათვის. მოკლედ რომ ვხთქვათ, ეროვნული აზრი უარყოფილი იყო ამათგან. ეს პარტია, როგორც თვითონ იგრძნობ ბოლო დროს, ნაძალადევი იყო, ხეხულასავით ნაები გამოდგა, გაიგო ისიც, რომ ჩვენს მდგომარეობას არ შეეფერებოდა ამგვარი მოძღვრება და უკან დაიხია, თავისი თავი თვითონვე უარყო ***).

ასე დაახასიათა ვაჟა-ფშაველამ ხალხოსნობა მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათან წლებში. ამ დროისთვის ვაჟა საბოლოოდ გამიჯნულია ხალხოსნობისგან, რომელთა წრეს იგი გორის საოსტატო სემინარიის მოსწავლეობის ხანაში ეკუთვნოდა.

2.

ვაჟა-ფშაველას მაღალი პოეტური კულტური აღრევე იქნა აღიარებული. ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრივობის მიერ. ცნობილია ის გულთბილი, საქმიანი და მზრუნველი დამოკიდებულება, რომელსაც ვაჟას. მიმართ იჩენდა

*) „ლიტერატურული მექვიდრეობა“ ტ. 1. გვ. 97.

**) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი. ტ.-კ. ფონდი № 5317.

დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. მაგრამ საჭიროა აღმინშოს ისიც, რომ ამასთანავე ერთად ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში აღვილი ჰქონდა ამ დიდი მწერლისადმი ერთგვარი ჩრდილის მიყენების ცდებსაც.

ორი ათვეული წლის წინათ ვაჟას შესახებ პირდაპირ წერდნენ, რომ იგი თითქოს „ჩამორჩენილი ადამიანი იყო. ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაუდგეს“. თითქოს „მისი მგრძნობიარობა პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია ველური, მისი მორალი საშუალო საუკუნოებრივი. მას არაფერი გაეგებოდა არც ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონალიზმისა. და ელექტრონისა, ორთქლისა და მანქანების ხანაში ის წარსულის აჩრდილს ჰგავდა თავსი ჩატბუტით და თავსი რაინდობით“.

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური და საპოლემიკო წერილების ზედმიწევნით შესწავლა ამის სრულიად საწინააღმდეგო დასკვნებს იძლევა. არ ასესბობს არავითარი საფუძველი, რის მიხედვითაც შეიძლებოდეს ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი იყო თავისი ეპოქის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას. კიდევ მეტი: ვაჟას სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი ბრწყინვალედ ფლობს მსოფლიო ლიტერატურის თთქმის მთელს. ძირითად საგანძურებელი. ამას კი, ვარდა თავისი პოეტური შემოქმედებისა, იგი უდაოდ ამჟღავნებს მთელ რიგ წერილში ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ („სად არის პოეზია“, „ფიქტები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ“ და სხვ.).

ვაჟა-ფშაველა, ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, საქმაო-სიღრმით სწვდება თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების როულ საფუძვლებს. ვაჟა თავის პუბლიცისტურ წერილებში გარკვევით სკნობს თანამედროვე საზოგადოების დაყოფას კლასებად და აღიარებს ამ კლასების ბრძლას. ვაჟას თქმით, ყოველი ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ კლასობრივი ბრძოლის პირობებში მას თანდათან ეკარგება ეს თავისუფლება. თანამედროვე აღზრდის პირობები და საზოგადოებრივი გარემოცვა ბუნებით თვისუფალ ადამიანს, ცხოვრებაში მონაც აქცევს.

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილებიდან ამ მხრივ მეტად საყურადღებო მასალას წარმოადგენს მისი ერთერთი დაუმთავრებელი ხელნაწერი „რას ჰქვიან თავისუფლება“.

„ადამიანი თავისუფალი იბადება, — სწერს ვაჟა, — უცქირეთ ბავშვს როგორ თავისუფლად მოქმედობს, როცა შეიძლებს მოძრაობას, ეპოტინება ყველაფერს, რასაც თვალი და ყური მიუწვდება, იქნებს ხელებს და ფეხებს, როცა აკეანში აწევენს დედა და ხელებზე არტახებს უჭირებს. მხოლოდ დიდების მოსაზრება, დაშლა, დაშინება ჰქვეცავს ფრთხებს ბავშვის თავისუფალ მოქმედებას, რომელიც უსაზღვრო თავისუფლებისაენ მიისწრაფვის.“

გაიზრდება, მოვა გონებაზე და მაშინ ხომ შინაურ უფროსებთან ერთად უჩნდება გარეთ სხვა უფროსი — საზოგადოება აუარებელი ზნეჩეულებით, აზრებით, წესებით, რომელთა შორის მრავალი უვარებისი და პირდაპირ დაძლებელია აღამიანისა, შემბოჭველი იმის თავისუფლებისა, საღის მსჯდლობისა. მშობლები, საზოგადოება და უხეირო სკოლები აჩვევენ ყრმას ისეთს აზროვნებას, რაც უხშავს მას გონებას, უნერგავს ცხოვრებისათვის მავნე აზრებს,

*) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი. წ. კ. ფონდი № 5317.

აჩვევს მონობას, მორჩილებას, მოთმენას, უკლავს სიყვარულს თავისუფლები-კიდაში".

ამავე წერილში ვაჟა-ფშაველა გარკვევით გმობს თანამედროვე საზოგა-დოებრივ ურთიერთობას, რომელიც ადამიანში ჰქონდებოს თავისუფლების სიყვა-რულს და მონურად უმორჩილებს ასესბულ ურთიერთობას. ვაჟას თქმით, ასეთი საზოგადოება თავის თავის მტერია, იგი ფეხით სთელავს თავისავე ბჯდ-ნიერებას. ასეთი საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუღდა ყოველგვარი უსამარ-თლობისა. აქვე ვაჟა კლასობრივი ბრძოლის მკვეთრ განსაზღვრასაც იძლევა.

"დიალ, — წერს ვაჟა-ფშაველა, — გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომლის წერებიც მონურად, ყეყეჩ-ჩერჩეტად არიან აზრდილი და არ უყვართ თავისუფლება, — ხდება თავის-თავის მტერი, სთელავს ფეხით თავის-ეს ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუღდა ყოველნაირის უსამართლობისა. ადვილად ჩნდებიან დაჩაგრული და მჩაგვრელნი, გაცარცულ-ნი და იმართება მათ შორის ბრძოლა. დღეს ჩვენა ვარო მოწამე და მონაწილენი ამისთანავე ბრძოლისა. ბედნიერება წართმეული ნაწილი საზოგადოება-შა (კლასი) ებრძვის მეორეს, რომელმაც მისი ბედნიერება მიითვისა, მისი თა-ვისუფლება და ქონება". *)

აღნიშნულ წერილში ვაჟა-ფშაველა მეტად ფართოდ აყენებს საკითხს ადამიანის, პიროვნების მოქალაქეობრივი უფლების შესახებ. ვაჟა მტკიცელ იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას და სასტიკად ილაშქრებს ადამიანზე იძულებითი ზედმოქმედების წინააღმდეგ. ვაჟა წინააღმდეგია ადამიანისთვის ყოველგვარი უფლების წართმევისა და იცავს პირად საკუთრების უფლებას. მაგრამ აქვე ვაჟა უყოფმნოდ მხარს უჭერს და პირდაპირ მომხრეა მემამულე თავად-აზნაურობისთვის მიწების სრული ჩამორთმევისა და გლეხობაზე გა-დაცემისა. პირადი საკუთრების დამცველ ვაჟას ეს სრულიად ბუნებრივ მოვ-ლენად მიაჩინა.

"იქნება უსამართლოდ ვიქცევით როგორც ზოგიერთებს ჰერნიათ". — კითხულობს ვაჟა-ფშაველა — და იგი თეთონ უპასუხებს: „არა, არ ვიქცევით უსამართლოდ და აი რატომ. დიდი მამულის პატრიონი ჯერ ერთი, რომ სხვებს, ასა, ათასს ართმევს თავისუფლებას, რაღან სხვის ნაშრომს იტაცებს, სხვას ლუქმას სტაცებს. ეს უწესობაა, უსამართლობაა, უსამართლობაა და როგორც უწესობის ჩამდენის, მას უნდა მოესპოს საშუალება ამ გვარის ყოფა-ქცევის, მეორე მამულ-დედული ხომ იმის შრომით შექმნილი არ არი, იგი ღვთისგან ბოძებულია. იგი ძალ-მომრეობს, როცა ბუნებას სტაცებს მომეტებულს, რა-შიაც სხვებსაც წილი უდევს" და სხვ.

მოტანილი სტრიქონები ბევრს ლაპარაკობენ მათი ავტორის პროგრესიულ იღებზე. ჩვენ ზევით გავეცანით ვაჟა-ფშაველას კამათს ხალხოსნებთან. ვაჟა იქ მოითხოვდა, რომ ანგარიში გასწეოდა თავად-აზნაურობასაც, აქ კი პირი-იქ მოითხოვდა, რომ ანგარიში გასწეოდა თავად-აზნაურობასთვის მიწების ჩამორთმე-ჭით, იგი გარკვევით მხარს უჭერს თავად-აზნაურობისთვის მიწების ჩამორთმე-ვას. ეს მოვლენა არ შეიძლება ახსნილ იქნას მწერლის მერყეობით, არამედ იგი უნდა მიჩნეულ იქნას, როგორც პერიოდები ვაჟას მსოფლმხედველობის იგი უნდა მიჩნეულ იქნას, როგორც პერიოდები ვაჟას მსოფლმხედველობის იგი უნდა მიჩნეულ იქნას, საქმეში. ამის შესახებ მეტყველებენ თვით ამ სტატიათა და-ჩამოყალიბების საქმეში.

*) საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი. წ.-კ. ფონდი № 5317.

წერის თარიღები. პირველი, ომელშიც ვაჟა ეკამათება ხალხოსნებს („ცოტა რამ ჩვენის ხალხის ცხოვრების ავ-კარგისა“) დაწერილია მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდათან წლებში, ხოლო მეორე სტატია („რას ჰქვიან თავისუფლება“) ათასცხარსიან წლებში, 1905 წლის რევოლუციის განთიადზე.

3

ვაჟა-ფშაველა ხელოვნების, მწერლობის და მწერლის დანიშნულების გაგებაში გარკვევით დადგა მე-19 საუკუნის სამოცავი წლების მოღვაწეთა რეალისტურ თვალსაზრისხისზე. ვაჟას აზრით, მწერლობა უნდა იყოს საზოგადოებრივი, იდეური. მწერლობა მთელი სისრულით უნდა ასახავდეს სინამდვილეს და უყურაღლებოდა არ სტოკებდეს ყოველდღიური ცხოვრების „წერილ-მანებსაც“-კი. ვაჟა-ფშაველას აზრით კარგი მწერალი ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ხალხის საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმა-ყოფილების საქმეს. ვაჟა სასტიკად გმობდა უსაგნო, უშინაარსო ხელოვნებას.

ვაჟა-ფშაველა თავის ერთერთ წერილში პირდაპირ სწერს: „მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური მწერლობისა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი თავის ქვეყნისა ესმოდეს, შევნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს ესევე, — ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდვას და, მაშასადამე, კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს.*).

როგორც მოყვანილი ამონაწერიდანაც სჩანს, ვაჟა-ფშაველა ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულების საკითხში უშუალო კავშირშია რუსეთის სამოცავი წლების დემოკრატიული ინტელიგენციის (ჩერნიშევსკი, ლობროლუბოვი) და ქართველ „თერგდალეულთა“ რეალისტურ შეხედულებებთან. ვაჟას თავისი ნათელი აზრები ესთეტიკის საკითხებზე გამოთქმული აქვს პუბლიცისტურ და საპოლემიკო ხასიათის მთელ რიგ წერილებში („რამე-რუმე“, „ფიქრები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ“, „პასუხი იპ. ვართაგავას“ და სხვ.).

„ყველა დიდებული ტიპები, — სწერს ვაჟა, — რაც კი შეუქმნიათ დიდებულ მგოსანთ, დიდებულ მწერალთ — ყველა იმათ საერთო ხასიათი თუვ-დადება, შეუდრეკელობა, სიმტკიცეა იმაში, რა აზრითაც გამსჭვალულან, რა გრძნობასაც შეუპყრიათ იმათი არსება. ისინი ერთსა და იმავე დროს თვალისილულიც არიან და ბრმანიც. ამ პატარა არსებას ადამიანს — თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს, რომ ეს შეუნიშნავს. თვით ბუნებაც ასეთივეა: იგი თვალისილულიც არის და ბრმაც ერთსა და იმავე დროს. ვხედავთ კარგად ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი საღ — იქნება. მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს — მისი გონიერი მოქმედება აღამიანის გონიერებას ბევრათ აღემატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით. აბა კარგად დაუკვირდით ლამანჩელ აზნაურს ღონკისოტს, შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენს მსგავსებას ჰნახავთ მათ შორის. რა არის თვით ბუნება, თუ

*) საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები. წ.-კ. ფონდი № 5317, ავტოგრაფი „რამე-რუმე“.

არა იგივე დონკიხოტი, რომელიც თავდაუზოგავად ჰლელავს, იბრძების, მიისწრაფვის ერთხელ აჩქეულ, აჩემებულ გზაზე თავ-დაუზოგავად. აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც იგია“.⁴⁾

ასე ესმოდა ვაჟა-ფშაველას ერთიანობა ბუნებისა, ადამიანთა ცხოვრებისა და პოეზიისა. ვაჟას გარკვევით სწამდა, რომ იყო დიდი მწერალი, დაიმსახურო ფართო მკითხველთა სიყვარული, საჭიროა შეიგნო პოეზიის ეს დიდი დანიშნულება. მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. მწერლისთვის საჭიროა აგრეთვე, რომ იგი ამავე დროს იყოს თავისი ერის, თავისი ხალხის ღვიძლი, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელი. პოეტი უნდა თავისთავში, როგორც ფოკუსში, თავს უყრიდეს ასახიერებდეს ერის კულტურულ ავლადი დებას და იზიარებდეს მის ყოველდღიურ ჭირ-ვარამს.

აი, რა საინტერესო სტრიქონებს ვყითხულობთ ამ საკითხზე ვაესა წერილში „ფიქტური „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ“: „დიდის სიყვარულის მოხვევა კი მხოლოდ დიადის აღამიანს, გენიოსს შეუძლიან, რომელიც ღვიძლი შვალია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლა-დიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი, იგი იმავე დროს საჩვენა ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ მოუყრია თავი, იგი იმავე დროს საჩვენა ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი, მისი ნაწარმოებიც მუდამ ცოცხალია, საღაც იგი თავის-თავსა პერცოცხალი, მისი ნაწარმოებიც მუდამ ცოცხალია, საღაც იგი თავის-თავსა პერცოცხალი, თავის „მეს“-ს, თავის ვინაობას შესტრიფის და შესტრიფის იმასაც, ვინც ეს საჩვენა ისე მოაწყო, რომ ერმა ამ საჩვენში ჩახედვით იცნო თავისი თავი“.**)

მოყვანილი ამონაშერით საბოლოოდ ნათელი ხდება ვაჟა-ფშაველას ოქა-
ლისტური დამოკიდებულება მწერლობისადმი.

ვაჟა-ფშაველას აქვს თავისი გარეული შეხედულება. ლიტერატურულ კრიტიკაზე, ვაჟა ლიტერატურული კრიტიკის დანიშნულების გაგებაში დგას აგრეთვე მოწინავე სამოციანელთა თვალსაზრისზე. ვაჟა მოითხოვს, რომ ლიტერატურული კრიტიკა იყოს ობიექტური და დამაჯვრებელი. კრიტიკა უნდა შევდებოდეს მასალის სიღრმეს, ახდენდეს მის ანალიზს და მხოლოდ მასალის სათვალითიანი შესწავლის შემდეგ აკეთებდეს საჭირო დასკვნებს.

ვაკეს თავისი აზრი ლიტერატურული კრიტიკის შესახებ გამოთქმული აქვთ იმავე წერილში „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ.

*) საქ. სახელმწიფო მუნიციპალიტეტის ხელნაწერები. წ.კ. ფონდი № 5317, „სად არის პოვზია?“

“ ავ. ახელიშვილი უკუკეთ 1911 წ. № 8, გვ. 442.

ეს სიტყვები გასაგებიც არის და მისაღებიც. იგი პირდაპირ მიუთითებს დიდი მწერლის დიდ ლიტერატურულ-კრიტიკულ ალოზე.

ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით გატაცებული იყო ხალხური შემოქმედებით. ვაჟას ხელნაწერებში დღემდის დაცულია მის მიერ ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ორგორც ცნობილია, მის მთელ რიგ პოემებს საფუძვლად უდევს ხალხური თქმულებები. მაგრამ ვაჟა არ არის ხალხური ლეგენდების უბრალო გამლექსავი, იგი ხალხის თქმულება-გაღმოცემებს იღებდა, ორგორც მასალას, რომელსაც იგი ამჟავებდა, აფართოებდა და აძლევდა სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოების სახეს. „საზოგადოდ, უნდა ვსთქვა, — წერდა ვაჟა-ფშაველა, — ორმ ლეგენდას თუ ზღაპარს გაუვლია ჩემის ფანტაზის მანგანაში, რომელიც თავისებურად შემიმუშავებია, კვალი დაუშჩინევია მკითხველების გულგონებაში და, რომელიც პირდაპირ გამილექსია — არც ერთს შეგნებულს მკითხველს, ორგორც მაგ. „ნახევარ-წიწილა“, ჩემთვის სახელად არ მოულოცია“.

ვაჟამ თავისი დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი მვეთრად ჩამოაყალიბა წერილში „ფიქრები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ“. აქ ვაჟამ ხალხური შემოქმედებით სარგებლობის მთელი თეორია ჩამოაყალიბა. „ცხადია, — წერს იგი, — ორმ პოეტმა თუ ყოველივე ამბავი თავისებურად არ შეიმუშავა, თავის გრძნობა-გონების საკუთრებად არ გადააჭირა, ამაოდ დაუშრება, მის ნაწარმოებს არავინ ჭიჭათა-მყოფელი ხელოვნურს არ უწოდებს. ეს ჭეშმარიტება დღესავით, მზესავით აშკარაა“.

ვაჟა თავის ამ დებულებას ასაბუთებს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების მაგალითზე. მაგალითისთვის იგი იღებს გოვთეს ცნობილ „ფაუსტს“. აი, რას სწერდა ვაჟა-ფშაველა „ფაუსტისა“ და მისი ავტორის შესახებ:

„ჩემთვის ძალიან ადვილად გასაგებია ის მოვლენა, ორმ ლეგენდას ფაუსტზე ათასი ჰყავდა ავტორი, მაგრამ იმათი ნაწარმოები შთანთქნენ უფსკრულში, ხოლო ფაუსტის ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიქმნა გოოტე. რაღა? რასთვის? მაღა, რომ ეს ლეგენდა ჩაუვარდა ხელში დიაღის ტვინისა და გრძნობის პატრონს, იმან შესახა მას ახალი ხორცი და შთაბერა სული ცხოველი. რას იტყვით. ორგორ გვინიათ. ფაუსტზე არსებულმა ლეგენდამ განადიდა, შექმნა გიოტე, გამოაშეკარავა მისი გენიოსობა, თუ გიოტემ განადიდა, ახლად შექმნა და უკვდავ პყო ეს ლეგენდა? რა უფლება გაქვთ არ დამეთანხმოთ, რომ უგიოტეოდ „ფაუსტი“ არ ექნებოდა კაცობრიობას. მაშასადამე თავიდათავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილია ის აზრი რაც „ფაუსტშია“ გამოოქმული მაინც გამოითქმოდა გიოტეს პირით თუმცა შეიძლება სხვა რამ სახელი ჰრქმეოდა“.

ნათქვამი უდაოდ იძლევა წარმოდგენას ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების შესახებ ხალხური შემოქმედებისადმი. თვითონ ვაჟა თავის გენიალურ პოემებში ყოველთვის იცავდა მის მიერ ზემოღიამოყალიბებულ დებულებას, ხოლო, როდესაც კი დაურღვევია მას ეს შეხედულება, ვაჟა გულწრფელად და პირდაპირ აცნობებდა თავის მკითხველებს (მოიგონეთ ვაჟას-თქმა „ნახევარ-წიწილას“ შესახებ).

მარტივ ხალხურ გადმოცემებზე არის აგებული. ვაჟას პოემები: „გველის მჭამელი“, „ბახტრიონი“, „გოგოთურ და აფშინა“ და სხვა მრავალი. ხალხური შემოქმედების უდიდესი მოტრფიალე ვაჟა ლეგენდა-გადმოცემებს ბრძან არასოდეს არ მიჰყოლია. მათ იგი ყოველთვის ზედმიწევნითი სიტრთხილით ატარებდა საკუთარი „ფანტაზის მანგანაში“ და ამ გზით ქმნიდა მხატვრული შიტყვის უკვდავ შედევრებს.

მთის მდიდარი ხალხური შემოქმედებით ვაჟა-ფშაველა. სხვა მხრივაც არის დავალებული. ფშავ-ხევსურეთის ხალხური პოეზიისაგან ვაჟას უდაოდ შეეძლო გამოეყენებინა ამ პოეზიის ვაჟაცური კილო. ვაჟას პოეზია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი მიგნებული კონტრასტებით, ბრწყინვალე მეტაფორებით, ეპითეტებით და მოხდენილი შედარებებით. ეს თვისება ვაჟა-ფშაველას ლექსის უდიდესი დამახასიათებელი ნიშანია, რომლითაც იგი უახლოესად ენათესავება მთის ხალხურ პოეზიას.

ხალხთან არის დაკავშირებული აგრეთვე ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედების ენობრივი თავისებურება. როგორც ცნობილია, წარსულში იყო ერთგვარი ცდები ვაჟას ენის დაწუნებისთვის. აკაკი წერეთელი ვაჟას უსაყველურებდა:

„ენას გიშუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც-კი გვითესავ მარგალიტს...
მკითხველიც იმას მკისაო“. *)

დიდი მწერლის ამ სტრიქონებს ვაჟამ ლექსითვე უპასუხა („დაგვიანებული ჰასუხი აკაკის“).

ამ თავაზიან პასუხში ვაჟამ „დამნაშაველ“ აღიარა ფშავლობა და თანაც მიუთითა, რომ იგი არც ერთ კილოს არ წუნობს „თუა ქართველის გვარისა“.

„მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა,
მოთაყვანე ვარ ყოვლისა,
იმათ ტკბილის და მწარისა“.

ვაჟა-ფშაველას ენის დაწუნების ცდები შემდეგშიაც გრძელდებოდა. იპ. ვართაგავამ, რომელმაც იმ დროისთვის უდაოდ სასარგებლო შრომა გასწია ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში, მისი ენა მაინც დაიწუნა.

იპ. ვართაგავა ვაჟას ენის შესახებ წერდა:
„მართლაც, ვაჟა, როგორც განათლებული მგოსანი, ცდებოდა იმაში, რომ თავის პირად განცდას და მსოფლიმედველობას, თავისს საქროვნო და საკაც ცობრით ფიქრს და გრძნობას ფშაურს სამოსელში ახვევდა, პროვინციალურის კილოკავით გამოსთქვამდა.

ამ შემთხვევაში მგოსანი, სამწუხაოოდ, თითქოს უარსყოფდა იმ ყველგან და ყოველთვის ჭეშმარიტებად აღსაჩებულს დებულებას, რომ ეროვნული მწერა უარ მხატვარის ნაწარმოებები უსათუოდ უნდა იყოს დაწერილი საზოგადო.

*) აკაკი წერეთელი — „ვაჟა-ფშაველას“.

ეროვნულ-ლიტერატურულ ენაზე. სჩანს ვაჟას ავიწყდებოდა, რომ პროგნონ-ციალური სიტყვების ხმარება, პროვინციალური კილოთი წერა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც პროვინციალური ცხოვრება აღიწერება ან აღილობრივ ვი გმირები ხასიათდება. პოეტის ამგვარ შემცდარს ჩუქუნას ის შედეგი მოჰყავა, რომ დღემდის მის ნაწარმოებებს ნაკლებად იცნობს ფართე ქართველი საზოგადოება, რომ მისი პოეზიის სიმშევნიერე კველასათვის არ არის მისაწვდომი, რომ ვაჟა მომავალშიაც კლასიკურ მწერლად არ გახდება“.*)

ასე წერდა ი. ვართაგავა თვით ჩენი საუკუნის ოციან წლებში.

აღნიშნული საყვედლურები ვაჟა-ფშაველას ენობრივი „ჩამორჩენილობის“ შესახებ სრულიად არ არის დამსახურებული. მართალია ვაჟა იცავს დიალექტურ სხვაობას იმ ხალხისა და კუთხისას, საღაც იშლება მოქმედება ნაწარმოებთა მიხედვით, მაგრამ ეს მოვლენა არა თუ ანელებს ვაჟას მხატვრულ ნაწარმოებთა პოეტურ ღირსებას, არამედ იგი კიდევ უფრო სრულყოფილს ქმნის მათ მხატვრულ ემოციონალობას. საერთოდ კი ვაჟა ბრწყინვალედ ფლობს თავისი ღრივის სალიტერატურო ქართულ ენას. ამის საუკეთესო ნიმუშებია მისი ლირიკული მოთხოვნები („შვილის ნუკრის ნაამბობი“, „ბუნების მგონები“, „ქუჩი“, „ფესვები“, „მთის წყარო“ და სხვ.) და მთელი რიგი პუბლიცისტური და საპოლემიკო წერილებისა.

აძრიგად, ვაჟა-ფშაველას აქვს თავისია გარკვეული მოსაზრებები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის ურთიერთდამოყიდებულების, ლიტერატურული კრიტიკის, ოფიციალური მხატვრული ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების შესახებ. ვაჟას ამ შეხედულებებმა ნათელი გამოხატულება ჰპოვეს მის შემოქმედებითს პრაქტიკაში.

ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედება მეტად ფართოა და მრავალმხრივი. ვაჟას ამხატვრულ ნაწარმოებთა მთელი რიგი („გველის მშემელი“, „სტუმარ-მასაპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ღამე მთაში“ და სხვ.) სცილდება ეროვნულ საზღვრებს და მათს ავტორს მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა გვერდით აყენებს. ნაწარმოებთა ამ ჯგუფში ვაჟას მიერ აღძრულია საერთო საკაცობრიო საკითხები (სამყარო, ცხოვრების რაობა, აღამიანის დანიშნულება და სხვა). მაგრამ ვაჟა-ფშაველა თავისი ეპოქის შვილი იყო, რეალისტი პოაზროვნე, რომელიც მწერლის დანიშნულებას ჰქოდავდა თავისი ხალხის სამსახურში და, ბუნებრივია, რომ მის პოეტურ მექანიზმებში საერთო საკაცობრიო საკითხებთან ერთად, გარკვეულ ადგილს იჭერს მშობლიური ხალხის ჭირ-ვარამი.

*) ი. ვართაგავა. „ვაჟა-ფშაველა“ 1921 წ. გვ. 144.

იაკობ გალახაშვილი

ორი საკითხეისთვის საიათნოვას პირგრაფიაში

1. საიათნოვას ძირითადი პროცესია და სტეფანი მერიჩალ-
თან იღენტიციკაციის საკითხი.

საიათნოვას საქითხის „შესწავლის“ საფუძვლისში ცნობილი საზო-
გადო მოღვაწე ექიმი გეორქ ახვერდიანცი თავის 1852 წელს მოსკოვში სომხურ-
ენაზე დაბეჭდილ მონოგრაფიაში საიათნოვას ძირითად პროცესიად ფეიქრო-
ბას ასახელებდა და მასვე საქსოვ ჩარხ-მანქანის გამოგონებას მიაწერდა.

1878 წელს ზაქარია მთაწმინდელ-ჭიჭინძეს გან. „დროების“ ნომერ 119-
ში საიათნოვას მთავარ ხელობად დურგლობა მიაჩნდა.

ზეპირგადმოცემის ერთი ვარიანტი საიათნოვას მღებავად რაცენ.

მოყვანილ მოსაზრებებს დაუსაბუთებლადვე იმეორებენ მგოსნის სხვა ბი-
ოგრაფ-მკელევარნიც.

1930 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გამოსულ წიგნში: „საიათ-
ნოვა“ პროცესირი ლეონ მელიქსედ-ბეგი შეეცადა მოეხსნა არსებული თე-
ორიები საიათნოვას ძირითადი ხელობისა და თავის მხრით ცდილობდა და-
ემტიყიცბია, რომ საიათნოვა პროცესით დერციკ-მკერვალი და ბაზაზი იყო.
აქედან გამოსული იგი საიათნოვასა და მგოსნა სტეფან მკერვალს აიგივებს.

დასახელებული წიგნის ერთ ადგილას პროც. ლეონ მელიქსედ-ბეგი თავის
მოსაზრების ასე ასაბუთებს:

„ცნობილ თურქულ ლექსში — სწერს იგი — სადაც მგოსანი თავის თავგა-
დასავალს წარმოგვიღებნ დედის საშოში ჩასახვის მომენტიდან, იგი ამბობს:
„თორმეტი წელი შემისრულდა რა, მიმაბარეს ოსტატსა,

ცამეტი წელი შემისრულდა — ხელობა საესებით შევისწავლე
თოთხმეტი წელი შემისრულდა, — ოსტატს მივართვი ხალათი“.

უკანასკნელ სტრიქონში მოხსენებული „ხალათი“ შეიძლება ორნაირად
იქნეს გაგებული: ფართო მნიშვნელობით იგი საჩუქარს (ფეშქაშს) ნიშნავს,
ხოლო ვიწროთი ჩასაცმელს, ხალათს. ამიტომ საფიქრებელა, ეგების ამ შემ-
თხვევაში საიათნოვა თავის ხელობად ფეიქრობას კი არ ჰგულისხმობდეს, არა-
მედ დერციკ-მკერვალობას“¹⁾.

¹⁾ ლ. მელიქსედ-ბეგი — „საიათნოვა“, 1930 წ., გვ. 38, 39.

როგორც ვტედავთ პროფ. ლეონ მელიქსელ-ბეგი თურქული ლექსის უკანასკნელ სტრიქონში მოხსენებულ „ხალათს“ ჩასაცმელ ხალათის მნიშვნელობით იგებს და ჰელია, რომ საიათნოვამ თავისი ხელობის ნიმუში მიართვა ოსტატს, ე. ი. პროფესიით დერციქ-მკერვალია.

თურქული ლექსის მოყვანილი სტრიქონების სწორი გაგებისთვის მე გავეცანი ამქრობაზე დაგროვილ საკმაოდ დიდ ლიტერატურას. იური ახვერდოვის წიგნში: „ტიფლისკიე ამქარი“ შევხვდი მეტად საინტერესო ცნობას, რომელიც შექვემდებრების ზემოდ-ამოწერილ სტრიქონებს.

ნახსენებ წიგნის ერთ ადგილას კითხულობთ შემდეგს:

„დალოცვისას ყოველი შეგირდი ვალდებულია მიართვას თავის ოსტატს საჩუქარი, რომელსაც ისინი ეძახიან ხალათს. იმ დროს, როდესაც ამქარიში ხელობას სწავლობდნენ შეძლებულ მოქალაქეთა შვილები, ისინი დალოცვისას საჩუქრად აძლევდნენ აძლევდნენ ან მაუდს ტანსაცმელისთვის 30 და 40 მანეთად ღირებულს ვერხულით. ეხლა კი მაქვთ ასტატისთვის შალი ან მაუდი 3 მანეთიდან 10 მანეთამდე და იშვიათად მეტი ღირებულებისა.

სახალათე ან ფული ხალათისთვის აუცილებლად უნდა გადაეცეს ოსტატს. ამის გამო ამქარში სპეციალური წესია შემოლებული: კიდრე დააჩი-ქებდნენ დასალოცად მომზადებულ შეგირდს, უსტაბაში შეეკითხება ოსტატს, მიიღო მან თუ არა შეგირდისაგან სახალათე. უკეთუ ასტატი აპატივებს ღარიბ შეგირდს სახალათეს, აქვე იქნება გამოცხადებული.

თუ სიკვდილის წინ ოსტატმა დასტოვა დასალოცად გამზადებული შეგირდი, უსტაბაში ართმევს შეგირდს სახალათე ფულს და უგზავნის მას გარდაცვლილ ოსტატის ცოლშვილს. ამ შემთხვევაშიაც გადასახადისაგან თავისუფლდებიან უკიდურესად ღარიბი შეგირდები და ისინი, რომელსაც ბევრი სარჩენი ყავთ“¹⁾.

ამ ყოველმხრივ საინტერესო ცნობის მიხედვით სავსებით გასაგები ხდება ნამდვილი აზრი საიათნოვას თურქული ლექსის მოყვანილი სტრიქონებისა.

მაშასადამე მგოსანს „ხალათი“ შეერილი ხალათი კი არ მიურთმევია ოსტატისთვის, როგორც ნიმუში, თავის ხელობისა, არამედ შეუსრულებია საამქრო წესდების ყველა ხელობის შეგირდისთვის სავალდებულო მუხლი — მიუტანია მასწავლებლისთვის სახალათე, რომელსაც ამქართა ენაზე „ხალათს“ ეძახიან.

ცხადი ხდება, რომ თურქული ლექსის მოყვანილი სტრიქონები მიგვითოვებენ მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ საიათნოვა ორი წლის მანძილზე რაღაც ხელობას სწავლობდა და თოთხმეტი წლისა დალოცვილ იქმნა ოსტატად.

რაც შეეხება იმას თუ სახელდობრ რა ხელობა შეუსწავლია მას ამ წნის განმავლობაში, ამის ძიება სხვაგანაა საჭირო.

თავის დებულების დამამტკიცებელ მეორე საბუთად პროფ. ლეონ მელიქ-სელ-ბეგს მოჰყავს საიათნოვას ლექსებიდან ორი სავსებით ალევორიული ხასიათის ადგილი.

პირველი:

„შორის ქვეყნის ვაჭარი ვარ, შენ მარანდის ბაზარი ზარბაბის ფასი არა მაქვს, ამისათვინ წამოვედი.“

¹⁾ Ахвердов — „Тифлисские амбары“, 1883 წ., გვ. 21, 22.

თუ დავუშვით, რომ საიათნოვა პირდაპირი მწიშვნელობით ამბობს: „შე-
რის ქვეყნის ვაჭარი ვარო“, მაშინ გამოვა, რომ მისი სატრფო „მარანდის ბა-
ზარი“ ყოფილა. მაგრამ ასაკერველია ეს ასე არ არის.

მეორე ადგილი, რომელიც მოჰყავს პროფ. ლეონ მელიქესედ-ბეგს ასეთია:
„სულ ქვეყანა ჩვენსა არის, რომ ბაზაზი არ აკლია“.

ეს სტრიქონი სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ საიათნოვა პროფესიით
დერციე მკერვალი და ბაზაზი იყო.

ყველა ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა, მაშ აა ხელობის ყო-
ფილა მგოსანი?

ზაქარია მთაწმინდელ-ჭიჭინაძის ცნობას საიათნოვას დურგლობის შესახებ
მხარს უჭერს საიათნოვას ერთი სომხური ლექსის შემდეგი ადგილი, რომელიც
ყოველგვარ გადატანითი მნიშვნელობისა და ალეგორიზმის გარეშე მიუთითებს
პოეტის პროფესიაზე.

აი ეს სტრიქონები:

„თუ გინდ სასწავლებელში მიწბარო, — ცემით არ მორჯულდება ავრ
სანამ სხეულს არ მოშორდება ბოროტი დევი პირზავი,

შედ-ასლი „ასლი“ ვერ გახდება, ფხეკით ვერ გათეთრდება შავი
მრუდ შეშას ვერ გაასწორებს რანდა, დურგალო ხაიათნოვა“¹⁾.

მას შემდეგ არც დარღვეულ იქმნა პროფ. მელიქესედ-ბეგის მოსაზრება სა-
იათნოვას დერციკ-მკერვალობის შესახებ თავისითავად იხსნება მის მიერვე წამო-
ყნებული დებულება საიათნოვას და სტეფანე მკერვალის იდენტიფიკაციისა.

ვინაიდან საიათნოვას კუთვნილი ლექსი „გულიდან არა მშურს სული შენ-
თვინა“ საქარ. მუზ. პალ. განყ. წ. კ. გ. ს. ხელ. № 1543 საიათნოვას მიეკუთვ-
ნება („საიათნოვას ნათვამი მუხამბაზი“), ხოლო იმავე კოლექციის ხელთაწერ-
ნი № 3686 ამ ლექსს სტეფანე მკერვალს აკუთვნებს („სტეფანე მკერვალის
თქმული“). და აგრეთვე საიათნოვას მეორე ლექსი „თვალად ლამაზო დამანა-
ხევ შენი პირი მე“, საქარ. მუზ. პალ. განყ. წ. კ. გ. ს. ფონ. ხელნაწერ № 1543-ით
საიათნოვას მიეკუთვნება („საიათნოვამ მუსტაზალი თქუა ასე“), ხოლო იმავე
კოლექციის ხელნაწერი № 3686 მას სტეფანე მკერვალის ლექსად სოვლის
(„სტეფან მკერვალის თქმული“), ამიტომ პროფ. ლეონ მელიქესედ-ბეგს პე-
ნია, რომ საიათნოვა და სტეფანე მკერვალი ერთი და იგივე პიროვნებაა.

მაგრამ არაეთარ შემთხვევაში ეს ასე არ არის.

სტეფანე მკერვალი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის აშული, პოეტია და
არა ფსევდონიმი, თუ ლიტერატურული სახელი საიათნოვასი. სტეფანე მკერ-
ვალის ლიტერატურული ფსევდონიმია „მაჯნუნ“, ამ ფსევდონიმს ამჟღავნებს
იგი ყველა თავის ორიგინალურ ლექსებში, რომლებიც ჩვენამდე მოსულან. სა-
იათნოვა კი, როგორც ქართულს, ისე სომხურ და თურქულ ლექსებში თავის.
თავს „საიათნოვა“-ს ფსევდონიმით იხსენიებს.

სტეფანე მკერვალის ლექსები მეტად წააგავნ საიათნოვას ლექსებს, მაგ-
რამ ჯერ კიდევ გოეტემ სთქვა: თითოეული ეპოქის ადამიანები ერთნაირათვე
აზრებისა და მისწრაფებების არიან. ამიტომ ბუნებრივია, ერთდაიმავე დროს
სხვადასხვა პირი ერთნაირ გამოგონებას (წაიკითხეთ — თემას ი. ბ.). მისწვდება.

1) ლ. მელიქესედ-ბეგი — „საიათნოვა“, 1930 წ., გვ. 40.

ეს სწორედ ისევე, ოფერალურ სხვადასხვა ბალში წლის ერთიდამავე დროს ხეებს ერთიდაიგივე ხილი სცვივაო.

იგივე შეიძლება ითქვას საიათნოვას და სტეფანე მკერვალის შესახებ. სტეფანე მკერვალი ნიჭიერი ეპიგონია საიათნოვასი და რა გასაკვირია, რომ მისი ლექსები ჰგვანდნენ მისი ოსტატის სიმღერებს.

ერთი სოციალური წრე თვემებისა და იდეების მსგავსება და ეპიდემიად გადაქცეული გპიგონობა არის მიზეზი, რომ ხშირად ერთიდაიგივე თხზულება ხან ერთ მწერალს მიეკუთვნება და ხან მეორეს. ასე მაგალითად: ცნობილი ლექსი: „მშენებერთა ხელმწიფე“ ზაქარია ჭიჭინაძეს, ე: თაყაიშვილს და პროფ. ქ. ჯეგელიძეს ბესარიონ გაბაშვილისეულად მიაჩნიათ. საქართველოს ცენტრ. საარქივო სამმარ. ხელთანაშერი № 355 ამ ლექსს გრიგოლ ორბელიანს აკუთვნებს. სინამდვილეში ეს ლექსი სალექსანდრე ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

პროფ. ლეონ მელიქესედ-ბეგის მსჯელობას რომ აყვეთ, მაშინ გამოვა, რომ ბესარიონ გაბაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთიდაიგივე პიროვნებაა.

ყველა ამის შემდეგ უდაო ხდება, რომ საიათნოვა და სტეფანე მკერვალი სხვადასხვა პიროვნებებია და მათ ინდენტითიკაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

2. საიათნოჭას ქართლის სამეცო კარილან განდევნის მიზანი.

ცნობა საიათნოვას ქართლის სამეცო კარილან განდევნის შესახებ მეოსნის შვილს ივან სეიდოვს ეკუთვნის. ეს ცნობა წამძლვარებული აქვს საიათხოვას ლექსს „სამართალი მიყავ ხელმწიფე ხარო“ და იყითხება ამგვარად:

„ესე მოხსენება საიათნოვას რომა თავისი შემწყალე მათი უმაღლესობა ყოვლად საქართველოს და სხვათა ნეტარად ხსნებული მეფე თავის უღირს მონას საცოდავ საიათნოვას გასწყობია და გარეთ გაუგდია, იმაზედ მოუხსენებია იაფი იგავი არ გახლავს“¹⁾.

ივან სეიდოვის მოყვანილ ცნობას მხარს უჭერენ საიათნოვას. ლექსები და ცალკე მიმართვები ერეკლე მეორისადმი.

სამწუხარიდ მეორის, შვილი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რისთვის „გას-წყრობია“ ერეკლე მეფე თავის უღირს მონას, საცოდავ საიათნოვას“.

ერთხმად სღუმს ამ საკითხზე მგოსნის ყველა ბიოგრაფ-მკვლევარიც.

მართალია, ივან სეიდოვი არ აღნიშნავს, თუ როდის მოხდა საიათნოვას განტევნა, მაგრამ 1930 წელს პროფ. ლეონ მელიქესედ-ბეგმა დაადგინა, რომ საიათნოვას უსიამოვნება მოსვლია ერეკლე მეფესთან 1765 წელს და ამ წელსვე იგი დათხოვნილ იქნა სასახლიდან.

ჩემის გამორკვევით საიათნოვა ქართლის სამეცო კარილან განიდევნა 1765 წლის ამბოხებასთან დაკავშირებით.

1765 წელს მსხვილი ფეოდალები, რომელთაც მეთაურობდა ტახტის პრეზენციტი პაატა ბატონიშვილი ამხედრდნენ ერეკლე მეორის წინააღმდეგ და მოიწადინეს მისი ოჯახიანად ამოწყვეტა.

აი როგორ გაღმოავცემს ამ ამბავს თეკლე ბატონიშვილისაგან გაგონილს ალექსანდრე ორბელიანი:

¹⁾ გ. ლეონიძე — „მგოსანი საიათნოვა“, 1930 წ., გვ. 21.

„ერთ შუადღეზე ცოტა ადრე, ქრისტესია ღვდელი ხლებია მეფეს ოაკლის, საიდუმლოს საქმის მოსახსენებლად, რომელიცა მაშინვე მიუწვევია მეფის აუჩქარებელი კითხვა. — „მამა ქრისტესიავ, ამ უდროოთ რა საჭიროება უნდა გქონდესო?“

ქრისტესია ღვდელის ჩქარი მოხსენება. — ჩემო ხელმწიფე! გაწყვეტას გოპირებენ ცოლ-შვილითაო. ჩემი მოწაფე გახლაესთ, თქვენი პატარია ძუძუთა ქალას, ქეთევან ბატონიშვილის ძიძის ქმარი, დათუნა ფეიქარი, რომელმაცა აღსაჩებაში აღიარა, რაც დაწყობილება აქვთ პაატა ბატონიშვილს თქვენზე. გუშინ საღამოს უამზე დაებარებინა პაატა ბატონიშვილს ფეიქარი დათუნა, მრავალის წყალობის დაპირების შემდგომ, ჯერ ფიცი გამოურთმევნია და მას-ჯგან ეთქვა:

„შენ ხომ ჩემს სამსახურში ერთგული ხარ, რადგან შენი ცოლი მეფის სასასლეშია ძიძათ, შენ უნდა იყისრო ჩვენი შეყვანა სასახლეში, რომ ერთიანად ამოცაგდოთ მეფის ირაკლის თესლიო, შენ ნუ გეგონება მარტოკა მე ვიყო და მარტოკა მე გეუბნებოდა ამას, ამ საქმეში ბევრნა ვართ: თვით მე, აბდულა ბეგიშვილი, დავით ბატონიშვილი, თვით მეფის ირაკლის ახლო ნათესავი, დიმიტრი ამილახვარი, იმის შვილი ალექსანდრე, დიმიტრი ციცუშვილი, ელისაბარ თაქთაქიშვილი და ამის შვილი იასე, რომელნიც ამ უამად აქ ქალაქში ვიმყოფებითო. ახლა შენ ერთი საქმე უნდა შემოგვძლვნა, შენის მეტი ამ საქმეს ვერავინ ცეტ შეასრულების. რადგან ჩემი სანდო ხარ, ამისთვის ხვალე უნდა წახვიდე კახეთში, ჩემს მეგობრებს ჩემი წიგნები წაუღე, რომ საჩაროდ ჩამოვიდნენ, და თუ ამ ჩემს ბრძანებას აასრულებ, როდესაც მეფედ დავჯდები, შეეფრდა: აზნაურობას და ერთ სოფელს გიწყალობებ ერთგულებისთვისაო“¹⁾.

როგორც სჩანს „შეთქმულთ“ ასეთივე წინადადებით მიუმართნიათ საიათნოვასთვისაც და შველა უთხოვნიათ მეფის ირაკლისა და მისი ოჯახის წივრების ამბოხებაში. ამბოხების შეთაურნი ცხადია ყოველ ღონისძიებას იხმარდნენ გადმოეყვანათ თავიანთ მხარეზე კაცი, რომელიც ერეკლე მეორესთან განუშორებლად იყო და თან სამეფო კარზე საზანდარ-ხუმარის მოვალეობას ასრულებდა და „გასამრჯველოდ“ „თავადობას“ დაპირებიან.

მაგრამ მგოსანი სასტიკი და ციფი უარით შეხვდა ამ წინადადებას. აი შესრ პასუხი:

„დამეხსენი, ავკაცობა არ მინდა,
ქვეყანაზე გაფეხობა არ მინდა,
ავი სიტყვის შენთან მბობა არ მინდა.
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა!“

ქრისტესია მღვდლისა და დათუნა ფეიქარისაგან ამბის ჟაგებისთანავე ერეკლე მეფე შეუდგა უსასტიკეს ზომების მიღებას. შეთქმულების მთავარი მონაწილეები იმავე ღამეს დააპატიმრეს. ამბოხების ხელმძღვანელებს სახალხო გასამართლება მოუწყო ავლაბრის ძირში რიყეზე. განჩინებაში ნათქვამი, იყო: „პაატა ბატონიშვილს მეხლმემ თავი გააგდებინოს; აბდულა ბეგიშვილს დავითს აგრეთვე; დიმიტრი ამილახვარს ყმა და მამული ჩამოერთოს; ამის

1) ალ. ოზერლიანი — „ნაწერები“, 1879 წ., გვ. 103, 105.

შვილს ალექსანდრეს ცხვირი მოეჭრას, გაზები დაესხიბოს და უცხო ქვეყანაში გაიგდოს, ელისბარ თაქთაქიშვილი ცეცხლში დაიწვას; ამის შვილს იასეს ცალი თვალი ამოერთოს და ერთი ხელი მოაგდებინონ, და დიმიტრი ციციშვილს ენა მოეჭრას“¹⁾.

დაუსჯელად არ დასტოვა მეფე ირაკლიმ შეთქმულების სხვა მონაწილეები და ამბის მცოდნენიც. საიათნოვა დასჯილ იქმნა სასახლიდან განდევნით-თვათონ მგოსანი ასე ასწერს ამ ამბავს ერთ თავის ლექსში:

„სამართალი მიყავ, ხელმწიფე ხარო,
მთელი საქართველოს გულისა ხარო!
შეგიძლიან გამიწყრე თუ მახარო.
ხელმწიფეს ვეახელ უცხოთ მორთული.
საზი ხელთ მეჭირა მე გამართული.
მათასავით დამაბრუნეს დართული,
ნეტამც არ შემეტყო მე ის ქართული.
წალი, ჭუჭყიანი ხალიჩა ხარო!

ნათქვამია ერთხელ მთა მთას ეცემა,
ღვთის ნებაა წყალობისა გაცემა!
ნეტარ არ დაგევდე კარგად გეცემა,—
ჩემი სულიერი დედმამა ხარო!

თუ გინ დამიმტერიოთ წიბო, გვერდები
ცოცხალი თვალით ვერ მოგშორდები!“

საიათნოვა თითონ გრძნობს თავის დანაშაულს, რომ მან წინადადების მიღებისთანავე დახმარებოდა ვრეკლეს მოკვლაში, დროზე არ აცნობა ეს მეფეს და ამიტომ ამბობს ნაღვლიანად:

„შეგცოდე, ხელი გაწვდინე, დამჩხვლიტე მაყვალივითა,
თითებზე სისხლი ჩამომდის ფერწითელი ლალივითა,
მე ამ ნაღველს ვერ გაცუძლებ, გული შაქვს მისხალივითა“.

საიათნოვას გარდა სასახლიდან 1765 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით განდევნილ იქნა ოცდაორი კაცი. ეს მცტად საინტერესო ცნობა შემონა-სულია საიათნოვას მიერ ქართლის სამეფო კარილან განდევნის შემდეგ დაწერილ ლექსში და იკითხება ასე:

„რა დავჯე და რა ვიტირო რომელ ერთი ნაღველისათვინ
ჩემსა გარდა ოცდაორსა სხვას ამბობენ, მართალია“.

სასახლიდან განდევნილი საიათნოვა ჯერ გიორგი ბატონიშვილს შეეხიზნა და შემდეგ ბერად შედგა ახპატის მონასტერში.

1) იგივე წყარო გვ. 113.

3

1939 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოღის ეოვალთვიურად.

ხელის მოწვრის პირობები:

წლიურად	18 მან.
ნახევრი წლით	9 "
ცალკე ნომერი	1 პ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოუზპეჩატის
რაიონუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მცერალთა კავშირი.

к 553
1939

85601 8. 50 з.



Ежемесячный журнал
„ЧВЕНИ ТАОБА“
Сахелгами 1939 г. Тбилиси